CMYK
WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

№24 (258) ● 18 სექტემბერი, 2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## ვინ უვრცელებს ჭორს ბიძინა ივანიშვილს, თითქოს მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრზე ფარული ჩანაწერები არსებობს?

## დღეს ხალხი დუმს, მაგრამ ივანიშვილი მალე მიხვდება, რომ დუმილის რეკს!



## რა მსგავსებაა სომხების ლობისტ ლეონტი მროველსა და მიხეილ სააკაშვილს შორის?

**პეტრე ქორჩაკიძე-ჭალადიდელი:**



## იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა

დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს

**მამა ბასილი:**



## მეუფე კალისტრატე მარგალიტაშვილი, იოსებ კიკვაძე, პეტრე ცაავა, გრიგოლ ბერბიჭაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი და ძმანი მათნი... ესენი ყველანი „ბიზნესმენი ეპისკოპოსები“ არიან

**გიორგი კორახაშვილს უთქვამს:**

## ჩემთვის არაფერს ნიშნავს რადიო „დარდიმანდი“, უბრალოდ, ჩემი მეუღლე ერთობაო...

ვარძელაშვილმა და მისმა გუნდმა „ბავშვთა ფედერაციის“ დამფუძნებლებს რადიოც წაართვეს და შენობაც დაატოვებინეს



## გულის გულითადი ექიმი

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მსოფლიოში სახელგანთქმული კარდიოქირურგი **ლეო ბოკერია,** რომელიც მოგვითხრობს:



- „გაჯანსაღებული და „უარყოფილი“ ბავშვების შესახებ
- „ბოკერიას დიეტა“
- ქართული თემა
- რა ასაკამდე შეიძლება ოპერაციების კეთება
- ყოფილი მწეველი მოწევის შესახებ
- ახალგაზრდობის საიდუმლო, ანუ „ბოკერიას რეცეპტი“
- ღვინის შესახებ
- ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტის და რელაქსაციის შესახებ
- ოჯახის შესახებ

**თამაზ წივწივაძე:**

## როგორც რომი გადაარჩინეს რომაელმა ბატებმა, საქართველოც ასე გადაარჩინეს ქართველი პატიმრების ტრაკებმა!

**ვახტანგ ხარჩილავა:**

## ქვეყანა, რომელიც პატიმრების საბრალო ტრაკების გადასარჩენია, ქვეყანა არ არის!

# ქვეყანა, რომელიც პატიმრების საბრალო ტრაკების გადასარჩენია, ქვეყანა არ არის!



## ვახტანგ ხარჩილავა

„როცა თქვენ ხელისუფლებაში მობრძანდით, მე მაშინ საქართველოში, — ზუსტად მახსოვს! — 27-ოდე კაცს „ვემდუროდი“ და დღეს ეს ოცდაშვიდივე არამზადა თქვენს გარემოცვაშია“, — ეუბნება თამაზ წივწივაძე ბატონ ბიძინა ივანიშვილს თავის ბოლო წერილში „საქართველოში ჭკვიანი ხალხი ლაპარაკობს, საქმეს კი სულელები წყვეტენ!“

მთლად 27-მდე ვერ გავქაჩე, მაგრამ ერთი 17 კაცი მეც დავთვალე, რომლებსაც თამაზ წივწივაძესავით მეც „ვემდუროდი“, დღეს კი 17-ვე ხელისუფლებაშია მოკალათებული და იქიდან მიყოფენ ენას — ხომ გავფრინდით, შე გლახა, გააღე ახლა პირი და თქვი — ააა!

გარემოცვის ხსენებაზე ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ამ ხუთი წლის წინათ ერთმა კარგმა ქართველმა მიამბო.

როცა ყველა გზა მოუჭრეს, ზუგდიდიდან ზვიად გამსახურდია თავის თანმხლებ პირებთან ერთად მთიანი სამეგრელოსკენ გაემართა და სოფელ მუჟავაში დაბანაკდა.

თვალი რომ გადაავლო თავის გარემოცვას, რომელიც ძირითადად ფრიად ჭრელი და საეჭვო საზოგადოებისგან შედგებოდა, გამსახურდია მიხვდა, რომ სწორედ ამ გარემოცვისგან იყო მთავარი საფრთხე მოსალოდნელი.

ის გაენდო სოფლის მკვიდრს, ახალგაზრდა კაცს, მონადირეს, რომელმაც ზეპირად იცოდა მთის სამეგრელოს ყველა გზა და ბილიკი და სთხოვა, აქიდან გაეყვანა.

დათქმულ დროს, უთენია, ზვიად გამსახურდია და მეგზური სახლიდან გამოვიდნენ და ისის იყო, ჭიშკარს გასცდნენ, რომ საშინელი ყვირილი გაისმა — ვიღაცამ დაინახა, როგორ მიიპარებოდნენ გამსახურდია და მისი თანმხლები პირი და განგაში ატეხა.

„გაქცეულები“ უკან დააბრუნეს, ხოლო მეგზურს გამსახურდია რომ არ გადაეფარებოდა, ადგილზე უპირებდნენ დახვრეტას: — სად მიგყავდა ჩვენი პრეზიდენტი და რას უპირებდიო.

მიმხვედრი მიხვდება, რატომ გამახსენდა ეს ამბავი მაინცდამაინც ახლა და რა კავშირში შეიძლება ის იყოს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებასთან.

როცა ალყაში ხარ, ან საალყო პირობებს უნდა შეეგუო და ალყაში დარჩე, ან ალყიდან თავის დაღწევა უნდა სცადო.

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს არ უნდა მძევალივით ალყაში იყოს — მას თავისუფლება და თავისუფლად მოქმედების უფლება სურს დაიბრუნოს, რადგან სჯერა, რომ ალყის გარედან უფრო მეტის გაკეთებას შესძლებს ალყაში დარჩენილი მისი ქვეყნისთვის.

მას ასე სჯერა, ასე სწამს და, როგორც იტყვიან, მან თავისი საქმისა უკეთ იცის, ვიდრე ჩვენ.

ამას ისიც დავუმატოთ, რომ მან ისიც იცის, რაც არ ვიცით ჩვენ და, აქედან გამომდინარე, ჩვენი რჩევა, მაინცდამაინც ასე და ასე უნდა მოიქცეო, ალოგიკური მეჩვენება.

საერთოდ, როცა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის თუ პოლიტიკაში დარჩენის საკითხზე ვმსჯელობთ და ვკამათობთ, მე მგონი, ერთ მთავარ შეცდომას ვუშვებთ — საკითხს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან ამოგლეჯილად, პოლიტიკური კონტექსტიდან ცალკე განვიხილავთ, როგორც კერძო პირის მიერ პერსონალურად მიღებულ გადაწყვეტილებას.

არადა, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს თუ ყურადღებით დავაკვირდებით, შეიძლება ერთ თავზარდამცემ დასკვნამდე მივიდეთ — საქართველო, გარე ძალებისგან იმართება და, ფაქტობრივად, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვის ავირჩევთ ჩვენ ჩვენს ხელისუფლად, რადგან ყველას, ცუდსაც და კარგსაც, იძულებულს გახდიან, ის გააკეთოს, რასაც უბრძანებენ.

თუ არ გააკეთებს და სადმე ძველი ხიბულის ორღობეში მიაკლავენ და ახალი, უფრო თვინიერი და მორჩილი კანდიდატის ძებნას დაიწყებენ.

აი, ეს არის სამწუხარო რეალობა, ჩვენ კი ბიძინა ივანიშვილს, ერთ კაცს, ერთ ადამიანს, ვთხოვთ, ყველა ჩვენთაგანის მაგივრად, მთელი ქვეყნის მაგივრად იომოს და გაიმარჯვოს.

**მინაწერი:** *სანამ ეს წერილი გამოქვეყნდებოდა, ბატონი თამაზ წივწივაძის მეორე წერილი წამომეწია, ფრიად დამაინტრიგებელი სათაურით „როგორც რომი გადაარჩინეს რომაელმა ბატებმა, საქართველოც ასე გადაარჩინეს ქართველი პატიმრების ტრაკებმა“.*



*სამწუხარო რეალობაა ეს, რაც კიდევ უფრო სამწუხარო დასკვნისკენ გვიბიძგებს: ქვეყანა, რომელიც პატიმრების საბრალო ტრაკების გადასარჩენი იქნება, ქვეყანა არ არის!*

*დავუშვათ, ციხის ცნობილი კადრები რომ არ გამოჩენილიყო, ის, რაც ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა საქართველოში, საკმარისი არ უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხისთვის, რომ მტკიცე უარი ეთქვათ მათი შეურაცხმყოფელ-გამაუპატიურებელი ხელისუფლებისთვის?*

*კაცმა რომ თქვას, არც ამ შემზარავი კადრების ნახვის და არც 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შეცვლილა ჩვენი არხეინი ზნე და ხასიათი — „ნაციონალები“ 40%-იანი მაჩვენებლით შევიდნენ პარლამენტში — ხმა არ გაგვიღია! სააკაშვილს ათი თვით გაუგრძელდა პრეზიდენტობა — ხმა არ გაგვიღია! დამნაშავე მაღალჩინოსნებს თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით აპატიმრებენ და მერე გარეთ უშვებენ — ხმა არ გაგვიღია! წართმეულ ქონებას მის მესაკუთრეს არავინ უბრუნებს — ხმას არ ვიღებთ! მილიარდები აქვთ მოტეხილი ვიღაც-ვიღაცებს — ხმას არ ვიღებთ! კრიმინალებთან კაპიტაციას გვაძალებენ — ხმას არ ვიღებთ! და ა.შ. და ა.შ.*

*როდის უნდა ვისწავლოთ საკუთარი ღირსების დაცვა, საკუთარი უფლებების დაცვა, საკუთარი სამშობლოს დაცვა ისე, რომ ამისთვის სხვისი მოწოდება არ დაგვჭირდეს.*

# როგორც რომი გადაარჩინეს რომაელმა ბატებმა, საქართველოც ასე გადაარჩინეს ქართველი პატიმრების ტრაკებმა!



## თამაზ წივწივაძე

ძვირფასო მკითხველო!

ათას ბოდიშს გიხდით ამ უწმაწური გამოთქმისთვის! მაგრამ ახლა იმის დრო ნამდვილად არ არის, ფრაზის ესთეტიკური მხარისთვისაც ვიზრუნო და ივანიშვილის გადადგომასაც ხელი შევუშალო!

არადა, ეს რომ მოხდეს, მეყოლეთ მერე ვარდივით! — მიხეილ სააკაშვილმა როგორც ერთხელ გაგვახარა „ვარდების რევოლუციის“ მოსვლით, ახლაც ისევე გაგვახარებს „ნაციონალების“ ხელისუფლების უკან დაბრუნებით!

ამ რეჟიმის გმირობის ამბავი კი მსოფლიომ ერთხელ უკვე ნახა — თუ როგორ უჯლაგუნებდა ციხის ადმინისტრაცია საბრალო პატიმრებს „დუბინკებს“ უკანალში!

ამის შემდეგ იყო, გამწარებული ჭირისუფალნი საარჩევნო ყუთებს რომ ეცნენ და ნაციონალებს თავზე დაამხეს!

ასე დამარცხდა სააკაშვილი და ასე გაიმარჯვა ივანიშვილმა!

...ერთი სიტყვით, ხომ უზარმაზარია ქართველი ხალხისა და, განსაკუთრებით, ბატონი ივანიშვილის როლი „სააკაშვილის უღლის“ გადაგდებაში, მაგრამ არც ის მინდა დავივიწყოთ, რომ: როგორც რომი გადაარჩინეს ერთ დროს რომაელმა ბატებმა, ახლაც ასევე იხსნეს საქართველო ქართველი პატიმრების ტრაკებმა!..

* * *

ძვირფასო მკითხველო!

ბატონმა ივანიშვილმა ათასჯერ დაამტკიცა, რომ ჭკვიანი კაცია, მაგრამ, რასაც ახლა დაჟინებით მოითხოვს, ხელისუფლებიდან უნდა წავიდე და ქვეყანა ისე ვმართოო, სულ ცოტა, გაუგებრობას მაინც იწვევს!

ბატონო ბიძინა, საქართველო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო არაა, კანონიერი ქურდივით კაცმა გარედან რომ მართოს! —

მსოფლიოს პრაქტიკიდან თუ ერთ შემთხვევას მაინც დაასახელებთ, ვინმე ჭკუათმყოფელს ქვეყანა ასე ემართოს, ხმის ამოსაღებიც არაფერი გვექნება — თუ გნებავთ, სულაც ჭორვილაში იჯექით და იქიდან უხელმძღვანელეთ სრულიად საქართველოს!

ოღონდ ერთი კია, — თქვე კაი კაცო, ახლა უშუალოდ ქვეყნის სათავეში ხართ და, ქვეყანა დიდი ნაბიჯებით წინ რომ წასულიყო, ჯერჯერობით საამისო არაფერი ეტყობა!

ისევ უსამართლობა! ისევ უმუშევრობა! ისევ შიმშილი და უიმედობა!..

კარგი, რა! რისი პირველი ეტაპი დამთავრდა, ბატონო ბიძინა — რა ნაგავშიც აქამდე ვიყავით საქართველოს მოსახლეობა, დღესაც თითქმის იმავე ნაგავში ვართ თავჩარგული და ქათმებივით ვიქექებით მეორადი მოხმარების საკვების მოსაპოვებლად!..

პირველადი მოხმარების პროდუქტები კი, კარგა ხანია, ნაციონალებმა გამოხრეს!..

ამიტომ, სად მიდიხართ, თუ კაცი ხართ — ახლა უნდა მოდიოდეთ და თქვენ მიდიხართ?!

* * *

ბატონო ბიძინა!

დღევანდელი პარლამენტი, რომელსაც ახლა თქვენ გვიტოვებთ, ქართველ ხალხს არ აურჩევია — ესენი იქ მხოლოდ თქვენი სურვილისამებრ არიან შეყვანილი!

კი, ბატონო, ქართველებს ამ ბოლო დროს სხვა ბევრი სისულელეც ჩაგვიდენია, მაგრამ არც იმდენად ხეპრეები ვართ, ამდენი სასაცილო პარტია ლამის სრული შემადგენლობით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ხელის ერთი დაკვრით რომ შეგვეყვანა?!

ან კიდევ, ეს ნაფტალინიდან ამოღებული პოლიტიკოსები, უკაცრავად პასუხია, ვის რა ფეხებად უნდოდა?!

ბატონო ბიძინა, ან ამ ელისო ჩაფიძეს რა უნდა პარლამენტში? ქალი, ეს ამდენი წელიწადია, ოჯახში დიასახლისად არავის შეუყვანია და თქვენ კიდევ ერთბაშად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მიიწვიეთ!

ან კიდევ, თქვენ რომ არ შეხვეწნოდით, ეს მარგველაშვილი პრეზიდენტობაზე ჩვენ არ დაგვთანხმდებოდა?!

ერთი სიტყვით, ბატონო პრემიერო, როგორც ტერენტი გრანელი იტყოდა:

„ახლა უფრო დაფიქრების დროა,
დაშვებული შეცდომები ბევრია...“

და, ღმერთო — ამ შეცდომებს კიდევ ერთი არ დაუმატოთ და არ გადადგეთ!

თორემ, რა უბედურებაც ხელისუფლებიდან თქვენი წასვლის შემდეგ საქართველოში დატრიალდება, ყველაფერი თქვენ დაგბრალდებათ და სამშობლოს წინაშე იმ უდიდეს დამსახურებასაც კი დაგიკარგავენ, როგორიც სააკაშვილის რეჟიმისგან საქართველოს გათავისუფლებაა!

ერთი სიტყვით, ძვირფასო ბატონო ბიძინა, თუ ლაფში ჩაფლული ურემი, ანუ „ჩვენი ტურფა საქართველო“ სამშვიდობო გზაზე არ გაიყვანეთ, თქვენი ამდენი გარჯაც წყალში ჩაგეყრებათ!..

და, იმის მაგიერ, ერმა დიდების კვარცხლბეკზე რომ შემოგსვათ, დავით გურამიშვილის თქმისა არ იყოს,

„დარჩებით შვილთა ჩვენთაგან
გინებით მოსაგონარი!..“

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით
„ლიტ. საქართველო“
13 სექტემბერი, 2013 წ.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# „თუ გინდათ „ქართულ ოცნებას“ დაუჭიროთ მხარი, ხმა ნინო ბურჯანაძეს უნდა მისცეთ! თუ „ნაციონალების“ გულის გახარება გსურთ, ხმა „ქართულ ოცნებას“ მიეცით!“ (ფეისბუქიდან)

სოციალურ ქსელებში და წითელ-ყვითელ გაზეთებში გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, „ნაციონალები“ „ქართული ოცნების“ კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებაზე ჩალიჩობენ, „ქართული ოცნება“ ნინო ბურჯანაძეს და პარალელურად დავით ბაქრაძეს ეხმარება თურმე, რომ ბურჯანაძე პირველ ადგილზე გავიდეს როგორმე, ბაქრაძემ კი მეორე ადგილი დაისაკუთროს.

კი, ბატონო, დავუშვათ, რომ, ჭორია ეს ყველაფერი, თუმცა ის, რაც რეალობაში ხდება, რატომ იძლევა სერიოზულ საბაბს მსგავსი ჭორების გავრცელებისთვის?

ქართველ ხალხს სურს, სამართლიანობამ იზეიმოს და სააკაშვილის რეჟიმი გასამართლდეს, „ქართული ოცნება“ კი ნაციონალებიც ჩვენი ძმები არიანო, გაიძახის.

ქართველ ხალხს სურს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, „ქართული ოცნება“ კი კატეგორიული წინააღმდეგია და ყოველ ექვს თვეში არჩევნებს ხომ არ ჩავატარებთო? — აცხადებს..

ქართველ ხალხს სურს, სააკაშვილის ბანდიტების მიერ წართმეული ქონება თავის კანონიერ მესაკუთრეებს დაუბრუნდეს, სახელმწიფოსთვის წაგლეჯილი მილიონები სახელმწიფო ხაზინას დაუბრუნდეს, „ქართული ოცნება“ კი თითქმის არაფერს არ აკეთებს ამ მიმართულებით.

სამაგიეროდ, ნინო ბურჯანაძე ხალხის მოთხოვნებს ყურადღებით უსმენს და რაც ხალხს სურს, იმას ამბობს — სამართლიანობას აღვადგენ, დამნაშავეებს დავიჭერა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს დავნიშნავ, ქურდება და ყაჩაღებს მოპარულ მილიონებს მოვატანინებო.

მოდი და ნუ იფიქრებ ამის შემდეგ, რომ „ქართული ოცნება“ სპეციალურად არ უდგას ქართველ ხალხს კრიჭაში, რომ მისგან განაწყენებული და გაწბილებული ხალხი ბურჯანაძისკენ შეტრიალდეს და მის აქტიურ მხარდამჭერად და თანამოაზრედ იქცეს.







— არა უშავს, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, თანაც პირველსავე ტურში! — არხეინად არიან „მეოცნებენი“.

კი, მაგრამ ხალხს თუ გადაიმტერებთ და დაიპირისპირებთ, გამარჯვებას როგორ მოახერხებთ?

თქვენც არჩევნების გაყალბებას ხომ არ აპირებთ შემთხვევით და ეს ხომ არ გაძლევთ გულარხეინობის საბაბს?

კაცმა რომ თქვას, ასეც რომ მოხდეს, გასაკვირი არც იქნება — „ნაციონალების“ მიერ მემკვიდრეობად მიღებული გაყალბებულ-გაბერილი სიები, თავის მიცვალებულებიანად, ბოლომდე არავის ჩაუსწორებია და არავის დაუზუსტებია, სინამდვილეში რამდენი ამომრჩეველი ჰყავს საქართველოს.

მალე საარჩევნო კამპანია ფინიშის სწორზე გავა.

როგორც დასაწყისში ვთქვით, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ყველაფერი უკუღმა, შეტრიალებულად ხდება — თუ გინდათ „ქართულ ოცნებას“ დაუჭიროთ მხარი, ხმა ნინო ბურჯანაძეს უნდა მისცეთ, ხოლო „ნაციონალების“ გულის გახარება თუ გსურთ, ხმა „ქართულ ოცნებას“ მიეცით!

# ძებნილი

იძებნება მაღალი, გამხდარი მამაკაცი.

ღია ეთერიდან გავიდა და შინ არ დაბრუნებულა, აგერ უკვე მესამე კვირაა.

ეძებენ ყველგან — ტელევიზიებში, რედაქციებში, სამთავრობო სტრუქტურების ოფისებში, ბიზნესცენტრში, მთავრობის კანცელარიაში, რკინიგზაში, საქართველოს ფოსტაში, ბიზნესმენთა წრეებში, კვლევით და არაკვლევით ინსტიტუტებში.

მობილურზე არ პასუხობს, როგორც ამბობენ,. ნომერი გამოიცვალა, ბინის ტელეფონიც გამორთულია.

ბოლოს რომ ნახეს, დეპრესიაში ვარო, უთქვამს — არავის დანახვა არ მინდა, არავისთან დალაპარაკება არ მსურს და ყველამ თავი დამანებოსო.

არადა, როგორი აქტიური იყო — ყველგან ის ტრიალებდა, ყველაფერს ის წარმართავდა, ყველაფერს ის განაგებდა და უცებ ასეთი ვერაგი ავადმყოფობა, დეპრესია აიკიდა.

აიკიდა თუ აჰკიდეს, ეს კიდევ საკითხავია.

არისტოტელე ამბობდა — მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი, ეს კიდევ არისტოტელესგან განსხვავებით. მე ვიცი, რომ ყველაფერი ვიციო, — მიგვანიშნებდა, თუმცა, როგორც ბოროტი ენები ამბობდნენ, მისი ცოდნა არც ერთ დარგში, რომელშიც თავი კომპეტენტურ ექსპერტად მიაჩნდა, დილეტანტის დონეს არ სცილდებოდა. მისი მთავარი უბედურება ის იყო, რომ მან არ იცოდა, რომ ხეირიანად არაფერი არ იცოდა.

სამწუხაროდ, ეს არ იცოდა კიდევ ერთმა ადამიანმა, რომელიც ამ შარლატანს „ფრონტის“ ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე აგზავნიდა მდგომარეობის გამოსასწორებლად და დასარეგულირებლად:

— მიდი, პრესას მიხედე!ქტელევიზიებს მიხედე! ბიზნესს მიხედე! რკინიგზას მიხედდე! ეკონომიკის განვითარებას მიხედე! საკადრო პოლიტიკას მიხედე! — ავალებდნენ თვითმარ-




ქვია ყოვლისმცოდნეს და, გასაკვირი ის იყო, რომ ესეც ყველაფერს ივალებდა და თანხმობის და დასტურის ნიშნად ყველაფერზე თავს აკანტურებდა.

შედეგი კი ის არის, რომ ეს ყველაფერს უთავბოლოდ მოდებული კაცი, საბოლოო ჯამში, ვერაფრის გაკეთებას ვერ ასწრებდა.

— რა ხდება ამ რკინიგზაზე? თქვენ ხომ იქ მრჩეველი ხართ? — ჰკითხა ერთმა ჟურნალისტმა.

— კი, მრჩეველი კი ვარ, მაგრამ იმდენი საქმე მაქვს, რკინიგზისთვის ვერ ვიცლი და, ამდენად, საქმის კურსში არ ვარო, — უპასუხა ყოვლისმცოდნემ.

— მაშინ იმდენი უნდა წამოიკიდო, რამდენის ზიდვასაც შეძლებთ, — უნდა ეთქვა ჟურნალისტს, მაგრამ არ თქვა.

ყოვლისმცოდნე ყოვლისშემძლის მანტიასაც მოხერხებულად ირგებდა და, ეტყობა, ყოვლისშემძლე კაცის განაწყენებას მოერიდა.

ყოვლისმცოდნემ ერთხელ ასეთი რამ ბრძანა: მართალია, ამა და ამ პიროვნებამ მრავალმილიონად ღირებული ქონება რეკეტით, შანტაჟით, ძალადობით მიითვისა, მაგრამ მოგვიანებით მან ეს ქონება გაყიდა. ჰკითხეთ ამ ქონების შემძენს, რაიმე სახის ზეწოლას ჰქონია ადგილი ჩვენი მხრიდან? ჩვენ მასთან არანაირი პრობლემები არ გვაქვსო.

დიდო ყოვლისმცოდნევ, მრავალ მილიონად ღირებული ქონება კი არა, 50-ლარიანი მობილური რომ შეიძინოს ვიღაცამ და ის მობილური მოპარული რომ აღმოჩნდეს, იცით, რამხელა პრობლემები შეექმნება?

საქმეც სწორედ მაგაშია, რომ რეკეტიორს, ბანდიტს და ყაჩაღს ნაძარცვნაგლეჯის უპრობლემოდ გაყიდვის და ქვეყნის უპრობლემოდ დატოვების საშუალება მიეცა, ხოლო მყიდველს, რომელმაც, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცოდა, რომ ნაძარცვ-ნაქურდალს ყიდულობდა, დღეს უბატონოდ ხმას არავინ სცემს.

ამ ყოვლისმცოდნეს ან ყველა იდიოტი ჰგონია ან თვითონ არის იდიოტი და არ იცის, რას ამბობს.

აი, ასეთი კაცი დაიკარგა უგზო-უკვლოდ — ტელეფონზე არ პასუხობს, არც ბიზნეს-ცენტრში ჩანს, არც რკინიგზაში, არც სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების ოფისებში, არც ტელეეკრანზე, არც პრესაში.

უშველეთ ქვეყანას, გვაპოვნინეთ, მოგვაძებნინეთ და თუ სადმე ნახავთ, დაუყოვნებლივ გვაცნობეთ.

**ამოსაცნობი ნიშნები**: მაღალია, გამხდარი (სამშობლოზე დარდმა ჩამოახმო) წვერ-ულვაშს ატარებს. აცვია ბოტასები. საუბარში ხანდახან ძველბიჭურ გამოთქმებს ურევს — აქაოდა, არავიში შეგეშალოთ, ძმაოო. იცის ყველაფერი, თუმცა სინამდვილეში არაფერი არ იცის, გარდა ერთისა — როგორ გამოადინოს ქვას წვენი და როგორ გამოიღოს მილიონები ლომის ხახიდან.

**დავით ქავთარია**

***P.S.*** *წერილი ასაწყობად გვქონდა გადაცემული, როდესაც გვაცნობეს — დაკარგული გამოჩნდა! ერთ-ერთ გადაცემაში ღია ეთერში, პირდაპირ ჩართვაში მორიგი სიბრძნეები გადმოაფრქვიაო.*

*გვეშველა! გადავრჩით! სახელმწიფო მოხელეებს, მინისტრებს მშვიდად შეუძლიათ იძინონ — ამიერიდან მათ მაგივრად ყველაფერს ეს გააკეთებს და მანამ არ მოისვენებს, სანამ ამ ქვეყანას ბოლომდე არ დაღუპავს.*

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# „საზმაუ“ — ხალხის ტელევიზია თუ ფულის საჭრელი „ცეხი“?

ბოლო 22 წელიწადია, როგორც საქართველოს არ ეშველა, ისე არ ეშველა საზოგადოებრივ მაუწყებელს. მთავრობები მიდიან და მოდიან, „საზმაუში“, კი არაფერი იცვლება იქ დრო გაყინულია.

ამ ბოლო დღეებშიც სკანდალი მოხდა. ბორდელებმა გენდირექტორი გიორგი ბარათაშვილი გაათავისუფლეს. მოგეხსენებათ, ბორდი წინა რეჟიმის დროს იყო დაკომპლექტებული ნაციონალების მხარდაჭერით და დასტურით. ვიცით ჩვენ, ვერც ერთ საპასუხისმგებლო პოსტზე ვერ დაინიშნებოდა ადამიანი, ნაცმოძრაობის მომხრე თუ არ იყო და მით უმეტეს, საზოგადოებრივ მაუწყებელში, მთავარ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მონსტრს სათავეში ვის ჩაუყენებდნენ, ნაციონალების მხარდამჭერი რომ არ ყოფილიყო?

ასეთი ჭეშმარიტება არსებობს: არავის შეუძლია ორი ბატონის მონობაო და „საზმაუს“ ბორდი, რომელიც უკვე იყო ნაციონალების მონა, ვეღარ გახდება სხვისი მონა.

სამწუხაროდ, გენდირექტორის მოხსნა ხდება მაშინ, როცა მოახლოებულია საპრეზიდენტო არჩევნები, ხოლო ახლის არჩევა, კანონმდებლობით, ახალ წლამდე შეუძლებელია, გამოდის, რომ სახელმწიფო ტელევიზია, რომელიც ბიუჯეტიდან ხალხის ფულით ფინანსდება, ახალ წლამდე სრულფასოვნად ვერ იმუშავებს.

რა არის ეს? — შეგნებულად ჩადენილი მავნებლობა, საბოტაჟი თუ ხალხის აბუჩად აგდება?

რას ნიშნავს სახელმწიფო ტელევიზია, რატომ უნდა იყოს და რატომ არის ის ანგარიშვალდებული ქართველ ხალხთან?

კერძო ტელევიზიები, მიუხედავად მცდელობისა, რომ იყვნენ ნეიტრალურნი, მაინც კერძო ინტერესებს ემსახურებიან, ხოლო სახელმწიფო ტელევიზია უნდა გამოხატავდეს არა წამყვანი პოლიტიკური ძალების სიმპათიაანტიპათიებს, არამედ ხალხის მოთხოვნებს და შეხედულებებს, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის არც ერთ გადაცემაში არ ჩანს უკვე ათეული წლებია.

ცხადია, ამ კოსმოპოლიტურ და გლობალისტურ ეპოქაში, საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს ყველაზე ეროვნული და სახელმწიფოებრივად სწორად ორიენტირებული არხი, რომელიც ამ ქვეყანაში ორი-სამი დღით სტუმრად ჩამოსულსაც კი შეუქმნის ქვეყნის შესახებ წარმოდგენებს.

გვაქვს თუ არა განვითარების გეზი და პოლიტიკური ორიენტაცია, ეს სხვა სალაპარაკო თემაა, მაგრამ სახელმწიფო ტელევიზიის ბორდში, ანუ ხელმძღვანელობაში საზოგადოებრივად და პოლიტიკურად ჩამოყალიბებული, აბსოლუტურად პროფესიონალი ადამიანები უნდა იყვნენ მიწვეულნი. არადა, სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევს „საზმაუზე“, სადაც ხელმძღვანელობა, როგორც არაერთხელ ითქვა, ტრადიციულად, ბიუჯეტის ფულს ისე ხარჯავდა, როგორც მოეპრიანებოდა და მეტიც, გათავხედებულნი ფინანსური კონტროლის უფლებასაც არავის აძლევდნენ.

ახალმა ხელისუფლებამ რამდენიმე თვის წინ მოინდომა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური კონტროლი, მაგრამ, როგორც ჩანს, ტელევიზიის ხელმძღვანელობას გულის ფრიალი აუტყდა და ნაცების მხარდამჭერ ბორდს მაშინვე გამოუჩნდნენ დამცველები, საქართველოშიც და უცხოეთშიც და შემოწმების მაგივრად ეს ინიციატივა მედიაზე ზეწოლად შეფასდა, ხოლო გადაყლაპული მილიონები კვლავ ხახვივით შერჩათ ვიღაც-ვიღაცებს.




ქაღალდი ყველაფერს იტანსო და კონტროლის პალატის შემოწმების დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ტელევიზიის გარკვეული ჯგუფის მიერ მილიონობით თანხებია მითვისებული, კვლავ კონტროლის პალატის ძველ საქაღალდეებში ინახება და ამის გამო დასჯილი არავინ გვინახავს, ხოლო საზმაუს დღეს ბიუჯეტის 23 მლნ ლარი აქვს ვალად.

ყოველთვის ასე იყო, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობა მუდმივად თვლიდა თავს ვალდებულად ხელისუფლების მსახური ყოფილიყო, რადგან არასდროს ჰქონია გაცნობიერებული, რომ ბიუჯეტის ფული, ეს იყო არა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის, არამედ, როგორც იტყვიან, მისი უდიდებულესობა ხალხის ფული იგივე ხალხის ტელევიზიისთვის.

ხალხისო, რომ ვამბობთ, რომელი ხალხი იყო წარმოდგენილი საზოგადოებრივ მაუწყებელზე ამ 20 წლის განმავლობაში?

ახლა ერთი პარადოქსი უნდა ვთქვა და იმედია, ჩაქოლვას გადავურჩები: I არხი — საზოგადოებრივი მაუწყებელი კომუნისტური მმართველობის ბოლო წლებში უფრო ეროვნული და სახალხო ტელევიზია იყო, ვიდრე მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და შეეცადა ასე თუ ისე საკუთარი ჭკუით ევლო საკუთარ ფეხზე.

ახლახან ძველი „ტელევიზიონშჩიკი“, ბატონი გელა ქოქიაშვილი მიყვებოდა გულდაწყვეტილი: ბოლო წლებში საქართველოს ისტორიულ ძეგლებსა და სხვა ღირსშესანიშნაობებზე ვამზადებდი გადაცემას, ჯერ სააკაშვილის დედიკოს გიული ალასანიას გადააბარეს ეს გადაცემა და მერე საერთოდ დახურესო...

ეროვნული პოზიციის გამომხატველი, აზრი, კონცეფცია, სიუჟეტი, გადაცემა განდევნილია ტელევიზიიდან და თუ დღეს ამ უსახურ, ურეიტინგო საზმაუში ხელმძღვანელები ფულს აკეთებენ და საქმის მაგივრად შემოსავლიან ბიზნესად აქვთ ქცეული ტელევიზია.

**ტელევიზიის მუშაობის კარგად მცოდნე ადამიანებთან მოვხვდი ამას წინათ და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბატონი ნუგზარ ფოფხაძის სახელი და გვარი ახსენეს მათ, როგორც ტელევიზიის ნოვატორის და ავანგარდისტის, იმ დროის პროფესიონალის, კომუნისტური უქრაობის ხანას რომ ემახდნენ. დროში, რომელიც სრულიად გამორიცხავდა ტელევიზიით ყოველგვარი ეროვნულის აგიტაციას, ნუგზარ ფოფხაძე ეროვნულ, სახელმწიფოებრივ და მაღალპროფესიონალურ გადაცემებს ამზადებინებდა თანამშრომლებსო...**

მეც იმ ტელევიზიაზე გავიზარდე და ახლაც მახსოვს „ძეგლის მეგობარი“, „პოეზიის ხუთი წუთი“, ქართული დოკუმენტური ფილმები, ფოლკლორის საღამოები, ხარაბაძის მიერ წაკითხული ქართველი მწერლების ნაწარმოებები, კვაჭანტირაძის ლექციები, და თვით ქართული „ძილისპირულიც“.



დღეს ტელევიზიები გადავსებულია უცხო სერიალებით, სადაც ზნეობრივი კატეგორიები სასაცილო დონეზეა და სერიალებში ზნეობრივად მხოლოდ ჭკუანაკლული ბარმენი იქცევა და ისიც ირონიას იწვევს... სამწუხაროდ, გადაყლაპა ყველა საეთერო და არასაეთერო დრო ბრაზილიურმა და არგენტინულმა სერიალებმა და ამ „ბედნიერების“ ახლა თურქული სერიალებიც მიემატა. თურქული სერიალები არა მხოლოდ ნახევარი საათი, როგორც სხვა სერიალები იყო, არამედ ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობს. ყოველ დღე განუწყვეტელი პროპაგანდა თურქული ცხოვრების, ეს არის ჩუმი და შეფარული მტრობა და ყოველგვარი ქართულის მოსპობის მცდელობა მიზანმიმართულად და ძალად, და ამას საკუთარი ხელით გვაკეთებინებენ ისე, რომ სავაშ ბეი, ყველა ოჯახის „საყვარელი წევრი“ იყოს, რომ მერე, როგორც მითხრეს, ბათუმში გოგონებმა დემონსტრაცია მოაწყონ ლოზუნგებით ხელში: „სავაშ, შენგან შვილი მინდა!“

**სანამ სავაში საქართველოში ქართველი გოგონების დასაგრილებლად ჩამოვა, მანამდე საზოგადოებრივ მაუწყებელს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები უჟურებენ მუშტრის თვალით.**

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ერთს შეგახსენებთ: ეს ის არასამთავრობო ორგანიზაციებია, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, ბატონ დავით დარახველიძეს ბოდიში რომ მოახდევინეს მაშინ, როცა ბატონ დავითს წამოსცდა: არ მინდა ზანგი, რაჭველი გოგოცუნა მირჩევნია რძლადო...

არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც ჩანს, სურთ თავიანთი უცხოელი პარტნიორების დაკვეთით და მითითებით მართონ ქართული ტელევიზია — საზოგადოებრივი მაუწყებელი და მთლად გადააგვარონ ქართველი ხალხი...

**თუ ვართ საზოგადოება, საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვა, ბორდის მონიტორინგი და მეთვალყურეობა უნდა ვიკისროთ ჩვენ და არ მივცეთ იმის საშუალება ვინმეს, ბოგანო ყრუსავით ჩაგვძახოს და თვალში მოგვაჩეჩოს ის, რაც არ მოგვწონს და არ გვჭირდება.**

ვფიქრობთ, ახალმა ხელისუფლებამ გამბედაობა უნდა მოიკრიბოს და საზოგადოებრივ მაუწყებელში წლების განმავლობაში გამეფებულ განუკითხაობას წერტილი უნდა დაუსვას.

ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება გაურკვეველი წარმოშობის ათკაციანი ბორდის წყალობით ხალხის კუთვნილი ტელევიზია პოლიტიკურ ვნებათა ბორდელად და ფულის საჭრელ „ცეხად“ იქცეს?

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვინ უვრცელებს ჭორს ბიძინა ივანიშვილს, თითქოს მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრზე ფარული ჩანაწერები არსებობს?

## ვინ ხართ თქვენ, ბატონო ნიკოლოზ, უფლებადამცველი თუ „ნაციონალების“ მიერ შემოგდებული ჭორების გამავრცელებელი?

მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინათ, დიდი ყოყმანისა და ჭოჭმანის შემდეგ, ადამიანთაა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერები საზეიმო ვითარებაში გაანადგურეს და ამ აქტს შესაბამისი კანონიც მოაყოლეს, რომ ამიერიდან სასტიკად დაისჯება არა მარტო მსგავსი ვიდეოჩანაწერების დამზადება, არამედ ნებისმიერო ფორმით მათი გავრცელება.

მაგრამ არაფერი თქმულა, არავის უმსჯელია და, შესაბამისად, არავინ იცის, რა ხდება მაშინ, როცა ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაცია არა ვიდეოჩანაწერის, არამედ სიტყვიერად, ბეჭდური გამოცემების მეშვეობით ვრცელდება.

პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანს ვიდეოჩანაწერის გამომზეურებით მოკლავ თუ რომელიმე გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილით?! ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი და



იგივეა, თუმცა პირველ შემთხვევაში თუ კანონის წინაშე მოგიწევს პასუხისმგებლობა, მეორე შემთხვევაში, ხახვივით შეგრჩება ყველაფერი და ფეხებსაც ვერავინ მოგჭამს.

საქმე ის არის, რომ თავის დროზე ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა დაჟინებული მოთხოვნით ძირფესვიანად შეიცვალა და გადაკეთდა კანონის ის მუხლი, რომლითაც ცილისწამების, ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის გავრცელების საკითხი რეგულირდებოდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დღეს რაც გინდა, ის შეგიძლია თქვა ადამიანზე და თუ ამას მტკიცებულების სახით არ იტყვი, პასუხს ვერავინ ვერ მოგთხოვს.

არსებობს „ოქროს“ სიტყვები, რომლებსაც ამა თუ იმ ინფორმაციას წინ წაუმძღვარებ და პასუხისმგებლობაც მოხსნილი გაქვს.

ეს „ოქროს“ სიტყვებია: „გადაუმოწმებელ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით“, „მე არაფერს არ ვამტკიცებ“, „როგორც ამბობენ“, „მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ“, „ხალხში ხმა დადის“, „ჭორად მსმენია“, „სანდო პირისგან მაქვს ინფორმაცია“, „როგორც კონფიდენციალურმა წყარომ მაცნობა“ და ა.შ. და ა.შ.

ეს ყველაფერი ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ გამახსენა, რომელშიც უფლებადამცველი (ასე უწოდებს საკუთარ თავს) ნიკოლოზ მჟავანაძე აშკარად ადამიანის ღირსების შემლახველ სკანდალურ ინფორმაციებს აწვდის ჟურნალისტს, მაგრამ აწვდის ისე, რომ სამართლებრივად ვერ მოედავები:

**„მაქვს ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილის შვილზე, უტაზეც უნდა იყოს გადაღებული მაკომპრომეტირებელი მასალა, რომელიც საფრანგეთში გადაიღეს. ამბობენ, რომ პრემიერს ამით აშანტაჟებენ. ბიძინას პოლიტიკიდან სწრაფად წასვლის გადაწყვეტილებაც ამით უნდა იყოს ნაკარნახევი“.**

რესპონდენტის ნათქვამზე, „მაქვს ინფორმაცია“, ჟურნალისტს უნდა ეკითხა: საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია და რამდენად სარწმუნოა იგი, მაგრამ ჟურნალისტი ამ კითხვებს არ სვამს, რადგან იცის, რესპონდენტი ამ კითხვებს არ უპასუხებს, რადგან მას კანონით არ აქვს ვალდებულება დაასახელოს ინფორმაციის წყარო, დაამტკიცოს ინფორმაციის სიზუსტე და ნამდვილობა.

ფაქტობრივად, რესპონდენტი და ჟურნალისტი ჭორაობენ, თუმცა ამ ჭორაობით ბიძინა ივანიშვილის და მისი ოჯახის წევრის დისკრედიტაცია რომ ხდება, ეს აბსოლუტურად არ ანაღვლებთ.

მთავარი მიზანი მიღწეულია: — დაითესა ეჭვი, ტირაჟირება გაუკეთდა ბინძურ ჭორს, ადამიანებს მძიმე მორალური შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ მერე რა, ამაზე პასუხს არავინ არ აგებს — არც რესპონდენტი, არც ჟურნალისტი, არც გაზეთი, სადაც ეს ამაზრზენი ინფორმაცია გამოქვეყნდა.

უფლებადამცველი ნიკოლოზი აგრძელებს „სკანდალური“ ინფორმაციების ფრქვევას:

**„დარწმუნებული ვარ, ახალი მთავრობის ბევრი ქალი მაღალჩინოსანიც ამორალურ ქცევაშია შემჩნეული, რის შესახებაც ბიძინამ იცის. უკვე დაასტურდება, ხელისუფლება იმიტომ მიდის კოაბიტაციაზე, რომ „ნაციონალები“ აშანტაჟებენ მათ“.**

ხედავთ, რაში ყოფილა საქმე? აქამდე თუ გვეგონა, რომ ამ ავადსახსენებელ კოაბიტაციას საერთაშორისო თანამეგობრობა გვაძალებდა, ახლა გაირკვა, რომ ახალი მთავრობის ბევრი მაღალჩინოსანი ქალი ამორალურ ქცევებში ყოფილა გამოჭერილი და „ქართული ოცნება“ „ნაციონალებთან“ იძულებით კოაბიტაციაზე ამიტომ დათანხმებულა.

**რა ბევრი ქალი, ნიკოლოზ, ახალ მთავრობაში სულ სამად სამი (მეოთხე ახლა შემოემატა), მაღალჩინოსანი ქალბატონია: თეა წულუკიანი, თამილა გოგალაძე, მაია ფანჯიკიძე ...**

რაში ხართ ახლა თქვენ დარწმუნებული: ამ სამიდან სამივე ამორალურ ქცევებშია შემჩნეული თუ კონკრეტულად რომელიღაცაზე გაქვთ ეჭვი?

უფლებადამცველი ნიკოლოზი ვერ ჩერდება და ეშხზე მოსული წულუკიანსაც „წაიბურთავებს“:

**„რაც შეეხება წულუკიანს, მისი რენომე უკვე დისკრედიტირებულია. პარტიის მდივნის დონეზე დარჩა და წინ ვერ წავიდა, რადგან ყველა ფეხის ნაბიჯზე შეცდომებს უშვებს, მეტსაც გეტყვი, ბიძინას პირად საუბრებში ხშირად აქილიკებს და მას ქონდრისკაცს უწოდებს“.**

რაო, წულუკიანი ივანიშვილს უწოდებს ქონდრისკაცს?

წულუკიანი, კაცო?!

ასეთი რამ მართლა თუ თქვა წულუკიანმა და ეს ამბავი ივანიშვილს თუ მიუტანეს, ხომ ჩაბჟირდებოდა კაცი სიცილისგან?

„მალე დიდი სახალხო გამოსვლები დაიწყება და ამ ტალღას ვერავინ შეაჩერებს“, — ასე აგვირგვინებს უფლებადამცველი ნიკოლოზი თავის ინტერვიუს.

შემთხვევით ეს კაცი „ნაციონალი“ ხომ არ არის და უფლებადამცველი ისე, შესანიღბად ხომ არ ჰქვია?

ჩვენ არაფერს არ ვამტკიცებთ, მაგრამ, როგორც ამბობენ, „ნაციონალებს“ უფლებადამცველ ნიკოლოზზეც აქვთ ფარული ვიდეოჩანაწერები და ამით აშანტაჟებენ მას და აიძულებენ ბიძინა ივანიშვილზე, მის ვაჟზე, მაღალჩინოსან ქალბატონებზე ამაზრზენი ჭორები გაავრცელოს.

ეს ინფორმაცია, მართალია, გადაუმოწმებელია და არ ვიცით, რამდენად შეეფერება სიმართლეს, მაგრამ საქართველოში არსებობის უფლება ხომ ყველანაირ ინფორმაციას აქვს, მათ შორის გადაუმოწმებელსაც?!



რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებას, მან ამის შესახებ ორი წლით ადრე, პოლიტიკაში შემოსვლისთანავე, გვამცნო.

ასე რომ, ეს გადაწყვეტილება არანაირად არ შეიძლება რაღაცით უკავშირდებოდეს უფლებადამცველი ნიკოლოზის მიერ გაჟღერებულ ჭორს.

აქვე გვინდა კიდევ ერთი რამ დავამატოთ: **ბიძინა ივანიშვილის თქმით, სწორედ მისი ვაჟი უტა იყო ის პიროვნება, რომელმაც მას კატეგორიულად მოსთხოვა პოლიტიკაში წასვლა და უკიდურეს განსაცდელში ჩავარდნილი ქვეყნის შველა.**

**— თუ შენ არ გააკეთებ ამას, მაშინ მე გავაკეთებ! — უთხრა მან მამას.**

**ეს იყო ბოლო წვეთი, რამაც ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიაღებინა.**

**გამოდის, რომ ამ ახალგაზრდა კაცს, უტა ივანიშვილს, საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის მოვლენების იმგვარად განვითარებაში, როგორც ის 2011 წლის ოქტომბრიდან განვითარდა და რომელიც „ნაცმოძრაობის“ ფაშისტური რეჟიმის დემონტაჟით დასრულდა.**

**ყოველივე ამის შემდეგ ასე უხეშად სამაგიეროს ამ ახალგაზრდა კაცს და მადლობის მაგიერ ლაფსა და ტალახს ვესვრით?**

**ბოლოს და ბოლოს, უნამუსობას, უმადურობას და უტიფრობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი?**

**გიორგი გამეზარდაშვილი**

**P.S.** ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რომ მას უტა ივანიშვილზე მსგავსი არაფერი უთქვამს.

ჟურნალისტის მტკიცებით, მჟავანაძემ ასეთი რამ ნამდვილად თქვა, ოღონდ პირად საუბარში, რისი ჩანაწერიც მას, სამწუხაროდ, არ აქვს.

ჟურნალისტმა ბოდიში მოუხადა მჟავანაძეს, მან ეს ბოდიში მიიღო და „კონფლიქტიც“ ამით ამოიწურა.

ნახეთ, რა კარგი გამოსავალი მოძებნეს უფლებადამცველმა და ჟურნალისტმა? — იმას „არ უთქვამს“, ამას „არ ჩაუწერია“... თუმცა, მიუხედავად ამისა, ინტერვიუ გაზეთში მაინც დაიბეჭდა.

რა ჰქვია ყოველივე ამას, დაე, მკითხველმა განსაჯოს...

გ.გ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# დღეს ხალხი დუმს, მაგრამ ივანიშვილი მალე მიხვდება, რომ დუმილიც რეკს!

## *სოსო მანჯავიძე: „ვინც პატრიოტებს გონის და ემოციის მიხედვით ჰყოფს, იმან არ იცის, რომ გული და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“*

გვესაუბრება პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი **სოსო მანჯავიძე**

**— სოსო, ივანიშვილმა ღია წერილით პოლიტიკიდან წასვლის მიზეზები ახსნა, ისაუბრა იმაზეც, რომ თუ საჭირო გახდა, ისევ დაბრუნდება. აღნიშნა, რომ სტაბილურობისა და წინსვლისკენ ატარა ქვეყანა. ამ წერილის მერე იმედია, კითხვები აღარ დარჩებაო. თქვენთვის „გაკვეთილი გასაგებია“ თუ მაინც გაქვთ კითხვები?**

— არცერთ მოსაზრებას არ ვეთანხმები, ქვეყნის აშენებაზე საუბარი სასაცილოა. ასეთი განცხადებები ძალიან ცუდ ფიქრებს აღძრავს. მეორეც, მთავრობა არათუ კომპეტენტური არაა, არამედ ქმედუუნაროა, და რაც მთავარია, პრობლემებზე ადეკვატურად ვერ რეაგირებს. მთავრობის მუშაობა ძალიან მაგონებს მძინარე მზეთუნახავში აღწერილ სიუჟეტს. საერთოდ, მიმდინარე საკითხებთან, პრობლემებთან დაკავშირებით არავითარი სტრატეგიული ხედვა არ არსებობს. კოაბიტაციამ საერთოდ დაბანგა მათი გონება.

**სრულ სამართლებრივ უდაბნოში ვიმყოფებით, სადაც მთავარი კრიტერიუმი, ღირებულება სამართლიანობა კი არა, არამედ ეს სიჩუმე, სტაბილურობაა. მათ ახალი სტაბილურობის კერპი შექმნეს, ვითომ კოაბიტაცია სტაბილურობისთვისაა საჭირო.**

აქედან გამომდინარე, სტაბილურობა ყველამ უნდა დაიცვას, ვინც ასე არ მოიქცევა, თურმე ქვეყნის არევის მომხრეა და ა.შ. ეს მიდგომა საფუძველშივე მცდარია და უმძიმეს შედეგებს გამოიწვევს. ამ სიტუაციაში, როდესაც არაფერი ხდება, როცა გარკვეული არ არის, თუ საით მიდის ქვეყანა, ერთადერთი იმედი იყო ის, რომ ივანიშვილს სტრატეგიული აზროვნება, გეგმები ჰქონდა და სააკაშვილის გასტუმრების მერე, იგი დიდ წმენდას ჩაატარებდა, სამართლიანობას აღადგენდა, ინვესტიციებს მოიზიდავდა და ქვეყნის განვითარება დაიწყებოდა. ამის მაგივრად მივიღეთ ის, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან საერთოდ მიდის და თან ამბობს, რომ სტაბილურობისა და წინსვლისკენ ვატარე ქვეყანა, ინვესტიციები მოვიზიდეო და ა.შ. ამ შემთხვევაში, აწმყო და მომავალი აბსოლუტურად ერთმანეთშია არეული. ანუ, უცებ, მომავლის იმედებს ცივი წყალი გადაესხა. რაც შეეხება განცხადებას, თუ საჭირო იქნა, ისევ დავბრუნდებიო, ეს არც კი ვიცი, რა ჟანრია, ტრაგიკომედიაა თუ კიდევ სხვა რამ. ფაქტი ერთია, ასეთი რამ არსად მომხდარა — ნუ გეშინიათ, რამე რომ იყოს, ისევ დავბრუნდებიო. პროფესიით ისტორიკოსი ვარ და მინდა გითხრათ, რომ ისტორიაში ასეთი პრეცედენტები ძალიან იშვიათია. უნიკალურ სიტუაციაში აღმოვჩნდით: 300 ათასი ადამიანი გაასამართლეს, ადგილი ჰქონდა მასობრივ თვალთვალს, გაუპატიურებებს, წამებებს, ქონების მასობრივ წართმევას, ტერიტორიების გასხვისებას, ეროვნული აქტივების განიავებას, ქვეყნის საველე ორმოში ჩაგდებას, ქალაქის დამახინჯებას, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, დაცინვას და ათას სხვა რამეს — ამ ხელისუფლებამ ტერორისტული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ყველა ქმედება ჩაიდინა. ამ დროს გვეუბნებიან, ეს ყველაფერი კი მოხდა, მაგრამ არაუშავს, ახლა მთავარი კოაბიტაციააო. ხალხის მდგომარეობა შემდეგია — იგი გაოცებული, გაოგნებული, იმედგაცრუებულია და ინერციით საპრეზიდენტო არჩევნებს ელოდება. ოღონდ, ვერ აცნობიერებს, საპრეზიდენტო არჩევნებისგან რას ელოდება. საქართველოში ვერავინ გეტყვით, რა მოხდება, რა შეიცვლება მას შემდეგ, რაც მარგველაშვილს აირჩევენ.

მხოლოდ იმედის ინერცია არსებობს. სახალხო განწყობილების მთავარი იმედი — ივანიშვილი, მიდის, ამბობს, რომ პოლიტიკისგან სიამოვნებას ვერ იღებს და უფრო სასიამოვნო სფეროში მიემართება, გვიტოვებს მარგველაშვილს, უსუფაშვილს, რომელიც საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში, ფაქტობრივად, ქვეყნის მმართველი ხდება, პრემიერ-მინისტრად ვის გვიტოვებს, არ გვეუბნებიან.

**— ამ მდგომარეობიდან გამოსავლის რა გზებს ხედავთ?**

— „პატრიოტთა ალიანსი“ ყველა მიმართულებით მუშაობს. გარწმუნებთ, ამ ვითარებას დიდი დღე არ უწერია. ჩემი პროგნოზი ასეთია — საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყანაში ტოტალურ ნდობის კრიზისს გამოიწვევს, რაც სახელისუფლო სტრუქტურებს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს და მმართველი პოლიტიკური ელიტის დელეგიტიმაციას გამოიწვევს. როდესაც მარგველაშვილს აირჩევენ, ხოლო მეორე ადგილზე ბაქრაძე გავა და კვლავ იგივე პოლიტიკური პინგ-პონგი გაგრძელდება, ხალხის განწყობილება კულმინაციას მიაღწევს, ბოლო იმედიც ჩაქრება. ვინც ასეთი პოლიტიკის გამტარებელია და საკუთარი თავი ძალიან ჭკვიანი ჰგონია, მათ საყურადღებოდ ვამბობ, როცა ბოლო იმედიც ქრება, მერე ამ ავგიას თავლის დასუფთავების პროცესი დაიწყება. პირველი, ვინც ავგიას თავლას დაასუფთავებს, ჩვენ ვიქნებით. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

**ზოგჯერ ამ ყველაფერს ისტორიკოსის თვალით ვუყურებ და მინდა გითხრათ, სატირული მდგომარეობაა. ხან ჯონათან სვიფტი, ხან შჩედრინი, ხან გოიას ნახატები მახსენდება. ხალხი ღრმა ძილშია, გონის ძილი შობს ურჩხულებს, გონებას და სინდისს ღრმად სძინავს და ქვეყანაში ურჩხულები არიან გაბატონებულნი.**

**— თქვენს პარტიას „პატრიოტთა ალიანსი“ ჰქვია. ივანიშვილმა ღია წერილში პატრიოტები ორ ნაწილად — გონის და ემოციის პატრიოტებად დაჰყო.**

— ეს ყველაფერი გაუგებარია. ჯერ ერთი, ვის გულისხმობს ბატონი ივანიშვილი საზოგადოებაში, — არასამთავრობო სექტორს ხომ? საზოგადოების სექტორს ეძახის „საიას“, „საერთაშორისო გამჭვირვალობას“ და ა.შ. ალბათ, „თავისუფლების ინსტიტუტსაც“ გულისხმობს და სწორედ მათ გაძლიერებაზეა ლაპარაკი. ჩვენ კარგად ვიცით, 9 წლის მანძილზე ამ სექტორის შეფასებები. ის, რაც სააკაშვილის დროს პენიტენციალურ სისტემაში ხდებოდა, მათ ანგარიშებში ასახულია, როგორც კრიმინალთან ბრძოლის მკაცრი პოლიტიკა. მილიონიან დაფინანსებებში საერთოდ არაა ასახული, რაც სინამდვილეში ხდებოდა — ის, რომ ადამიანები წლების მანძილზე ტერორის, წამების პირობებში იყვნენ, არსად წერია. ცხადია, ივანიშვილი კვლავ ასეთი სექტორის გაძლიერებაზე საუბრობს.

**— გამოდის, რომ ვინც ბოლო 12 წელი ქვეყანას ებრძოდა, ისევ მათ ვაძლიერებთ? თანაც ამ არასამთავრობოების დაფინანსება ხალხისთვის გამჭვირვალე არაა.**

— გონივრულ პატრიოტიზმში თუ ამათი გაძლიერება იგულისხმება, აღარ ყოფილა საშველი. გასაგებია ყველაფერი, როგორც ჩანს, ივანიშვილს ასე ჰგონია და ასე აღიქვამს გონებით პატრიოტიზმს. მას ვარწმუნებ, გონის და გულის პატრიოტიზმში გაცილებით ბევრი რამ არის უკეთესი, ვიდრე მისი პოლიტიკური ფავორიტები — „რესპუბლიკელები“ და სხვა ლიბერალური ფლანგის წარმომადგენლები.

**გაცილებით უფრო ნიჭიერი, პატრიოტი და უნარიანი ხალხი ჰყავს სამშობლოს, ვიდრე ეს პარტიები და ჩამოთვლილი არასამთავრობოები. მათი ლიბერალურსუმბურული აზროვნებაა მიზეზი საქართველო ამ უბედურებაში რომ გაეხვია. ძალიან ვწუხვარ, რომ ივანიშვილის წარმოდგენაში ეს ხალხი აზროვნების და პროფესიონალიზმის პიკია.**

იგი ღრმად სცდება. ჩვენ ვიცით, ვინც აფინანსებს ამ არასამთავრობოებს. არავინ ლაპარაკობს ბოკერიაზე, რომელიც იქ უშიშროების საბჭოს მდივანია. საერთოდ ჩაჩუმდა მსჯელობა „თავისუფლების ინსტიტუტზე“ — რა უნდათ, რას აკეთებენ?! საქართველოს მთავრობას კვლავ ენ-დი-აი და აირაი ხელმძღვანელობს, გაიდ-ლაინებს აძლევენ. ზუსტად იგივე ხდება, რაც აქამდე იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნავარო გამოიყვანეს





და გვმოძღვრავდა, გამოკითხვებს აწარმოებდა. ეს ამ ხალხში პროტესტს არ იწვევს, მათ სინდის ღრმა ძილით სძინავს. როგორც ჩანს, ძალიან ღრმა შინაგანი პრობლემები გვაქვს. საკმარისია ყოფილმა თანამებრძოლმა სავარძელი დაიკავოს და მაშინვე ყოველგვარი კითხვები უქრება და იძინებს. სწორედ ასეთი კოლექტიური უსინდისობის გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. კუბლაშვილის იმპიჩმენტის მოთხოვნით მიტინგი ჩავატარეთ, ერთი კაცი მაინც გამოვიდეს და თქვას — დავიწყოთ იმპიჩმენტიო. არა! — მათ კოლექტიურად სძინავთ, ხანდახან წამოკნავლებენ და მერე თავს იმით იმართლებენ, ჯერ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდესო. საპრეზიდენტო არჩევნები რაში უშლის ხელს სიმართლის თქმას? სასწრაფოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით მასობრივი სახალხო აქციების ორგანიზება უნდა მოხდეს, რათა პოლიტიკური ველიდან „ნაციონალები“ და მათი დამქაშები, გავიყვანოთ, ეს ერთი და იგივე ძალაა. სისტემური ცვლილებების გარეშე არაფერი გამოვა, საქართველოში მუდმივი კრიზისი იქნება.

**ამ მთავრობას არავინ უშლიდა ხელს მასობრივი ტერორის, თვალთვალის და წამების ამსახველი კადრები დასავლეთში წაეღო, მაგრამ ეს არ გააკეთა. უფრო მეტიც, ამ კადრებს თვალსა და ხელს შუა ანადგურებენ, უფრო სწორად, ვითომ ანადგურებენ იმიტომ, რომ არ დაუშვან ამის გამოქვეყნება. თუმცა, მათ ბრწყინვალედ იციან, რომ ეს კომპრომატები ერთმანეთზეა და ამიტომ ერთმანეთზე აღარაფერს ლაპარაკობენ, პირიქით, ერთმანეთს უფრთხილდებიან.**

ესაა კოლექტიური შეთქმულება — ომერტა, სინდისის წინაალმდეგ — ხელი ხელს ბანს და ორივე — პირს.

**— რაც შეეხება ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, როგორ მიიღწევა იგი, თუ თქვენი ვარაუდით მარგველაშვილი პრეზიდენტი, ხოლო ბაქრაძე — მეორე ადგილის პრეტენდენტი გახდა. ივანიშვილმაც განაცხადა, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ვადამდელი არჩევნები არ ჩატარდესო.**

— რა თქმა უნდა, ესენი არაფრის დამნიშნავები არ არიან, მაგრამ ვაიძულებთ, ჩაატარონ, სიტუაცია თვითონ მივა აქამდე. მარგველაშვილს როგორც კი აირჩევენ, მათ ჰგონიათ, რომ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება. ბატონებო, არ იქნება ასე, არათუ ძველებურად ვეღარ გააგრძელებენ, უფრო მეტიც, ეს ყველაფერი მალე დამთავრდება. თანაც დამთავრდება მათთვის ცუდად იმიტომ, რომ მათ არც ინტელექტუალური, არც მორალური რესურსი არ აქვთ, ინერციით, თხებივით მიჰყვებიან გაკვალულ კალაპოტს, რომელიც პირდაპირ უფსკრულისკენ მიდის. სახელმწიფო უწყებებში ისეთი ატმოსფეროა, ისეთი ინერციაა, რომ ცოცხალი აზრი ვერ ატანს. ამას ეროვნული მოტივაციით გამსჭვალული მოქმედი, ძლიერი, ერთიანი გუნდი სჭირდება და არა „ñîííîå öàðñòâî“, როგორც რუსებს აქვთ.

**— საუბრის დასაწყისში იხუმრეთ „შეთქმულებას“ ვაწყობთო. რა „შეთქმულებაა“ ეს?**

— სასწრაფოდ სიტუაცია უნდა გამოცოცხლდეს. ერთი მხრივ, გვჭირდება წინადადებები. მაგალითად, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ



ამომრჩევლების რეგისტრაცია სავალდებულო იყოს, რათა ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფოს ამომრჩევლების სრული სია ჰქონდეს. ამის შესახებ უწყებათაშორის კომისიაში კანონპროექტს შევიტანთ, რათა ეს პრობლემა გადაწყდეს. ერთი რამ მაინც ხომ უნდა გაკეთდეს ნორმალურად. ისეთი ინერციაა, ვინც ხელისუფლებაში მოდის, ჭკუას კარგავს. თითქოს სირინოზები შეიტყუებენ სახელმწიფო სტრუქტურებში და გონიერი ადამიანები, სირინოზების სიმღერის შედეგად, გონებას კარგავენ. სააკაშვილი თავის ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებებზე სისულელეებს ბოლომდე აწვებოდა, ესენი საერთოდ არაფერს აკეთებენ. ერთადერთი, რასაც აკეთებენ, სიტუაციას აშოშმინებენ, სტაბილურობის კერპი შექმნეს და გვეუბნებიან ესაა ევროპაო. სადაა ევროპაში ასეთი სიწყნარე? არ უყურებენ, იქ როგორი მიტინგები იმართება? ყველაზე დიდი სიწყნარე საფლავშია. რა განწყობილებაა ეს, ვერ ვხვდები.

**— ისევ პატრიოტიზმს მინდა დავუბრუნდეთ. პატრიოტიზმი ეს ფიქრის, აზროვნების და, რაც მთავარია, ეროვნული სულისკვეთების შესაბამისი მოქმედებაა. თქვენ როგორი პატრიოტები ხართ — გონების თუ ემოციის?**

— გული და გონება ერთმანეთზე და ჰკიდია და როდესაც გული და გონება ერთმანეთისგან გათიშულია, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ადამიანი სწორედ მაშინაა. ანუ ემოცია და გონება შერწყმულად, ენერგიულად უნდა მუშაობდეს. ვისაც ჰგონია, რომ ემოცია ცუდია, ძალიან ცდება. ადამიანი ემოციურად გაცილებით მეტად შეიმეცნებს სამყაროს, ვიდრე გონებით. გონება, უბრალოდ, მართავს. ემოციის და გონების ურთიერთქმედება, მათი ფენომენოლოგია სულ სხვა თემაა. ასეთი დაპირისპირება — ემოციის და გონების პატრიოტიზმის, გამართლებულად არ მიმაჩნია. გულითაც და გონებითაც პატრიოტი უნდა იყო.

**— თუმცა, ჩვენ პატრიოტიზმის ცნება საერთოდ არეული გვაქვს. რიგი ქვეყნები ვაშინგტონში იცავენ საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, ჩვენ კი თბილისში ვიცავთ ვაშინგტონის ინტერესებს.**

— გეთანხმებით, მართლაც ასეა. ამას ბევრი რამ განაპირობებს, კერძოდ, ის რომ ჩვენი, ქართული ეროვნული ინტერესები სახელმწიფოში წარმოდგენილი არ არის. სახელმწიფო აპარატი დაკომპლექტებულია ადამიანებით, რომლებიც საქართველოს ინტერესებს არ წარმოადგენენ, ეს გარდასაქმნელია. ყოველდღიურად იმისთვის უნდა ვიშრომოთ, რომ ქვეყანა ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოვაწყოთ. ეს კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებში უნდა აისახებოდეს. უნდა განვსაზღვროთ, რა არის ჩვენი ეროვნული ინტერესი. ნაცვლად იმისა, რომ პრობლემების აღმოფხვრაზე ვიფიქროთ,

**მთავრობა მთელ რესურსებს „ნაც.მოძრაობის“ და სააკაშვილის შენარჩუნებაზე ხარჯავს, რომელმაც უამრავი დივერსია მოგვიწყო. ჯერ მარტო ბიუჯეტის ხარჯზე ქუთაისის პარლამენტის აშენება რად ღირს, 400 მლნ ევროს დახარჯვა ძეგლებში და ა.შ.**

როგორ შეიძლება ბაქრაძე კენჭს იყრიდეს, როცა საქართველოს პარლამენტი მისი ბრძანებით დაანგრიეს. მან ქვეყანას 35 მლნ ლარის ზარალი მიაყენა. ბაქრაძეს, თურმე კანონი უნდა იცავდეს და ვინც კითხვას დასვამს, ეს რა გვიქენიო, ის უნდა დაიჭირონ. ასეთი სამართლებრივი კრეტინიზმი გვჭირს.

ისტორიკოსის თვალით ვუყურებ ზოგჯერ ამ ყველაფერს და მინდა გითხრათ, სატირული მდგომარეობაა. ხან ჯონათან სვიფტი, ხან შჩედრინი, ხან გოიას ნახატები მახსენდება. ხალხი ღრმა ძილშია, გონის ძილი შობს ურჩხულებს, გონებას და სინდისს ღრმად სძინავს და ქვეყანაში ურჩხულები არიან გაბატონებულნი.

**— ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში წასვლაზეც მინდა გკითხოთ. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ის, რომ მან თავისი დანიშნული მთავრობა, პრემიერი, პრეზიდენტი, სამოქალაქო სექტორიდან თავადვე უნდა გააკონტროლოს. რამდენად დაცული იქნება ობიექტურობა?**

— ეს საქმე ჩაიშლება. ეს საკითხისადმი აბსოლუტურად არასწორი მიდგომა, რეალობის არაადეკვატური აღქმაა. როცა ადამიანი გეტყვის, საქართველო ავაყვავე და კომპეტენტურ მთავრობას გიტოვებთო, მას ან საერთოდ არ ესმის, რა ხდება, ან ესმის და უბრალოდ, მიზეზთა გამო წასვლა.

სააკაშვილი ხალხს ძალით აჩერებდა. ბოლო ერთი წელი კი ხალხი ხათრით, ივანიშვილის ავტორიტეტის გამო, ჩუმად იყო, მაგრამ როცა დაინახავს, რომ მწარედ მოატყუეს, გაოცება აგრესიაში გადავა. ესაა ემოციათა ლოგიკა. ხომ არ მოსწონთ ემოციური პატრიოტიზმი? — სწორედ ამ ემოციური პატრიოტიზმის ლოგიკას იხილავენ უახლოეს მომავალში, თუ ამ უზნეო, ჩვენი გულისა და გონებისთვის შეურაცხმყოფელ კურსს არ შეცვლიან.

**ხალხის მდგომარეობა შემდეგია — იგი გაოცებული, გაოგნებული, იმედგაცრუებულია და ინერციით საპრეზიდენტო არჩევნებს ელოდება. ოღონდ, ვერ აცნობიერებს, საპრეზიდენტო არჩევნებისგან რას ელოდება. საქართველოში ვერავინ გეტყვით, რა მოხდება, რა შეიცვლება მას შემდეგ, რაც მარგველაშვილს აირჩევენ.**

**— თქვენი პარტია ბოლო დროს ხშირად აფრიალებს წითელ ბარათებს. მომდევნო წითელი ბარათი ვის ეკუთვნის?**

— ეს იყო ჯერ კბილაშვილის მიმართ, რომლის გადადგომასაც ვითხოვდით. შემდეგი აქცია კულტურის სამინისტროსთან იყო, საყდრისთან დაკავშირებით საკითხი გაყინულია. შემდეგ პარლამენტს კუბლაშვილის გადაყენება მოვთხოვეთ. თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მოქმედებას დავიწყებთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით, **ასევე, მასობრივი სახალხო აქციების ორგანიზებას. ისევ დუმილია, რომელიც რეკავს და ძალიან მალე ეს დუმილი ისე დარეკავს, ბევრი იძულებული გახდება, ყურები გამოიფხიკოს.**

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „სამი მდინარის შერწყმა“


ლალი მიქავა

გასულ კვირას საპატრიარქოში იაპონიის ელჩი მოსაიოში კამოჰარა მიიწვიეს და შავნაბადას ეკლესიის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა შიომ (გაბრიჭიძე) და მორჩილმა კალენიკემ (კაპანაძე) მას ეკლესიაში დაწურული ქართული ღვინო უსახსოვრეს ქართველი და იაპონელი ხალხების მეგობრობის ნიშნად.

ეს შეხვედრა ჩვეულებრივი დიპლომატიური ღონისძიება იქნებოდა, რომ არა ერთი საინტერესო ფაქტი — ამომავალი მზის ქვეყანაში არსებობს ქალაქი, რომელსაც ქართული გვარის — მიქავას სახელწოდება აქვს, ხოლო თვით იაპონიაში ფართოდ გავრცელებულ გვარს მიქავას მრავალი გამორჩეული ბიზნესმენი, მეცნიერი, მხედართმთავარი ატარებს.

ამის შესახებ რამდენიმე წლის წინ შეიტყო ცნობილმა პიანისტმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ლალი მიქავამ, რომლის ბაბუა თავის დროზე სავაჭროდ დადიოდა იაპონიაში.

მიქავა ნაგასაკიში დღესაც ცნობილი გვარია და იაპონურად ჟღერს, როგორც „სამი მდინარის შერწყმა“.

**ლალი მიქავა:** „არ ვიცი, ალბათ, მამაჩემმა იცოდა იმის შესახებ, რომ მიქავები იაპონიაშიც მრავლად არიან, მაგრამ ამაზე კომუნისტების პერიოდში არასდროს საუბრობდა, თუმცა ჩვენს ოჯახში ბევრი ისეთი ნივთი ინახებოდა, რაც სიმბოლურად იაპონიას მოგაგონებდათ. მაგალითად, პატარა სტატუეტი „უილბლო მებადური“. ეს იყო იაპონელი მეთევზე, რომელსაც ანკესი ეჭირა, იაპონური ნაქარგი კიმონოიანი იაპონელი ქალი, იაპონური გონგი, რომელზეც გამოსახული იყო მამაკაცი და დრაკონის გამოსახულებიანი ლარნაკი...

წლების წინ, როცა ბატონი ელჩი მასაიოში კამოჰარა გავიცანი, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთან თემურ მჟავიასთან და ნუგზარ მგალობლიშვილთან ერთად სამეგრელოში, მიქავას თემში წავიყვანეთ, ვაჩვენეთ უტუ მიქავას ძეგლი. აღმოჩნდა, რომ რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელს გია ხარჩილავას, როგორც მსოფლიო ჩემპიონს კარატეში, კარატეს სკოლა გაუხსნია. ბატონმა მასაიოშიმ ეს რომ ნახა, ტირილი დაიწყო.

იმ ხანებში ბატონმა ნუგზარ მგალობლიშვილმა იაპონიისა და საქართველოს მეგობრობის ემბლემა შექმნა, სადაც გამოსახულია ვაზი და ზღვიდან ამომავალი მზე. რადგან ვაზი საქართველოს სიმბოლოდ, რელიგიურ ატრიბუტად ითვლება, მე დავაარსე ფესტივალი „ვაზის საგალობელი“.

ცოტა ხანში იაპონურ-ქართული ასოციაცია „ბერიკაბუკიც“ შეიქმნა. თვით გვარი მიქავა არა მხოლოდ იაპონიაში გავრცელებული გვარია, არამედ აფხაზეთშიც, ამიტომ ვფიქრობთ, შევკრიბოთ აფხაზი, ქართველი და იაპონელი მიქავები და საგვარეულო შეხვედრა ჩავატაროთ. მით უფრო, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აკურთხა ჩვენი გვარი და დაგვლოცა, რომ ვიმოქმედოთ ამ მიმართულებით.


რევაზ ბეშიძე

საქართველოს ელჩმა იაპონიაში ბატონმა რევაზ ბეშიძემ ილაპარაკა ამ გვარის წარმოშობის კვლევის აუცილებლობაზე მაშინ, როცა საპატრიარქოში გაიმართა შეხვედრა იაპონიის ელჩსა და მიქავას გვარის წარმომადგენლებთან. სხვათა შორის, ისტორიკოსს ბატონ კლიმენტი შელიას აქვს მოსაზრებები მიქავას გვარის წარმოშობაზე, ამიტომ მე არ გავაგრძელებ ამაზე საუბარს, ისტორიკოსების საქმეა, გვარი მიქავა იაპონურია, აფხაზური თუ ქართული.


ნანი ჭანიშვილი და მეუფე შიო

ჩემთვის ამას მნიშვნელობა არც აქვს, მთავარი ისაა, რომ ეს არის მიზეზი, რომ გაღრმავდეს ურთიერთობები იაპონიას, საქართველოსა და აფხაზეთს შორის.

დღეს, მასაიოში კამოჰარა, იაპონიის ელჩი, ჩვენი ასოციაციის „ბერიკაბუკის“ საპატიო პრეზიდენტია.

„ბერიკაობა“, მოგეხსენებათ, სახალხო დღესასწაული იყო საქართველოში. კაბუკის თეატრი კი იაპონიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ბერიკაობის დღესასწაულზეც და კაბუკის თეატრშიც მონაწილეები ცხოველების გამოსახულებას თამაშობენ მაყურებლის წინაშე“.

**რევაზ ბეშიძე, საქართველოს ელჩი იაპონიაში:** „ამ ორი გვარის დაახლოება მნიშვნელოვანია. მე ყველანაირად ვეცდები ამ გვარის ხალხის დასაახლოებლად.

ისედაც დინამიური ურთიერთობები არსებობს იაპონიასა და საქართველოს შორის. იაპონია 2008 წელს ერთ-ერთი აქტიური დონორი იყო საქართველოსი. დღესდღეობით იგეგმება სხვა პარტნიორული ურთიერთობებიც“.

მიქავას თემი იაპონიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა. ადმირალი მიქავა დღესაც იაპონიის სიამაყეა, ხოლო კიონიში მიქავა იაპონიის ესტრადის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი.

კუნძულ ხონ-სიუზე კი არსებობს დაბა მიქავა, სადაც 7836 ადამიანი ცხოვრობს.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II კურთხევით მალე შეიქმნება აფხაზ, ქართველ და იაპონელ მიქავათა გაერთიანების ცენტრი, მოწვეულნი იქნებიან სამიქაოს (აბაშის რაიონი) მიქავებიც, რომელთა საგვარეულო ფესვები, როგორც ისტორიკოსები ამბობენ, მე-14 საუკუნიდან ყოფილა.

ქალბატონი ლალი მიქავა, როგორც ამ წამოწყების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, ყველას მადლობელია, ვინც მხარში ამოუდგა ამ საინტერესო იდეის განხორციელებაში. იგი ახალ ღონისძიებებს გეგმავს წმ. სამებასთან არსებული დეპარტამენტის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის წევრთან ომარ კერვალიშვილთან და გაერთიანება „გვარი მიქავა — საქართველოს, აფხაზეთის და იაპონიის“ გამგეობის წევრსა და წინამძღოლთან ლუიზა მიქავასთან ერთად.

**მარიამ კილურაძე**

# საით წავიდეთ, ევროპისკენ თუ ევრაზიისკენ? — საკითხავი, აი, ეს არის!



***ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ — „თუ ევრაზიულ კავშირს რაიმე თანხვედრა ექნება საქართველოს ინტერესებთან, ისე, რომ არ შეეწინააღმდეგება ქვეყნის მიერ გაცხადებულ ძირითად სტრატეგიას, მომავალში ეს საკითხი განიხილება", — ყველაზე მეტად საქართველოს პრეზიდენტი გააღიზიანა.***

***მიხეილ სააკაშვილის თქმით, პრემიერის განცხადებამ ევრაზიულ კავშირზე, ქართული პოლიტიკის მთავარი ტაბუ დაარღვია: „ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი არც ერთ ძირითად პოლიტიკურ ძალას კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებია, მაგრამ ახლა „სამწუხაროდ" ეს საკითხი კვლავ გახდა პოლიტიკური დებატების საგანი".***

***„ევრაზიული კავშირი, რომელიც... არის საბჭოთა კავშირის ახალი ფორმა და პუტინისა და მისი გარემოცვის შექმნილია, რათა უკან დახიონ ნატოსა და ევროკავშირის მიმართულებით ჩვენს რეგიონში მიღწეული პროგრესი, არის საკითხი, რომელიც თურმე ჩვენი ქვეყნისთვის არის შესასწავლი".***

***„ქართველმა ხალხმა არავის უნდა მისცეს უფლება, რომ ქვეყანა „ქვესკნელში და სიბნელეში" დააბრუნოს ევროპის ნაცვლად ევრაზიულ კავშირზე არჩევანის გაკეთებით.***

***პირველი ეროვნული მთავრობის უზენაესი საბჭოს წევრი თემურ ქორიძე თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებზე რეაგირება საჭირო არ არის:***

— კარგა ხანია ეს პიროვნება ასცდა ყოველგვარ ზღვარს, ის აღარ მოიაზრება საღი აზრის ადამიანად. ვფიქრობ, მის ცალკეულ გამონათქვამებზე სერიოზული გამოხმაურება დროის ფუჭი დაკარგვა და წყლის ნაყვაა. თუ დავაკვირდებით ამ ადამიანის ქცევას, მაშინვე მიხვდებით, რომ მისი მდგომარეობა ნამდვილად არ არის სახარბიელო, ალბათ, ოჯახი მიხედავს მას. ჩვენ არ ვართ ვალდებული მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობაზე ვიზრუნოთ.

**— საქართველოზე, სადაც აქტუალური ხდება ევრაზიის კავშირის თემა, რომელზეც პრეზიდენტს და პრემიერს განსხვავებული პოზიციები აქვთ.**

— ევრაზიის კავშირი ჯერჯერობით მხოლოდ იდეაში არსებობს, არავითარი ობიექტური წინაპირობები ამ კავშირის შესაქმნელად არ არის, არავის უნახავს რაიმე დებულება, საკონსტიტუციო თუნდაც შესავალი. ვფიქრობ, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, განსაკუთრებით ევრაზიულ კავშირთან მიმართებაში. არ მგონია, ეს ის გზა იყოს, სადაც უნდა მივისწრაფოდეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საზოგადოება იმედგაცრუების მდგომარეობაში პირველად არ დგას, ასე იყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნის 10-ან წლებში. გაოგნებული ვარ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკოსების განცხადებებით, რომ 15 წელი ლაპარაკობენ იმაზე, რომ დასავლეთი საქართველოს კარს არ გაუღებს და ა.შ. 15 წელი კი არა, 150 წლის წინათ იყო ამ თემებზე სერიოზული მსჯელობები საქართველოში და ისეთი დასკვნებია გაკეთებული, ბევრ ჩვენ ნიჭიერ პოლიტიკოსსაც შეშურდებოდა. საჭიროა მხოლოდ წავიკითხოთ ეს დასკვნები და გარდა საკუთარი პოლიტიკური ამბიციებისა სხვასაც დავეკითხოთ რჩევა. განსაკუთრებით ჩვენ წინაპრებს, ჩვენ წინამორბედებს, რომლებსაც ამაზე უფიქრიათ და გაცილებით ჯანსაღი დასკვნები გამოუტანიათ.

**— მიხეილ სააკაშვილი ევრაზიულ კავშირს საბჭოთა კავშირს ადარებს. მაგრამ ევროკავშირიც ხომ ქვეყნების გაერთიანებაა? რით ჯობია ევროპული ქვეყნების გაერთიანება საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ქვეყნების გაერთიანებას?**

— მოდით ევრაზიულ კავშირს როგორც არსებულ ფაქტს ისე ნუ აღვიქვამთ .ევროკავშირი უკვე არსებობს, ეს არის გაერთიანება, დამყარებული ევროპულ, კულტურულ - პოლიტიკურ ტრადიციებზე. სამწუხაროა, რომ ჩვენში მხოლოდ იმ ნეგატივით სურთ ევროპის გააზრება, რის წინააღმდეგაც საკმაოდ დიდი ხანია იბრძვის თვითონ ევროპის მაღალი აზრი. პირველი კრიტიკული აზრი ფსევდოღირებულებათა წინააღმდეგ სწორედ ევროპაში გაჩნდა. ქართველებს არაფერი არ გვითქვამს ახალი. გაცილებით ადრე, ვიდრე ჩვენ გავეცნობოდით ევროპის საზრდისს და გაგვიჩნდებოდა ჩვენი კრიტიკული მოსაზრებანი, ჩვენმა წინაპრებმა მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნის დასაწყისში გაცილებით ღრმად, უფრო კომპეტენტურად გამოთქვეს თავიანთი კრიტიკული აზრი ევროპული ღირებულებების წინააღმდეგ, და უფრო ადრე

**— ხომ არ დაასახელებთ ავტორებს?**

— მე-19 საუკუნეში ევროპული კრიტიციზმის ერთ-ერთი პირველი დამწყები საქართველოში იყო ვახტანგ ორბელიანი, რომელმაც პირველად უწოდა ქართველ ერს ობოლი, მან ევროპას პირდაპირ თითი დაუქნია, მოგეკითხებათ თქვენ იმის გამო, რაც ქრისტიანი ქართველების წინაშე ჩაიდინეთო.

**— რას გულისხმობდა, რა ჩაიდინეს მე-19 საუკუნეში ევროპელებმა?**

— მიგვატოვეს რელიგიურ ბრძოლაში და ღირებულებათა ქარტეხილში, მარტო მიგვატოვეს. ერთხელაც არ უფიქრიათ, რომ გვერდით დაგვდგომოდნენ.

**— თურქეთისგან არ დაგვიცვეს?**

— დიახ. შემდეგ მე-19 საუკუნის 80-ან წლებში წერდა ილია, რომ ორი დიდი ერი რჩება მეთოკედ მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე, ეს იქნებიან ამერიკელები და რუსებიო. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს, გავიხსენოთ მე-20 საუკუნის 20-ანი წლები, გავიხსენოთ ნიკოლო მიწიშვილის "ფიქრები საქართველოზე", გრიგოლ რობაქიძის "გამოხმაურება", გერონტი ქიქოძის "ეროვნული ენერგია", კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი.. მთელი მაშინდელი პოლიტიკური და კულტურული ელიტა აზროვნებდა ეროვნულსახელმწიფოებრივად, აფასებდა მიმდინარე პროცესებს გლობალურად. ეს ძალიან საინტერესო თაობა იყო. შემდეგ საბჭოთა პერიოდში შეწყდა ეს კანონზომიერი მოძრაობა ქართული საზრისისა და მხოლოდ 80-ანი წლების დასაწყისში იფეთქა კვლავ, როდესაც გურამ ასათიანმა დაბეჭდა თავისი ნაშრომი, ქართული ეროვნული ხასიათის შეცნობის ცდები იყო, რასაც მოჰყვა აკაკი ბაქრაძის, ზვიად გამსახურდიას, თამაზ ნატროშვილის, რეზი თვარაძის და სხვათა გამოხმაურებანი. ანუ, ჩვენთან მეტ-ნაკლები აქტიურობით თავს იჩენდა სერიოზული ფიქრისკენ მისწრაფება თემაზე, რასაც ვეძახით სამყაროში ჩვენი ადგილის შესახებ მკაფიო წარმოდგენის ჩამოყალიბებას. ეს თემა არ ყოფილა უცხო ქართველი საზოგადოებისთვის და მთელი უბედურება ის არის, რომ დღეს, ჩვენი დამოუკიდებლობის თითქმის მეოთხედი საუკუნის კვირაძალზე ერთხელაც არ გვიცდია დავბრუნებოდით ამ თემას, გვეფიქრა ჩვენ ადგილზე თანამედროვე სამყაროში.გვეფიქრა, სად არის საქართველოსთვის ნავსაყუდარი, რომელ გაერთიანებაში, ვართ კი ნამდვილად როგორც სააკაშვილს უყვარს ხოლმე თქმა ყველაზე მგზნებარე ევროპელები. ვიმეორებ, მე-20 საუკუნის დასაწყისში იდგა ასე საკითხი, ევროპისკენ თუ აზიისკენ.



ვახტანგ კოტეტიშვილს აქვს ვრცელი, ჩინებული პუბლიცისტური ნაშრომი „აზიისკენ". მიდიოდა სერიოზული მსჯელობანი, რათა განსაზღვრულიყო ქართველი ერის ფუნქცია ახალ გარემოში.

**- სად არის საქართველოს ადგილი? თანამედროვე საქართველოში ბევრს მოსწონს ეწოდოს ევროპელი, თუმცა ამავე დროს კატეგორიულად გმობენ ევროპულ „ფასეულობებს".**

-სამწუხაროდ, ჩვენსა და ევროპას შორის დღეს ისეთი განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. ეს ფაქტია. თუ ამას ვინმე არ ეთანხმება, შეგვიძლია ფართო დისკუსია გავმართოთ. მე ამას იმ გაგებით არ ვამბობ, კარგია ევროპელობა თუ ცუდი. ვამბობ, რომ ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობა არის ევროპულობის ანტიპოდი.

პირველმა, ვინც გაილაშქრა ყოველივე ამის წინააღმდეგ, ამ დეგრადაციის, ამ კრიზისის, ამ დეკადანსის თვითონ ევროპელი იყო. არავის ისე სასტიკად, ისე ღრმად, ისე ინტელექტუალურად არ გაულაშქრია. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, პირველი დიდი ლაშქრობა ევროპული კრიზისის წინააღმდეგ დაიწყეს ევროპელმა განმანათლებლებმა. იმაზე წინ, რაც განმანათლებლებმა მოახერხეს არ წასულა არც ქართული, არც რუსული აზროვნება. დღევანდელი ევროპის კრიტიკა, რომელიც რატომღაც მიგვაჩნია, რომ თურმე ჩვენ ვართ, ვინც მივხვდით ევროპას რა ვაი და რა უი სჭირს. არა, ბატონო, სანამ ჩვენი მამა-პაპა გაჩნდებოდა, ევროპა ამ კრიზისის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

**— რატომ მივისწრაფით კრიზისში მყოფ კავშირში?**

— ვინ თქვა, რომ ჩვენ მივისწრაფვით? მიისწრაფვიან აბსოლუტურად არაფრის მცოდნე, უვიცი, ფსევდოპოლიტიკოსები. საქართველოს ტრაგედია იმაში კი არ არის, რომ ევროპაში დღეს კრიზისი და დეგრადაციაა, ჩვენი ტრაგედია არის ის, რომ ქართული პოლიტიკის სადავეებთან მოექცნენ აბსოლუტურად გაფუჭებული ადამიანები. პირველი მათი მინუსია სრული უპრინციპობა, მეორე- სრული უმეცრება, ეს ახასიათებს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს.

**— და ბოლოს, რაზე ვთანხმდებით, ვინ ვართ? ვართ ევროპელები, აზიელები თუ კავკასიელები?**

— ჩვენ ვართ ქართველები, კარგი ადამიანები, ქრისტიანები. ჩვენ ვართ აღმოსავლეთი, ჩვენ არ ვართ დასავლეთი. ეს უნდა გავიგოთ. არ არის სათაკილო აღმოსავლეთობა

კულტურა, რომელიც რატომღაც დასავლეთის კულტურად მიაჩნიათ, თუნდაც ევროპასთან დამაკავშირებელი ქრისტიანული რელიგია, აღმოსავლურია. ყველაფერი, რითაც ევროპა სულდგმულობს, აღმოსავლურია.

ჩვენ აღმოსავლეთი ვართ, ნუ დაგვავიწყდება რაც დასავლეთმა თავის დროზე ლევ ტოლსტოის პირით სხვათა შორის, საქართველოს მაგალითზე აღიარა. ჩვენ ვიცოდით, რომ აღმოსავლეთიდან ამოდიოდა მზე, მაგრამ ახლა ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ზნეობის მზეც აღმოსავლეთიდან ამოდის.

ელენე ბარათაშვილი
555 57 49 35

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რა მოგვიტანა, რას გვიტოვებს და რა მიაქვს ივანიშვილს?



კარგია, რომ იმედი და მოლოდინი ყველაზე ბოლოს კვდება. სხვანაირად რომ ყოფილიყო, აქამდე ათასჯერ მიცვალებული იქნებოდა საქართველო და ქართველი ერი.

ახლა ყოველი დღე ჩვენთვის იმ მოლოდინით იწყება, რომ ერთ დღეს ადგება ბიძინა ივანიშვილი და გამოაცხადებს – მე ხვალიდან პრემიერ-მინისტრის პოსტს ვემშვიდობებიო.

საქართველოს მოსახლეობის 90%, რომელშიც, წარმოიდგინეთ და თვით ნაციონალები შედიან, ეს განცხადება გულს უხეთქავს და, ზემოთ მოლოდინზე რომ ვლაპარაკობდით, ცხადია, სასიამოვნო მოლოდინს არ ვგულისხმობდი, მაგრამ მოლოდინი მაინც მოლოდინია და რაღაცნაირ ექსტრემალურ რეჟიმში გვამყოფებს...

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის!

მაგრამ ბატონი ბიძინა პოლიტიკაში საერთოდ იყო თუ არა, ეს კიდევ საკითხავია.

უფრო შორ პერსპექტივას, ანუ ისტორიის შეფასებას რომ თავი დავანებოთ, იმ ისტორიის, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკოსობას და მის ე.წ. „გუნდს“ თავის მატიანეში ნახევარ გვერდს დაუთმობს და 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის ოქტომბრამდე მხოლოდ ის ექნება სათქმელი, რომ არჩევნების გზით მოხდა ერთი პოლიტიკური ძალის ჩამოშორება ხელისუფლებიდან. თუმცა სრულად არა, რადგან კოჰაბიტაცია, როგორც დემოკრატიის ნაწილი, ყავარჯნად შეეშველა ნაცმოძრაობას და სააკაშვილი და მისი მომხრეები ახლა, როგორც „კოჭლი ბატი“, ისე ედებიან ფეხებში ყველას და ყველაფერს.

ნაციონალები და მისი მხარდამჭერები ახლაც 9-წლიან მმართველობას აქებენ, მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული.

ეკლესიასტეს მიხედვით, „ნუ იტყვი, ძველი დრო ჯობდაო, რადგან არაა სიბრძნე ამაში“.

ბიძინა ივანიშვილის ტერმინი „შუა უნდა გაიკრიფოს“, ქართულ სინამდვილეში, როგორც პოსტულატი და „გეგმა“, საყოველთაო აზრით, ჯერ არ შესრულებულა. არადა, ბიძინა ივანიშვილი ამბობდა: მე დავალაგებ ყველაფერს საქართველოში და მერე წავალ პოლიტიკიდანო.

22 წლის განმავლობაში აფუნგული და აშლილი ქართული პოლიტიკის დალაგებას ჯადოქრის ხელი რომ სჭირდებოდა, ეს საქართველოში ბევრმა იცოდა, მაგრამ, ჩვენი რომანტიკული ხასიათის რა ვთქვი, მაინც გვეგონა, რომ ბატონი ბიძინა შეძლებდა.

შეუძლებელი, პრინციპში, არც არაფერი იყო, მაგრამ რომ შეძლო, მინიმუმ, უნდა მოინდომო...

და მაინც, როგორ და რანაირად „გაკრიფა შუა“ ბიძინა ივანიშვილმა?

„ნაცები“ და „ქოცები“, როგორც ახლა ხალხი ეძახის, რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

ამას წინათ ფეისბუქში ერთი მოქალაქე წერდა, მთავარი ისაა, რომ ახლა ციხეებში ცოცხებს აღარ ურჭობენ პატიმრებსო.

ძალიანაც კარგი, მაგრამ იმ ადამიანებს რას ეუბნება „ქოცური“ მთავრობა, რომლებსაც კოჰაბიტირებულმა პოლიტიკურმა ძალამ სული დაუმახინჯა და მომავალი მოუსპო?..

არ შეიძლება „სისხლი სისხლის წილ“. ვიცი ეს და რევანშზე და სისხლის წილზე არ ვლაპარაკობ, წესიერი სახელმწიფოს მოქალაქეობა მინდა.

წინასაარჩევნო შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილი ამას ჰპირდებოდა ხალხს და ახლა ციხეში ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილი რომ ჩასვა და „უბრალო“ პატიმრისგან განსხვავებით, ეს „დიდებული გვამები“ ყველა შესაძლო ფუფუნებით რომ სარგებლობენ საპატიმროში და მათი ცოტა ხანში გარეთ გამოშვება რომ იგეგმება, ესაა „შუა გაკრეფა“ და ესაა სამართლიანობა, რომელსაც ველოდით?

არსად არ იყო საძებნელი ნაციონალების დანაშაულებანი, ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ ელაგა და ერთი ხელის გაწვდენა უნდოდა, ყველა რომ განსასჯელის სკამზე დამსხდარიყვნენ და ყველას მიზღოდა თავისი ნამოქმედარის შესაბამისად.

### რატომ აფარებს ხელს ახალი მთავრობა ძველს?

საქართველო ვერ იქნება იზოლირებული ქვეყანა. მან უნდა გაითვალისწინოს დასავლეთის აზრი, აღმოსავლეთის აზრი, ამერიკის შეხედულებანი, რუსეთის სურვილები, ცხადია, გასაგებია, მაგრამ ვინ ითვალისწინებს საქართველოს აზრს, სურვილებს და შეხედულებებს?

საქართველო ივანიშვილის მთავრობაშიც ისეთივე უუფლებო დარჩა, როგორც სააკაშვილის დროს იყო, არ შეცვლილა არც საგარეო ინტერესები, ვექტორები, ორიენტირები.

დედა-შვილის ურთიერთობა არაა მარადიული, არათუ მიშას და ნაცების მეგობრობა დასავლელ ლობისტებთან და პოლიტიკურ პარტნიორებთან.

რისკები, ცხადია, დიდია და „უზარმაზაარი“, მაგრამ თუ ამ ქვეყნის სიკეთისთვის და მისი გადარჩენისთვის შემოაბიჯე ამ ცოდვა-ბრალიან ქართულ პოლიტიკაში, უნდა დაფიქრდე, გმირობა შეგიძლია თუ არა?

ახლა ზოგიერთი ამბობს, რომ ივანიშვილის წასვლით მაღლდება პოლიტიკურად ზრდის შანსები და მეტად დაიხვეწება ქართული პოლიტიკა.

როგორც ამ საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ და როგორც ლოგიკა გვკარნახობს, ბიძინა ივანიშვილის გადადგომასთან ერთად კოალიცია დაიშლება, თუმცა, კაცმა რომ თქვას, კოალიციის დაშლაში დიდი ტრაგედია არაა...

ივანიშვილის წასვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრის სავარაუდო კანდიდატურებზე ჯერ კულუარებში მხოლოდ ჩურჩული ისმის, ალბათ, რესპუბლიკელები და ალასანიას თანამოაზრეები შეეცდებიან, ჰეგემონია განიმტკიცონ, რაც ნაციონალებისთვისაც მომგებიანი იქნება. ზემოთხსენებულ პოლიტიკურ ძალებთან „სულიერი ნათესაობა“ აკავშირებთ და იმიტომ, მაგრამ ამბიციებით გაძეძგილი სხვა პოლიტიკური ძალები, პარლამენტში, სავარაუდოდ, ვერ მოითმენენ რესპუბლიკელების და ალასანიას „კამანდრობას“ და იქნება იქ ერთი დგანდგარი და გამიშვი-გამაკავე.

ასე თუ იხვეწება პოლიტიკური კულტურა, მე არ ვიცოდი. აქამდე ვფიქრობ, რომ პოლიტიკური კულტურის, როგორც კულტურის გაჩენა და დახვეწა მშვიდ, სტაბილურ პოლიტიკურ გარემოშია შესაძლებელი, რომლის პოტენციალი თვით ბიძინა ივანიშვილს, საკუთარი გაწონასწორებული ხასიათიდან გამომდინარე, ნამდვილად შეეძლო. ეს იყო მისი და ჩვენი „ბოჟიი დარ“, მაგრამ იძუნწა(!) ბატონმა ივანიშვილმა და არ გამოიყენა ეს უნიკალური შანსი და შესაძლებლობა საქართველოსთვის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს კი პრორუს მმართველს რომ უწოდებენ, ალბათ, ხუმრობენ, რადგან მისი პოლიტიკაში მოსვლის დღიდან, გარდა იმისა, რომ სურს რუსეთს აამოს, სხვა მკვეთრი და ხაზგასმული პოლიტიკური ნაბიჯები რუსეთისკენ არ გადაუდგამს. დეკლარირების და ქმედების დონეზეც საქართველო კვლავ რჩება ატორღიარებულ თანამგზავრად „ამერიკის მზის სისტემაში“, სადაც „მზე“ თავად ამერიკაა და თუკი ფარული რუსულ-ქართული მოლაპარაკებები მიდის, ეს პარტიზანული პოლიტიკა სერიოზულობას აშკარად მოკლებულია.

### რა მოგვიტანა, რას გვიტოვებს და რა მიაქვს ივანიშვილს?

კვიმატი ენის პატრონები ბატონ პრემიერს მმართველობას რომ უწუნებენ, იმას ამბობენ, ხელისუფლებაში მოსვლით რა გააკეთა იმის გარდა, რომ ნაციონალებისგან წართმეული ქონება თვითონ დაიბრუნა, ხოლო ხალხს არც ბიზნესი, არც ღირსება დაუბრუნაო.

ივანიშვილი თუ მიდის, უნდა წავიდეს და ნურც იმას იფიქრებს: ქართველი ხალხი, როგორც ერთ დროს შევარდნაძეს, დაუჩოქებს და დარჩენას სთხოვს. გული აქვს გატეხილი „შეყვარებულ“ საქართველოს და აღარ გაედევნება წამავალს, მით უფრო, რომ ხალხი რომ დააჩოქო, „თეთრ მელასავით“ დაბადებით გაიძვერა და ავანტიურისტი უნდა იყო.

პესიმისტები ყოფილი ოპტიმისტები არიან თურმე და უნდა ვთქვა, ივანიშვილის მოსვლის შემდეგ დაგროვილი ბოღმა და ნაციონალებისთვის სამაგიეროს მიზღვის სურვილი, სავარაუდოდ, არასახარბიელო და არასტაბილურ სიტუაციას შექმნის ქვეყანაში. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ საქართველომ კვლავ ვერ მოახერხა სწორი და მისთვის სასარგებლო მომგებიანი პოლიტიკური გზის არჩევა და კვლავ გაკვეხებულია ნატო-დასავლეთი-ევროკავშირი-ევრაზიას შორის. ვერც ივანიშვილმა შეძლო და არ მოინდომა მკვეთრი პროამერიკული ნაბიჯები უფრო მეტად მოზომილი და დიპლომატიური ყოფილიყო და დაენახებინათ რუსეთისთვის, რომ საფრთხე საქართველოდან, როგორც არაპროგნოზირებადი და არასტაბილური სახელმწიფოდან არ შეიძლება მოსალოდნელი იყოს.

რამდენადაც გასაოცარია, სააკაშვილის მთავრობას ჰქონდა პოლიტიკური იმიჯი და სახე, ხოლო ივანიშვილის პოლიტიკურმა კოალიციამ ვერც დასავლეთს, ვერც რუსეთს და ვერც თვით საქართველოს ვერ დაანახა გამოკვეთილი პოლიტიკური კონტურები და ასე უსახელოდ და უსახოდ ემშვიდობება მრავალჭირნანახ ქართულ პოლიტიკას.

1 ოქტომბერი ნაცებისთვის სამი თითის კომბინაციით დააგვირგვინა ქართველმა ხალხმა, ვერ დავუკარგავთ. ივანიშვილის დიდი დამსახურებაა. მაგრამ თვით ბიძინა ივანიშვილი ისე მიდის პოლიტიკიდან, როგორც მოულოდნელი მეტეორი, რომელიც არც ვარსკვლავია და არც უაილდის „ღირსშესანიშნავი შუშხუნა“, ფეიერვერკის დღეს რომ იქადნებოდა, ისე გავანათებ ყველაფერს, ჩემი სიკაშკაშით თვალთ დაგიბნელდებათო, მაგრამ ბოლოს უიმედოდ რომ ჩაცხრა და ჩაიფშუკა...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა

## დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს

*გვესაუბრება მწერალი* ***პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი:***

*სიტყვა „ისტორია“ ლათინურია და ქართულად ქვეყნის ამბავს ნიშნავს. არაფერი გამოგივა, თუ ფესვები დაკარგე, თუ არ იცი, რა ჯიშის ხარ. ეს თუ წაიშალა, არათუ სახელმწიფოს, ოჯახსაც კი ვერააწყობ. სახელმწიფოს გამართვა ამის გარეშე წარმოუდგენელია, ბითურია ყველაფერი.*

### „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია...“ ვინ მოიპარა ოთხი ათასწლოვანი ისტორია

— დიახ, რა თქმა უნდა, ისე „კარგად და ლამაზად“ მოგვპარეს, მეტი რომ არ შეიძლება. ალბათ,



„უნდა მოპარულიყო“ კიდეც. ზურაბ რატიანი ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძვის იმისთვის, რომ ერს თავის მოპარული ისტორია დაუბრუნდეს, რომელიც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა დაწერეს — სამმა წმინდა მთის წმინდა მამამ. ესენი ერის მნათენი არიან. ეკლესიაში მნათემ სანთელი თუ არ აანთო, ვერ მიიღებ, ვერ დაინახავ მის სიკეთეს. მნათე არის, ვინც უნდა გაგინათოს. ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა „გაგვინათეს“ სიმართლე, თუ როგორი იყო ქართველთა წარმოშობა. ბევრისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. ჩვენნაირი ისტორიის ერი მეორე არაა — არც ძველ ეგვიპტეს, არც ძველ რომს, არც ძველ საბერძნეთს მსგავსი ისტორია არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ეს ისტორია უნდა დამალულიყო, რათა ერს მისი წარმომავლობა არ გაეგო. მოგახსენებთ, რომ სულ ცოტა 4 ათასი წელია მოპარული ქრისტეს მოსვლამდე. ნიშანდობლივია, რომ უდიდესი მეცნიერი, მკვლევარი რამაზ პატარიძე ნათლად ამბობს: იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა არა იმ პერიოდში, როგორც ჩვენ გვსმენია, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ნუთუ, იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება, რომელიც ქართულ ენას ოთხი დღის მკვდარ ლაზარეს ადარებს, დამთხვევაა? აქვე განვმარტავ, რომ ეს, ოთხი ათასი წლის მძინარესთან შედარებას ნიშნავს, რადგან თითოეული დღე მეტაფორულად ერთი ათას წელს უდრის. რას ნიშნავს ყოველივე, განა ეს დამთხვევაა?! 4 ათასი მოპარული წელი რადიკალურად სხვაგვარად ალაგებს მსოფლიო კაცობრიობის ისტორიას. ეს ოქროს გასაღებია, რაც ამ ტრიადამ მოგვცა. არსებობს ასეთი დიდებული წიგნი „საქართველოს ისტორია“, ავტორები: ივანე ჯავახიშვილი, სვიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. გახსოვთ, ალბათ, უფალმა სვიმონს პეტრე დაარქვა. ასე მგონია, ჯანაშია, რომელსაც სვიმონი ერქვა, სწორედ ის პეტრეა. ფრესკებზე პეტრეს ხელში გასაღები აქვს, პავლეს — ხმალი. ეს ის ოქროს გასაღებია, რომელსაც საკეტს მოარგებ, გახსნი ამ კარს და გაოცდები იმით, რაც თვალწინ გადაგეშლება. იმ დროის მეცნიერებაში ამ წიგნმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შემდეგ ასეთი წიგნი აღარ დაწერილა. საინტერესოა ისიც, რომ ეს წიგნი ქართულად, რუსულად, თურქულად და ინგლისურად დაიწერა. იგი ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს. ბერძნები, ასირიელები, ეგვიპტელები ამტკიცებენ, რომ ქართველთა წარმომავლობა ესაა შუმერული, ხეთური, სუბარული, პელაზგური, ლაზური, იბერიული... ინდო-ევროპიელი ბერძნების მიერ იქნა დაპყრობილი ის ტერიტორია, სადაც წინარე-ქართველები — პელაზგები ცხოვრობდნენ და შემდგომ საბერძნეთი დაერქვა. მათ ველური ტომი იპყრობს და მისი კულტურის ბოლომდე მითვისება, მიტაცება ხდება. ასევე მოხდა ინდოევროპიელი რომაელების მიერ იმ ტერიტორიის დაპყრობა, სადაც წინარე ქართველები — ეტრუსკები ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რომი დაერქვა. მოხდა წინარე ქართველთა კულტურის მითვისება. ეტრუსკებიც იგივე წინარე ქართველი ტომები არიან, მაგრამ რომაელებმა თქვეს, რომ მათი კულტურა მთლიანად ეტრუსკების კულტურიდან გამომდინარეობს. ევროპის ჩრდილოეთით წინარე-ქართველნი ბასკების სახით, იბერიის ნახევარკუნძულზე სახლობდნენ. უცნაური რამ მივიღეთ, არა?! უფრო აქეთ თუ წამოვალთ, საინტერესოა ხეთები. სხვათა შორის, ხეთები და სუბარები წინარე ქართული ტომებია, ხეთებს ეგვიპტის ფარაონთან ბრძოლა აქვთ. ქრისტეს მოსვლამდე 1478 წელია და ხეტუშილ III ხეთების მეფეა. მან ეგვიპტე დაიპყრო და დაპყრობილ ფარაონს ორთვლიანი საომარი ეტლი და ცხენი აჩუქა. ეგვიპტელები წერენ, რომ ცხენი და ეტლი ნანახი არ ჰქონდათ. საინტერესოა ისიც, რომ ასურული (ლურსმული) დამწერლობით ხეტუშილ მეფე იძახდა სიტყვებს, რასაც დღეს ხშირად ვიმეორებთ — „ჩემმან მზემ“ ვენახი მოვიყვანე, წყლის არხი გავიყვანე და სხვა. თუ სხვები დაპყრობისას წერდნენ — გავანადგურე, გადავწვი, ქართულ ხასიათებში სხვა რამეს ვაწყდებით. ეს მცირე მაგალითებია, რის გამოც ისტორიის ეს ნაწილი დაგვიმალეს. მე და ზურაბ რატიანი შევხვდით განათლების მინისტრს თამარ სანიკიძეს. იგი ახალგაზრდაა და შეიძლება არ სცოდნოდა ამ წიგნის შესახებ, რადგან აკრძალული იყო. ეს წიგნი 1953 წელს აკრძალეს და ქართულ სკოლებში აღარ ისწავლებოდა. ავუხსენით, რომ იგი სკოლებში უნდა დაბრუნდეს, რათა საქართველომ გაიგოს, ვინ ვართ. თუ საძირკველი დანგრეულია, რაც არ უნდა ტრაქტორი, საჭმელი იყიდო, ქვეყანას ვერ ააშენებ. ნაყროვანებით კაცობიობის ისტორიაში ქვეყანა არსად აშენებულა. ეს იდეა მინისტრს მოეწონა და იმედი მაქვს, ერს დაუბრუნდება ის, რაც მოპარეს. აქ თვალნათლივ ჩანს ქართველების წარმომავლობა, საიდან მოდიან, რამხელა ისტორია აქვთ. აქ საუბარია ქრისტეს მოსვლამდე 4 ათას წელზე, თორემ ეს რომ კარგად დაალაგო, 7-8 ათასი წელი გამოდის.

### რა ენაზე წარმოსთქვა ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვები?

ქალდეველები ის ხალხია, ვინც ღვინო და პური მოიყვანა. სხვათა შორის, პურს ძველბერძნულად პურეი ჰქვია. გადის 7-8 ათასი წელი, მოდის იესო და ამბობს: პური ხორცია და ღვინო სისხლია ჩემიო. ამას საკრალური, ეზოთერული დატვირთვა აქვს. უფალი ამბობს, ქართველი კაცის მიერ მოყვანილი პური და ღვინო სისხლი და ხორცია ჩემიო, გესმით, რას ვამბობ? ამას დამალავდნენ, აბა, რას იზამდნენ?!

ბერძნებს ლევან სანიკიძე ისტორიაპარვიებს ეძახდა. ბერძნები მითოლოგიის დიდოსტატები არიან. პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოპარა, წამოიყვანეს და იალბუზზე მიაჯაჭვეს. კი, მაგრამ, მათ მთა არ ჰქონდათ, ბატონო, აქეთ რომ არ წამოეყვანათ? ეს რატომ, იცით? — ამირანია აქედან წაღებული. კარგად ვიცით, ქრისტეს მოსვლამდე 1300 წელს იასონი რომ შემობრძანდა, პირველად ნახეს შადრევანი ღვინისა, წყლისა და რძისა. მათ საოცარი კულტურა, შეუსწავლელი კოლხური ცივილიზაცია პირველად ნახეს. ენის თაობაზეც ცნობილი არაფერია.

უფალს ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: როდესაც უფალი ჯვარს გააკრეს, მან ბოლო სიტყვით მამას მიმართა: — ელი, ელი, ლამა საბექთანი. სულხან-საბას თუ ჩავხედავთ, ამბობს: ელოი, ელოი. ზოგიერთმა ჩვენმა მეზობელმა, რადგან ქრისტემ ელი თქვა, ჩათვალა, იესო სომეხი იყოო. საქმე ისაა, რომ ეს არც სომხურ და არც ებრაულ ენაზე ნათქვამი არაა. მაშინ გამოდის, რომ მის ებრაულ წარმომავლობას ეს ფაქტი ნაცარს აყრის. არადა, ეს ნამდვილად არაა ებრაული ენა. მაშ რა არის? — ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ბოლო ამოსუნთქვისას მის ენაზე, დედაენაზე საუბრობს. ეს ქალდეური ენაა. ხშირად საუბარია არამეულ ენაზე. ამ ენას ვაჭრები, ხელოსნები იყენებდნენ და ძალიან ცდილობენ, ებრაელობასთან ახლოს იყოს. მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გამოდის ასე და გეტყვით, თუ რატომ — ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველთან, ნაბუქოდონოსორთან შეხვედრისას ვკითხულობთ: ქალდეველებმა არამეულ ენაზე უპასუხესო. ნეტარი ერონიმე სტრადონელი, რომელიც 380 წელს ქრისტეს შემდეგ მოღვაწეობდა, ამბობს: საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდევური ენებიო. ესე იგი ყოფილა განსხვავება?! ამას მე, პეტრე ხომ არ ვიგონებ? კიდევ ერთ რამეს დავუკვირდეთ. იოანე პეტრიწის მასწავლებლები — იტალოსი და დიადოხოსი იყვნენ. „თეოლოგიის მთავარსაფუძვლების“ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ — ქალდეური, ელინური და ებრაელური ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძვლებზე აღმოცენდა ახალი ქრისტიანული აზროვნებაო.



ანუ ქალდეური, ელინური და ებრაული სხვადასხვა ყოფილა, ხომ?

ქართველებმა ჩვენი უდიდესი კულტურა ვერ გავაცანით მსოფლიოს, „ფრომოუშენი“ არ გვივარგა, რაც სომხებს 5-იანზე აქვთ. და-ძმა უორდროპები რომ არა, მე-19 საუკუნემდე მსოფლიო კაცობრიობამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არა იცოდა.

### ღვთისმშობელი ქართველი იყო?

— დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს, მაგრამ იმავე კუპლეტში წერია — შენ, სიკეთეო ეგვიპტისაო. წესით,ხომ უნდა თქვას ისრაელისაო. რატომ არ ამბობს? — ამას ახლავე აგიხსნით — მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე გვეუბნება — მთელი ეგვიპტის კულტურა კოლხეთის კულტურის გაგრძელებააო. კოლხებმა უფრო მეტი იციან ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხებზე. ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ, მაშინ მსოფლიო ისტორია რადიკალურად იცვლება. ამ დროს ისტორიის მამას ჰეროდოტეს არ უჯერებენ და იგი „ბიცოლად“ გამოჰყავთ. ზუსტად ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, როცა მარიამ ღვთისმშობელს ეუბნება — შენ სიკეთეო ეგვიპტისაო. პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ მისი წარმომავლობა პროტო-(წინარე) ქართულია. უფალმა ელოი, ელოი მის ენაზე, დედაენაზე თქვა.

სომხური წყაროებიდან ვგებულობთ: ქალდეველების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ის ქართველი ხალხის ერთი ნაწილია. სომხები მოწმობენ, რომ ქალდეველი იგივე ჭანია, რომელმაც თურქეთში თავი დღემდე შემოინახა. ახლა გეტყვით, რას ნიშნავს ლამა სულხან-საბას მიხედვით — ვლამობ, ვაპირებ. ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს — მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთ დღესასწაულზე — მურყვამეობაზე (ეს კერპთაყვანისმცემლობიდანაა შემორჩენილი), სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე ქალდევურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, ელი ტელიფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ, ანუ ღმერთს ეხვეწებიან, მეოხ გვყავიო. გარდა ამისა, სვანეთში არის სოფელი ქალდეა, ციხე — ქალდეა, გვარი — ქალდანი. მთელი თურქეთის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე სახლობენ: ზანები, ჭანები, ლაზები.

### რომელი ერი გადარჩება მეორედ მოსვლისას?

ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველს ვაწყდებით, რომელიც ქალდეველია. ნაბუქოდონოსორის დროს ძალიან საინტერესო რამ ხდება: კედელზე გამოისახება წარწერა, მარჯვენა მტევანი წერს და მერე ქრება. ეს საოცარი ამბავია: მეფე პანიკაში ჩავარდა. წარწერა ვერავინ წაიკითხა. იქ იყვნენ ებრაელებიც, ასურელებიც. ერთადერთი

ამის წაკითხვა ქალდეველმა შეძლო, იქ ეწერა — „შენი მეფობა მალე დამთავრდებაო“. მართლაც, იმავე ღამეს მეფე ქალდეველებმა მოკლეს. უფრო წინ თუ გადავინაცვლებთ, ნაბუქოდონოსორი ეუბნება თავის ხალხს, ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერებანი, ენა უნდა შევისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო. სხვათა შორის, აქვე ვიტყვი, იესოს დაბადება მოგვებმა, ოღონდ ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. მათ იესოს შესახებ იცოდნენ. დანიელ წინასწარმეტყველი მესამე თავში ამბობს: მაშინ მაწევარმა ომახიანად დაიძახა: ხალხნო, ტომენო და ენანო, თქვენ კერპთაყვანისმცემლობის პატივისცემა გებრძანათ, ამ დროს იყო, რომ მოდგა ზოგიერთი ქალდეველი და იუდეველებს დაუწყეს ბრალის დადება. გამოდის, რომ იუდეველი და ქალდეველი სხვადასხვაა. თავი II — ქალდეველებმა მეფეს არამეულად უთხრეს. თავი XIII — სუსანას სასამართლოზე ღმერთმა დანიელის სული გააღვიძა, რომელიც ქალდეურ ენაზე იყვირებს სიტყვას, რომელსაც ვერავინ გაიგებს. რა თქმა უნდა, ქალდეურ ენაზე. კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ: დანიელ წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩებაო. იოანე ზოსიმე კი გვეუბნება, რომ მხოლოდ ამ ენით გაცხადდება მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისაო. გვატყუებს ვითომ იოანე ზოსიმე? აქვე კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ იკვეთება. ეს ამბავი სინას მთაზე მოხდა. სწორედ იქ, სადაც მოსეს უფლის მიერ 10 მცნება მიეცა. დარწმუნებული ვარ, იოანე ზოსიმესთვის იმის თქმა, რომ ქართულ ენაზე გაცხადდება მეორედ მოსვლა, ესეც უცილობლად უფლის ნათქვამია და არა ზოსიმეს მოგონილი. აქვე ერთ რამესაც გეტყვით — სინას მთიდან საგალობელის ჩამოტანით ქართველმა ერმა და მისმა მისიამ ერთმანეთი იპოვეს. ქრისტიანობის მსოფლიო ბედისწერაში ქართულ ენას ერის მისია ჰქვია.



## რა ეწერა ფესტოს დისკოზე?

ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დამახასიათებელ შემდეგ განსაზღვრებას ვხვდებით — ახალი ნინო — ამბობს იოანე ზოსიმე, რაც უშვებს ძველი ნინოს არსებობას. რას ნიშნავს ეს? — აკადემიურ მეცნიერებაში სიტყვა ნინოს ფუძე ნინ — ფონეტიკური სახესხვაობაა ნენ და ნან-ის. ქრისტეს მოსვლემდე ბერძნები კოლხეთში შემოდიან და საოცარ ძეგლს ხედავენ — ქალი ზის, ფერხთით ლომებია გართხმული, ხელთ კემბალი უჭირავს. ბერძნები ზევსის დედას მიამსგავსებენ. ეს ღვთისმშობელი იყო. რა თქმა უნდა, მარიამი არ ჰყავდათ მხედველობაში იმიტომ, რომ ამ დროს ჯერ არ არსებობდა. სიტყვა ღვთისმშობელი მარიამამდე ადრინდელია. აქვე ერთ საინტერესო ამბავს მოგახსენებთ. საბერძნეთში ფესტოს სასახლეში 1800 წელს დისკო აღმოაჩინეს, რომლის წაკითხვა ვერავინ მოახერხა. ეს მოახერხა ერთმა ქართველმა მათემატიკოსმა მეცნიერმა კვაშილავამ. ეს იყო არა ლურსმული, არამედ იეროგლიფური დამწერლობა. შეამოწმეს დისკოს წარმომავლობა და იგი 2000 წლის აღმოჩდა ქრისტეს მოსვლამდე. ამ დისკოზე ნენ-ნანას საგალობელი ეწერა, ანუ ახალი ნინო ძველი ნინოს მოსახელეა.

საინტერესო ამბებს ვაწყდებით გილგამეშიანშიც. ეს 1500 წლით ადრეა დაწერილი, ვიდრე ძველი აღთქმა. ესაა შუმერულ, ხეთურ, არქაულ და ხურიტულ ენებზე დაწერილი. აქ საოცარ ამბავს ვაწყდებით — დედა-ღმერთს-ღვთისმშობელს ერქვა (ნინ)-ხასარგ, მეორეს — (ნინ)-ტუმ, მესამეს — ინ-(ნანა). ეს დამთხვევებია? მინდა გითხრათ, რომ ღვთისმშობლის მიძინება დღევანდელი თურქეთის, ყოფილი კოლხეთის ტერიტორიაზე, გნებავთ, შემდგომ ტრაპიზონის იმპერიის, იზმირიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე მოხდა. ბევრმა არ იცის, რომ ეს ისრაელში არ მომხდარა. ესეც ერთგვარი მინიშნებაა. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ეს ტერიტორია წინარე ქართულია, მერე მოდიან ძველბერძნები, ინდო-ევროპელები. ჩვენ ქართველები იაფეტური მოდგმის ვართ. ახლა რომ საუბრობენ ევროპისკენ სვლაზე, ეს ხომ სასაცილოა — თავად ჩვენ არ ვიცით, ვინ ვართ. ქართველებს თვითმმართველობა მე-11 საუკუნეში ჰქონდათ, მსოფლიოში ამას მხოლოდ 50 წლის სტაჟი აქვს.

დაადგენილია, რომ ქართული ენის აგებულებას არაფერი აქვს საერთო არც ინდოევროპულ, არც სემიტურ, არც ურალურ-ალტაურ, კერძოდ, თურქულ ენებთან და რომ ის ხეთურ-იბერიულ ენების და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის აგებულებას ემთხვევა (ჯავახიშვილი, ჯანაშია, ბერძენიშვილი). აღმოჩნდა, რომ ქალდეურის ნივთიერი და სულიერი კულტურა შუმერული, ხეთური, სუბარული ცივილიზაციის ორგანული ნაწილია. დასახელება ძველი ბერძნული წყაროებიდანაა ცნობილი. დიალექტური ფორმის სახით. ბევრი ქვეყნის შვილი ვერ წარმოთქვამს ქ-ს და ხალდეას ხმარობს. ქალდეას და ქალდას ორივე სახელწოდებას ერთნაირი ფუძე აქვს, დაბოლოებებით განსხვავდებიან, თუმცა ორივეს დაბოლოება წმინდა ქართულია. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და ჭოროხის სათავეში მცხოვრები ქალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია. ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდა. რიგი სომხური წყაროები მოწმობენ, რომ ქალდეველები იგივე ჭანებია, რომელთაც დღემდე შემოინახეს თავი თურქეთში შევიწროების მიუხედავად.

## ებრაელი ღმერთი — იაჰვე თავის ხალხს ქალდევურად ლოცვისკენ მოუწოდებდა(!)

ახლა ყველაზე მთავარს გეტყვით, საიდანაც უკვე ძალიან დიდ ამბავს ვაწყდებით. ეს რომ წავიკითხე, გავოგნდი. თალმუდში წერია — თუ ებრაელს სურს, რამე სთხოვოს ღმერთს, ანგელოზებისგან საიდუმლოდ, ქალდეურად უნდა ილოცოსო. ამას ამბობს იაჰვე — ღმერთი ებრაელთა, რადგან მარტო მან იცის ეს ენა. ანუ იაჰვე ეუბნება ებრაელებს, ქალდევურად ილოცეთო. ეს უპირატესობაა, რომელიც ქალდეველებსა და ქალდეურ ენას ენიჭება. თალმუდში ბოროტის შექმნა და გაყოფა სულად, ფორმად და სხეულად თავიდან ბოლომდე ძველ ქალდეველებისგანაა ნასესხები. რა ვქნათ, არ ვთქვათ ეს? მიუხედავად იმისა, რომ შოთა გვეუბნება — არ შეამოკლოთ ქართული, არა ჰქმნათ სიტყვამცირობა, ანუ გვეუბნება, თქვენი ენა არ დაამციროთო. კარგად მოგეხსენებათ, დღეს რაც დავმართეთ ჩვენს ენას.

ნოემბერში ვაპირებთ ფოთში ფაზისის აკადემიასთან ერთად, საერთაშორისო კონფერენცია ჩავატაროთ, სადაც ეგვიპტის, ათენის, რომის, ოქსფორდის, სტამბულის, ლენინგრადის, მოსკოვის, თბილისის უნივერსიტეტები მიიღებენ მონაწილეობას. აქ ინახება მასალები კოლხეთის ცივილიზაციის და ამ საკითხების შესახებ. სხვები ამბობენ ჩვენზე — ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. ჩვენ არ ვამბობთ. დიდი მეცნიერი ფრიდრიხ ძებიში გვეუბნება, ღმერთების ენა იბერიული ენაა და იგი ქართულ ენაშია შემონახულიო. ყველა გვატყუებს ამ ენასთან დაკავშირებით? სხვათა შორის, შვეიცარიის უნივერსიტეტმა ტუტანჰამონის მუმია შეამოწმა და მისი დენემი ქართულ-კოლხურ-კავკასიურს დაემთხვა. რაშია საქმე? — ამას ხომ ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეც გვეუბნება — ეგვიპტის კულტურის წარმომავლობა კოლხურიაო. თუ ჰეროდოტეს ამაზე დავეთანხმებით, ეს უკვე...

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

**ორგანიზაცია „სამოქალაქო სოლიდარობა“ იქმნება იმისთვის, რომ იმედის განცდა აღუდგინოს ერს და განახორციელოს საზოგადოების კონსოლიდაცია მისი უფლებებისა და ღირსების აღდგენით. ორგანიზაციის მიზანია: საზოგადოების გაერთიანება პოლიტიკური უკულტურობისა და „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ თავნებობის წინააღმდეგ;**

**მამუკა არეშიძე:** — დღეს ხალხი გაბრაზებულია და გაბრაზებული საზოგადოება ქვეყნის სერიოზული



პრობლემაა. რატომ გაბრაზდა? გაბრაზდა იმის გამო, რომ მოტყუებული დარჩა; გაბრაზდა იმის გამო, რომ რისთვისაც მან ამდენი ხნის განმავლობაში იწვალა, ის არ აუსრულდა; გაბრაზდა იმის გამო, რომ ამ წვალების შემდეგ ის აღმოჩნდა მოვლენების მიღმა და კვლავ მედროვეებმა დაიკავეს გავლენის ყველა ბერკეტი — ამიტომ შედგა ჩვენი შეკრებაც.

ვერ გეტყვით, რომ რაიმე ახალი და განსაკუთრებული იდეა წამოვჭერით, ასეთი ტიპის ორგანიზაციები შექმნილია ადრეც, რომლის მესვეურები ამბობენ, რომ ვერ იმუშავეს. ტყუილია, მათ იმუშავეს და შექმნეს ძლიერი ბაზა რამაც შემდგომში ხელისუფლებაში მოიყვანა „ქართული ოცნება“. რომ არ ყოფილიყო 26 მაისი, 7 ნოემბერი, რომ არ ყოფილიყო ამდენი წლის სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლა, ვერ მოხდებოდა 1 ოქტომბრის გამარჯვება! 24 წელია ერთსა და იმავე საქმეს ვაკეთებთ, ხშირ შემთხვევაში ისე არ გამოდის, როგორც გვინდა, მაგრამ ილექება და იქმნება ბაზა — საბოლოო ჯამში, მაინც მივაღწევთ იმას, რაც გვინდა!“

**იური ვაზაგაშვილი:** — „რა ხდებოდა, ყველამ კარგად ვიცით, ამიტომ შევეხები დღევანდელობას, უმრავლესობის საკითხს — ესენი ხომ ჩვენს გვერდზე



იყვნენ, ამათ ლიდერებთან ერთად ამდენი წელი რეჟიმის წინააღმდეგ ხომ ერთად ვიბრძოდით, დღეს ხმას არ იღებენ! 25 000 საჩივრიდან ერთი არ არის მიყვანილი ბოლომდე — იგივე გრძელდება... რა თქმა უნდა, სხვაობა არის, ჩვენს ახალგაზრდებს ნარკოტიკებს აღარ უდებენ, იარაღის ჩადება აღარ ხდება... კი, ბატონო, მაგრამ ეს მინიმალურია და ამით არ დავკმაყოფილდებით! ისევ ის ბარიერებია აღმართული, რაც წლების მანძილზე იყო ხელისუფლებასა და ამომრჩეველს შორის — იგივე მეორდება. ჩვენ ხომ მოვიყვანეთ ეს ხელისუფლება, ხომ ნამდვილად ჩვენი მოყვანილია — როგორ შეიძლება, რომ ამომრჩეველთან არ გაქვს კოჰაბიტაცია და იმ რეჟიმის ნარჩენებთან გაქვს?!

საკმარისზე ორჯერ მეტი დრო არის გასული, რომ სამართლიანობის აღდგენა დაწყებულიყო... ისევ ის ზონდერები მუშაობენ, ისევ ის პროკურორები, ისევ ის პოლიციელები, მოსამართლეები — ხალხი შეურაცხყოფილა!

**ნანა თხელიძე:** — „დღეს ჩვენ, ყველას, შელახული გვაქვს ღირსება უღირსი ადამიანებისგან. მე მინდა, რომ ყველამ, ათასობით ადამიანმა ერთად აღვიდგინოთ ღირსება, მაგრამ ამ ღირსებას ვერ აღვიდგენთ, თუ ისევ დავინახავთ ტელევიზიებით იმ ადამიანებს, რომლებმაც ღირსება შეგვილახეს; თუ ისევ ის დამნაშავე მოსამართლეები გვეყოლება, რომლებსაც საქართველოს სახელით. ჰქონდათ განაჩენი გამოტანილი და დღესაც ხელსაც აწერენ იმავე განაჩენებზე საქართველოს სახელით; ჩვენ ვერ აღვიდგენთ ღირსებას, თუ ისევ ის პროკურორები იქნებიან, რომლებსაც დღეს, როდესაც ხელისგულზე დევს ვაზაგაშვილის, რობაქიძის, გირგვლიანის და სხვათა საქმე, ახალაიების პროცესზე მიჰყავთ მოწმეები, რომელთაც ხელზე „შპარგალკა“ აქვთ დაწერილი. ის ხელისუფლება თუ ქმედებით სჩადიოდა დანაშაულს, ესენი უმოქმედობით სჩადიან — ეს ერთი და იგივეა.“

**გია კორკოტაშვილი:** — „აღარ დადგა იმის დრო, რომ ქუხნაში ჩუმად ნალაპარაკევი გარეთ გამოვიტანოთ? თქვენ ხომ ჩემზე უკეთესად იცით რა არის გასაკეთებელი, იმდენად უკიდურეს მდგომარეობაში ხართ, რომ ტელევიზორში შესვლა გინდათ და მიხრჩობა იმ ადამიანების, ტყუილს რომ ამბობენ. მივმართავ საზოგადოებას: ჩემო ოქროებო, დავდგეთ ერთად და კბილებით ვატაროთ ის, რასაც სიმართლე ჰქვია. ჩვენ ხომ



არც ახლა ვართ სიმართლეში, აბსოლუტურ ტყუილში ვართ — ვისი ბრალია ეს, იმ ადამიანებმა არკვიონ, ვისი გამოსარკვევიც არის! იურისტმა თავისი საქმე აკეთოს, მედიკოსმა თავისი საქმე გააკეთოს, პური მეპურემ გამოაცხოს — ეს ჩვენმა წინაპრებმა დაგვიბარეს და მოდექით ერთ სისხლად, ერთ ჯიგრად, ერთ სიყვარულად, რომ კბილებით გავიტანოთ ერთმანეთი!

ათასი ენჯეოა, მაგრამ იმათ თავისი თავის ტკივილი აქვს — გვეყოფა ამდენი ტყუილის ლაპარაკი ერთმანეთში; გვეყო ეს დაბოლებები, რასაც გვაბოლებენ! 5 წელი, თერთმეტი თვე... — როდემდე უნდა მოვითმინოთ!“

**ირაკლი კაკაბაძე:** — „27 ოქტომბერს მზადდება კიდევ ერთი გაყალბება და თუ ეს გაყალბება მოხდა, მაშინ, ნაციონალისტურ-ლიბერალური რეჟიმი საბოლოოდ „გაპრავდება“ საქართველოში. აქედან გამოდინარე, ჩვენ გვჭირდება არა მხოლოდ 3200 დამკვირვებელი, არამედ 10 000-ობით დამკვირვებელი. მივიდეთ და შევესიოთ ყველა საამომრჩევლო



უბანს, რამეთუ გეგმაა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში პირველ ან მეორე ადგილზე გაიყვანონ „ნაციონალური მოძრაობა“ და ამის შემდეგ მოხდება ამ კოჰაბიტაციური რეჟიმის აბსოლუტური ლეგიტიმაცია — ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ. აუცილებელია ყოველი ჩვენგანის აქტიურობა, ახალგაზრდობის აქტიურობა, რომ მივიდეთ უბნებში და არ დავუშვათ მიშა მაჭავარიანის, ხათუნა გოგორიშვილის და მათნაირების მიერ არჩევნების გაყალბება. ქართველი ერი ლიბერალურ ნაციონალიზმს უარს ეუბნება! ქართველი ერი ფაშიზმს უარს ეუბნება! ქართველი ერი შოვინიზმს უარს ეუბნება!“

# სამოქალაქო სოლიდარობა მოქალაქეთა ღირსებისა და უფლებებისთვის!

**ნოდარ ლომჯარია**

# მეუფე კალისტრატე მარგალიტაშვილი, იოსებ კიკვაძე, პეტრე ცაავა, გრიგოლ ბერბიჭაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი და ძმანი მათნი... ესენი ყველანი „ბიზნესმენი ეპისკოპოსები“ არიან

**გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილ მკალავიშვილი:**



## მე განკვეთილი არა ვარ, მე ვარ განდგომილი ულირსი სამღვდელოებისაგან

**— მამა ბასილ, გთხოვთ გვიამბოთ, ვისგან გაქვთ კურთხევა, რომ ამჟამად წირვა-ლოცვებს და სხვა საეკლესიო რიტუალებს ატარებთ. თქვენზე ამბობენ, განკვეთილიაო.**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩვენთან არს ღმერთი.

ჯერ კიდევ საკითხავია და გასარკვევი, ღმერთისგან ვინ არის განკვეთილი. მე მოვიშველიებ უდიდესი წმიდა მამის მარკოზ ეფესელის ღვთიურ სიტყვებს: საეკლესიო კრებები განდგომილებად მიიჩნევენ და განიკითხავენ მათ, ვინც რომელიმე დოგმატს არღვევდა და ისე ქადაგებდა. ეკლესია ჯერ თვით მწვალებლობას განიკითხავდა, შემდეგ კი წვალებათა მთავრებს და მათ მიმდევრებს, მაგრამ მე არც რაიმე საკუთარი სწავლება მიქადაგია, არც სიახლე შემომიტანია ეკლესიაში. მხოლოდ იმ სწავლებას ვიცავდი, რომელიც ეკლესიამ ურღვევი სახით მიიღო ჩვენი მაცხოვრისგან და რომელიც უცვლელად უპყრია დღემდე...

... და თუკი მე მას ვიმარხავ და ჩემს თავს მისგან გადახვევის უფლებას არ ვაძლევ, რომელი კრება განმიკითხავდა, რამეთუ მანამდე იმ სწავლებას უნდა დასდოს მსჯავრი, რომელსაც მე მივდევ, ხოლო თუ სწავლება სწორი და მართლმადიდებლურია, მაშინ მე რატომღა ვარ სასჯელის ღირსი?

მინდა სრულიად საქართველოს და თქვენ, ჟურნალისტებს, აგიხსნათ: **მე განკვეთილი არა ვარ, მე ვარ განდგომილი იმ ულირსი სამღვდელოებისაგან**, რომლებიც ჯერ კიდევ 1962 წლიდან გაერთიანებული იყო მსოფლიო ეკუმენისტურ საბჭოში, დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ ვითომ 1997 წელს გამოვიდნენ იქედან, ისევ აგრძელებენ მათთან შეხვედრებს და ურთიერთობას. ჩემი განდგომის შემდეგ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რას მოიმოქმედებდნენ ისინი ჩემს წინააღმდეგ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მივატოვე მწვალებლური — ეკუმენისტური სამღვდელოება და დროებით დავემორჩილე საბერძნეთის ძველ მესტილეთა წმიდა სინოდს, რომელთაც ხელდასხმა აქვთ ამერიკაში მყოფი რუსეთის ემიგრაციული ეკლესიის მღვდელმთავრის მიტროპოლიტ ვიტალისგან, რომელსაც მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს. ის, ვინც ჩვენ განგვიკითხავს, იკვეთება, რომ სჯულის კანონში საერთოდ არ ჩაუხედავს.

*„თუ ვინმეს მღვდელი თავისი ეპისკოპოსის მიერ ბრალდებულ იქმნეს, ასეთმა უნდა მიმართოს მეზობელ საეპისკოპოსოს, რომ მან მოისმინოს მისი საქმე“...*

*კართაგენის ადგილობრივი კრების კანონები. პუნქტი 11*

უფლისთვის ეროვნებას აქვს რაიმე მნიშვნელობა? რა თქმა უნდა, არა. მართლმადიდებელი ფრანგი იქნება, ინგლისელი თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელი, რაიმე მნიშვნელობა აქვს? რა თქმა უნდა, არა. ასე რომ, საკმაო მტკიცებულებაა ჩვენი მადლმოსილებისა. ჩემ მიერ შესრულებულ საეკლესიო რიტუალებს კანონიერი და ღვთიური ძალა აქვს.

ჩვენ უსაფუძვლო პრეტენზიებს გვიყენებენ სჯულის კანონში ჩაუხედავი ღვთის მსახურები. მე მათ შევახსენებ.

*„მართლმადიდებელი ეკლესია ჭეშმარიტად და საცხოვნებლად მიიჩნევს ნებისმიერი ქრისტიანული საზოგადოების ნათლობას, რომელიც მის ზღუდეს გარეთ არის... თუ ეს ნათლობა აღსრულებულია ჭეშმარიტად სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.*

*კონსტანტინეპოლის წმიდა II მსოფლიო კრების კანონები. კანონი 7.*

არანაირი განსხვავება არ არის მიხეილ სააკაშვილსა და იმ ეპისკოპოსებს შორის, რომლებიც მიშას მზეს ფიცულობდნენ. ისინი ხედავდნენ, რა ფაშისტურ პოლიტიკას ატარებდა სააკაშვილი, რომელმაც თავის თავზე მოირგო კონსტიტუცია, სადაც არაადამიანური, შემზარავი ხერხებით აწამებდნენ გისოსებს მიღმა დაუცველ პატიმრებს. თვითონ კი ნებივრობდნენ და სიამოვნებით შესცქეროდნენ ტირანის სადისტურ, გაუწონასწორებელ ქმედებებს.

**ყველა იცნობს მათ, როგორც „სასიქადულო მამულიშვილებს“. მათი მოკლე სია: მეუფე კალისტრატე მარგალიტაშვილი, იოსებ კიკვაძე, პეტრე ცაავა, გრიგოლ ბერბიჭაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი და ძმანი მათნი... ესენი ყველანი „ბიზნესმენი ეპისკოპოსები“ არიან.**

კალისტრატე მარგალიტაშვილს, ეტყობა, საქართველოს ისტორია არ წაუკითხავს, თორემ რომ წაეკითხა, დაღმაშენებელ სააკაშვილს აღმაშენებელს არ შეადარებდა. „სახელოვანმა“ მეუფეებმა მოირგეს საეკლესიო კანონები, თავისი თავი სჯულის კანონზე მაღლა დააყენეს, განებივრებულნი სააკაშვილისგან და მისი ხელშეწყობით ძირს უთხრიდნენ ქვეყანას, ეკლესიას და მტრის წისქვილზე ასხამდნენ წყალს. თვით კალისტრატემ მოიცვა სრულიად ქუთაისი, აქვს სხვადასხვა ბიზნესი, იქ გახსნა საავადმყოფო, თავი მთავარ ექიმად დაინიშნა და ამბობს: ეს ჩემი საკუთრებაა და რასაც მინდა, იმას გავაკეთებო.

კალისტრატეს მეორე შვილად წოდებული ე.წ. **მამა უჩა** შაუმიანის ქუჩაზე მდებარე წმიდა გიორგის ტაძრის წინამძღვარია და მას წყალტუბოს ტრასაზე აქვს რესტორანი „გრანდ პალასი“, სასტუმროსაც აშენებდა და ამბობენ, რომ მსუბუქი ყოფაქცევის ქალების ჩამოყვანასაც აპირებდა კიევიდან.

თვით კალისტრატემ 20000 ლარი — ბაგრატის ტაძრის შემოწირულობა, რომლითაც ქვის გალავანი უნდა გაეკეთებინათ და შიგ კელიები ჩაესვათ, — ეს თანხები მიითვისა და შეიხვლიფა.

**გრიგოლ ბერბიჭაშვილი** ადრე ქურდობას ეწეოდა. მოპარული მანქანები გადაჰყავდა ორჯონიკიძის გავლით რუსეთში, სადაც მოიხადა კიდეც მრავალწლიანი სასჯელი.

მარტვილში მამათა მონასტერი თორმეტმა ბერმა და მღვდელმა დატოვა. მათ ჭყონდიდელი **მეუფე პეტრე (ცაავა)** ავალებდა პირდაპირ: უქადაგეთ ხალხს პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ნაცმოძრაობას და სააკაშვილის გუნდს დაუჭირეთ მხარიო.

**მეუფე იოსებ კიკვაძე** შემოქმედის მიტროპოლიტი ხალხს მოუწოდებდა, არჩევნებში მხარი დაეჭირათ ნაცმოძრაობისთვის. ვინც არ შემოხაზავს 5-ს, იმას წყევლას და შეჩვენებას ვუგზავნიო.

საპატრიარქოს მღვდლები როცა შედიოდნენ საპატიმროებში პატიმრების საზიარებლად, ტუსაღები აღსარებაში ყვებოდნენ — გვაუპატიურებენო. შემდეგ მღვდლები ამბობდნენ: ვიცოდით ეს ფაქტი, მაგრამ ვერ ვამბობდითო.

ისმის კითხვა, სულიერმა მოძღვარმა იცის პატიმრის არაადამიანურ წამებაზე და დუმს. არ იწვევენ კრებას, არ ტეხენ განგაშს, როგორ ეძინათ მშვიდად, როგორ ედოთ ბალიშზე თავი, ან რა მადლი ჰქონდა მათი ხელიდან ზიარებას?

**სასულიერო პირნი, ვინც მე ჩამოგითვალეთ, უმცირესი ნაწილია საპატრიარქოს იმ წარმომადგენლებისა, რომლებიც ანგრევს ქართულ ეკლესიას და თავს ჭრის მართლმადიდებლობას.**

ამ ულირსმა მეუფეებმა და მღვდლებმა **ზვიად გამსახურდია** განდევნეს მშობლიური მიწა-წყლიდან და იზეიმეს. ეს ის სამღვდელოებაა, რომელმაც **ჯაბა იოსელიანი** თავისი კაცის მკვლელებით დალოცა და სამეგრელოს ასაოხრებლად გაისტუმრა, ვინც საქართველოს გასხვისებას, დანაწევრებას, სულიერად განადგურებას ემსახურება. ვინც ხმას აღიმაღლებს, იმას ასამართლებენ. ეს ის სამღვდელოებაა, რომელთაც ყოფილი ციხის უფროსი, პატიმრების მწამებელი მღვდლად აკურთხეს. სამღვდელოებას, რომელსაც მრევლი ბრალს სდებს მრუშობაში, თანხის მითვისებაში და რეზიდენციაში შესასვლელ კარებს უჭედავს, საკვირაო ქადაგებაზე ეს მეუფე პატრიარქის გვერდით დგას.

აი, ეს სამღვდელოება განმიკითხავს მე, რომელსაც „სჯულის კანონისთვის“ იოტის ოდენაც არ გადამიხვევია, ღმერთის მცნებებისთვის არ მიღალატია. დღე და ღამ იმაზე ვფიქრობ, კიდევ რა გავაკეთო მართლმადიდებლობისა და ჩემი ბედკრული ერის საკეთილდღეოდ.

**— მინდა გკითხოთ მეუფე ვახტანგ ახვლედიანთან დაკავშირებით, იმაზე, ბოლო დროს რაც მოხდა ზესტაფონში.**

— მეტად სამარცხვინო და საზარელი ფაქტია. რატომღაც სასულიერო პირები ვერ ითავისებენ იმას, რომ თავისი ულირსი საქციელით ერს არცხვენენ. მრევლი სერიოზულ ბრალდებას უყენებს მას. ამორალიზმს, ფულის მითვისებას. ამას წინათ ჩემთან მოვიდნენ ზესტაფონის ეკლესიის წარმომადგენლები, მიამბეს იქაური ეპისკოპოსისა და მღვდლების ცოდვიან ქმედებებზე. ნამდვილად ვერ გავიმეორებ. ვუსმენდი გაოგნებული. ღვთისმსახურმა მსგავსი სიტყვები როგორ უნდა გაიმეოროს?

ახლა მე მაშფოთებს ერთი ფაქტი. გამოჟონა ინფორმაციამ, რომ საპატრიარქოს სასულიერო პირებმა ჩამოაყალიბეს მასონური ორგანიზაცია. ეს თუ დამტკიცდა, გამოდის, რომ უკვე ღია, პირდაპირი ბრძოლა მიმდინარეობს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, ეკლესია ულმერთოებით და მწვალებლებით, ქრისტეს მტრებით ივსება. ჭეშმარიტი სარწმუნოება ბოლო ბასტიონია, რომელსაც ვერ ერევიან, ვერ შეარყიეს და ახლა სხვადასხვა ხერხებით ცდილობენ მის დაკნინებას: იქნებ ახლა დაფიქრდნენ ის სასულიერო პირნი, გულშიც კი არ გაივლონ სარწმუნოების, სამშობლოს ღალატი, რამეთუ ბოლო ჟამი მოახლოებულ არს.

**— მამაო, ამის შემდეგ კვლავ ფიქრობთ საპატრიარქოში დაბრუნებას?**

— დღევანდელი გადასახედიდან ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ მაგათ შევუერთდე. დღეს იქ ისეთი განუკითხაობაა, თვითონ ვერ გაუგიათ, რა ხდება. სხვადასხვა ჯგუფებად არიან დაყოფილნი და ერთმანეთის განქიქებაში არიან. ისინი არათუ მართლმადიდებლობის დაცვით, არამედ პირადი პრობლემებით უფრო არიან დაკავებულნი.

ამ ულირს სამღვდელოებას შევახსენებ ამონარიდს მათეს სახარებიდან: „რამეთუ დახშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქვენ შეარახვალთ და შემავალთა უტევებთ არა შესლვად“ (მთ.23-14).

მაგრამ „განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, რომელნიც დღე და ღამ მას შეჰღაღადებენ“ (ლკ.18-7).

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



მეუფე კალისტრატე (მარგალიტაშვილი)



მეუფე იოსები (კიკვაძე)



მეუფე პეტრე (ცაავა)



მეუფე გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)



მეუფე ვახტანგი (ახვლედიანი)

# რა მსგავსებაა სომხების ლობისტ ლეონტი მროველსა და მიხეილ სააკაშვილს შორის?

## საქართველო ქართველების გარეშე — აი, რას ნიშნავს ქვეყნის სინგაპურიზაციის გეგმა

*გვესაუბრება **მანუჩარ მაჩაიძე**, 1995-99 წლებში პარლამენტის წევრი, 2006-2008 წლებში თბილისის საკრებულოს წევრი.*

**— ბატონო მანუჩარ, თქვენ ბევრჯერ ყოფილხართ სინგაპურში. რა საერთო შეიძლება მას ჰქონდეს საქართველოსთან, სააკაშვილი ყოველ წუთს სინგაპურს რომ ახსენებს?**

— პირველად სინგაპურში 1968 წელს მოვხვდი. ამხანაგური თამაშები გვქონდა. მას შემდეგ სხვადასხვა დროს კიდევ სამჯერ ვიყავი, ბოლოს 1980 წელს და ეკონომიკური თვალსაზრისით დავინახე გარკვეული ცვლილებები. 60-ან წლებში სინგაპური იყო კონტრაბანდის ქვეყანა, ყველაფერი სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალიან იაფი ღირდა. თუ ევროპაში რაიმე ნივთი ღირდა დავუშვათ 1000 დოლარი, სინგაპურში იგივე ნივთი ღირდა 100 დოლარი. განსაკუთრებულად მიმზიდველი იქ ვერაფერი ვნახე. სინგაპურიზაცია რას ნიშნავს? სინგაპურმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია იმით, რომ დაიწყო ინვესტიციების მოზიდვა, დიდი ფინანსური შესაძლებლობების ხალხმა სხვადასხვა ქვეყნებიდან დაიწყო იქ გადასახლება და ფულის ჩადება. ამან იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობა შემცირდა დახლოებით 15%-მდე. პრაქტიკულად, სინგაპურში შეიქმნა ახალი ერი. ამჟამად ისინი თავიანთ ქვეყანაში ძალიან უმნიშვნელო მასას წარმოადგენენ. როგორც ჩანს, სააკაშვილს ეს გეგმა ჰქონდა დიდი ხანია.. ჩემი პარლამენტში მოღვაწეობის დროს (1995-1999წ.წ.) დავინახე საქართველოში ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც მოდიოდა და რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი ჯგუფი. ხელმძღვანელობდნენ. თვალნათლივ ჩანდა მაშინ, თუ როგორი ანტიქართული განწყობა ჰქონდათ ამ ახალგაზრდებს და რა გეგმები ამოძრავებდათ.

**— მათ მაშინ ახალგაზრდა რეფორმატორებს ეძახდნენ...**

— დიახ, და თავიანთ გეგმებზე პირდაპირ ლაპარაკობდნენ. ჩემდა სამწუხაროდ, 1995-1999 წლებში ქართულმა საზოგადოებამ ამ ძალის საშიშროება სწორად ვერ შეაფასა. მეტიც, ეხმარებოდნენ კიდეც. რეფორმატორების გეგმა მიმართული იყო ქართველების წინააღმდეგ. ყველა ადამიანი, ვინც ქართველი ხალხის ინტერესებს დაიცავდა, საშინელი ზეწოლის ქვეშ ხვდებოდა და იდევნებოდა. ამას მოწმობს აკადემიკოს გურამ შარაძის მაგალითი, რომელიც იცავდა ქართველ ერს, იყო პატრიოტი, მათ პოლიტიკას ვერ ეგუებოდა ისევე, როგორც ასობით სხვა ქართველი ადამიანი გურამ შარაძე ყოველგვარი მორიდების გარეშე ფიზიკურად გაანადგურეს. ვინც სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ამოიღებდა ხმას, განწირული იყო. ან მოკლავდნენ, ან დაიჭერდნენ, ან ქონებას წაართმევდნენ.

მინდა გითხრათ, რომ ქართველი ერის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი არ არის. ამ ბრძოლას საუკუნოვანი ისტორია აქვს. მრავალი საუკუნის წინ არის დაწყებული ქართველების ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა. მაგალითად, მე-8 საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი, სომხების ლობისტი ლეონტი მროველი, „ქართლის ცხოვრების" შესავალს იწყებს ქართველების შეურაცხმყოფელი განცხადებებით. წერს, რომ ქართველი ერი იყო უბოროტესი ხალხი, უწმინდური ზნისანი, საძაგელი ცხოვრებით მცხოვრები, ნათესავთა არმცნობი. ლეონტი მროველის გარდა შეიძლება სხვა ისტორიკოსებიც გავიხსენოთ, რომლებიც საქართველოს ისტორიას ამახინჯებდნენ .

**— საბედნიეროდ არსებობს ისტორიკოსების, უცხოელ მოგზაურთა, მწერლების, მეცნიერების, პოეტების სხვა შეფასებები.**



— მე-5 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქართველოში — ფაზისში, ანუ კოლხეთში იმყოფებოდა ბერძენი ფილოსოფოსი ჰეროდოტე. უძველეს ერად მას გამოყვანილი ჰყავს ეგვიპტელები. თავის საკუთარ ბერძენ ერზე უფრო კულტურულ ერად ჰყავს გამოყვანილი ეგვიპტელები და როდესაც ჩამოვიდა ფაზისში, ანუ ფოთში, გაეცნო კოლხების ცხოვრებას და პირდაპირ წერს, რომ ჩემთვის არავის უთქვამს, მაგრამ მე თვითონ მივხვდი, რომ კოლხები და ეგვიპტელები ერთი ხალხიაო. ე.ი. მაშინდელი დასახლებული მსოფლიოს ყველაზე კულტურული და განვითარებული ხალხი და კოლხები ერთმანეთს შეადარა. რაც შეეხება ველურობას და უკულტურობას, კაციჭამიობას, რასაც ლეონტი მროველი გვაბრალებს, ეს რომ ასე ყოფილიყო, ჰეროდოტე ამას აუცილებლად აღნიშნავდა. იმიტომ რომ მის წიგნში მრავალი ერის ცხოვრებაა აღწერილი და ძალიან ხშირი შემთხვევებია, როდესაც მართლაც სხვადასხვა ერებში მიღებული წესი იყო, როცა ადამიანებს ჭამდნენ, მსხვერპლად სწირავდნენ და ა.შ. მაგრამ კოლხების მიმართ ჰეროდოტე პირიქით ამბობს, კოლხები ცხოვრების წესით, ლაპარაკითაც ძალიან ჰგვანან ეგვიპტელებსო.



**— ბატონო მანუჩარ, უფრო უახლეს ისტორიას დავუბრუნდეთ.**

— საქართველოს სხვადასხვა პერიოდში იყვნენ მოღალატე ქართველები. სხვა ეროვნების ადამიანებს მოღალატეს ვერ უწოდებ, თუნდაც ისინი ანტაგონისტურად და უარყოფითად იყვნენ გამსჭვალული ქართველი ერის მიმართ, ყოველთვის ცდილობდნენ ქართველი ერი ელანძღათ და მთელ მსოფლიოში მოეჭრათ თავი. ამ საქმეში უახლეს ისტორიაში ძალიან აქტიურობდნენ სოციალ-დემოკრატები, ნოე ჟორდანია და მისი ძმანი.. სოციალ-დემოკრატები პირდაპირ ამბობდნენ, ქართველი ერი არ არსებობდაო, ეს შედგენილი ერიაო, ქართველებს ეროვნული ცნობიერება არ აქვთო, ჩვენ უვარგისი ერი ვართ და ა.შ. მე-20 საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით გააქტიურდა (ალბათ, რუსეთის წაქეზებით) ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ნიკო მარის ხელმძღვანელობით, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ერთიანი ქართველი ერი არ არსებობს, რომ საქართველოში არასწორად მიმდინარეობს ქართველიზაცია. სიტყვა ქართველიზაცია მოიგონა ნიკო მარმა. საბედნიეროდ, თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ საკადრისი პასუხი გასცა მათ.

„მოქალაქეთა კავშირის" ერთი ნაწილი და „ნაციონალური მოძრაობა" ღირსეულად აგრძელებდნენ ქართველთმოძულე ისტორიკოსების იდეას. მიხეილ სააკაშვილი დღესაც იმ პოზიციაზე დგას. გვმოძღრავს სინგაპურიდან, უნდა აჩვენოს, თითქოს ქართული ერისთვის უნდა სიკეთე. მიხეილ სააკაშვილზე ხშირად ამბობენ, რომ არის არაპროგნოზირებადი, ეჭვი შეაქვთ მისი ფსიქიკის სიჯანსაღეში. მე არ ვიცი, ეს რამდენად მართალია, მაგრამ მისი პოლიტიკა არის კარგად გააზრებული.რასაც აკეთებს, არ არის გაკეთებული სპონტანურად. არის კარგად გააზრებული ქართული ერის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაგრძელება. მის უკან დგას ვიღაც ძალები. არ ვიცი, ვინ არიან ეს ძალები. ისტორია იტყვის ამას..

**— მასონები ხომ არ არიან?**

— არ მგონია მასონებს ქართველების გაწყვეტა უნდოდეთ. მასონებს ეს რომ ნდომოდათ, უპრობლემოდ შეძლებდნენ. ვთქვათ, რომ ქართველებს მასონები გვიტევენ, არ მგონია. უბრალოდ, არის რაღაც მცირე იმპერიული ძალები, რომლებსაც, სხვათა შორის, ძალიან წარმატებულად, ემსახურება სააკაშვილი.

მან შეასრულა ის, რაც ქონდა დავალებული, მიაღწია ეროვნების გაუქმებას, ამოიღო პასპორტიდან სიტყვა ქართველი. ამით მან გეგმის ნაწილი შეასრულა. რუსებსაც უნდოდათ ქართველების ასიმილაცია მოეხდინათ, მაგრამ ამას ეშმაკურად აკეთებდნენ, ნელნელა.. სააკაშვილი უკვე 18 წელი, 1995 წლიდან, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროიდან ქმნის ქართულ პოლიტიკას.

სააკაშვილმა გახსნა მთლიანად საზღვრები. დადიოდა მთელ მსოფლიოში და ეხვეწებოდა ყველას, ჩამოდით, იცხოვრეთ საქართველოშიო. როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა თქვას, რად გვინდა ქართული ენა, რომელზეც ქართველების გარდა არავინ ლაპარაკობსო?! ეს ანეკდოტიც არ არის, ეს არის სახელმწიფო დანაშაული.

სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ, ვინ დგას სააკაშვილის უკან. საბჭოთა კავშირის დროს ვიცოდით, რომ ყველაფერს მართავდა კრემლი. ვიცოდით, რომ კრემლს უნდოდა საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ასიმილაცია, გარუსება. რუსეთთან უძლურნი ვიყავით, მაგრამ მაინც წინააღმდეგობას ვუწევდით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დაიწყო დემაგოგიური ლაპარაკი, ვითომ რუსების ლანძღვა-გინება, მაგრამ ქართველების საწინააღმდეგო პროცესები გაგრძელდა. ადრე თუ გარუსება უნდოდათ, სააკაშვილს ქართველების ამოწყვეტა უნდა, ქართული ენის მოსპობა. გვპირდება ბედნიერ ცხოვრებას, მაგრამ ვის ჰპირდება, თუ ქართველი საქართველოში აღარ იქნა?!

**ელენე ბარათაშვილი**
555 57 49 35



# გიორგი კორახაშვილს უთქვამს: ჩემთვის არაფერს ნიშნავს რადიო „დარდიმანდი“, უბრალოდ, ჩემი მეუღლე ერთობაო

## ვარძელაშვილმა და მისმა გუნდმა „ბავშვთა ფედერაციის“ თანამშრომლებს რადიოც წაართვეს და შენობაც დაატოვებინეს

ვაგრძელებთ სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებულ ბიზნესმენთა თემას, რომელთა უმეტესობას ბიზნესის წართმევა არ აკმარეს და ციხეშიც გამოამწყვდიეს.

მოგეხსენებათ, სააკაშვილის რეჟიმის პირველი სამიზნე მედიასაშუალებები გახდა, რომლებსაც უცერემონიოდ „აწერდნენ“ კანონიერ მფლობელებს. როგორ წაართვეს ქართველ ბავშვებს რადიო „ახალი ტალღა“, ამის შესახებ შპს „რადიომაუწყებლობა ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“ დამფუძნებლები კობა გილაშვილი და გიორგი კაპანაძე ესაუბრნენ. კობა გილაშვილი ამ კომპანიის 60%-იანი წილის მფლობელი გახლდათ, მისი კომპანიონები იყვნენ „საქართველოს ბავშვთა ფედერაცია“ და ციური ბაბილოძე 20-20-%-ანი წილებით. 2004 წლის დეკემბერში დაფუძნებული კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენდა, ბავშვებისათვის და ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი რადიომაუწყებლობის ორგანიზება საქართველოში, სასწავლო, ლიტერატურული, საგანმანათლებლო, სოციალური რადიოპროგრამების მომზადება და ა.შ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე ხსენებული შპს კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი გახდა და მიენიჭა რადიოსიხშირე ფმ 97.1 მგჰც-ის გამოყენებით მაუწყებლობის უფლება დედაქალაქის ტერიტორიაზე. დღეს ამ სიხშირეზე რადიო „დარდიმანდი“ მაუწყებლობს, რომლის მფლობელიც სააკაშვილის კარის ბიზნესმენი, მომღერალ ნინო ჩხეიძის მეუღლე გიორგი კორახაშვილია. ამ პიროვნების კუთვნილება ყოფილა რადიო „აფხაზეთის ხმაც“ და ფირმა „ალგორითმიც“, ვისგანაც ყიდულობდა მიხეილ სააკაშვილი მოსწავლეებისთვის დასარიგებელ ნოუთბუქებს.

რადიო „ახალი ტალღა“ ვაჟაფშაველას გამზირზე მდებარე ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მუზეუმის შენობაში იყო განთავსებული, აქედან მაუწყებლობენ რადიო „აფხაზეთის ხმა“ და „დარდიმანდიც“. სანამ რადიოს ჩამორთმევაზე ვისაუბრებთ, გვინდა მკითხველმა იცოდეს, თუ რამხელა ძალისხმევა დასჭირდა „საქართველოს ბავშვთა ფედერაციის“ დამფუძნებლებს, მაშინდელ ახალგაზრდა ენთუზიასტებს, ეს შენობა ქართველ ბავშვებს რომ გადასცემოდათ. ორიოდე სიტყვა თავად ფედერაციაზე (თავმჯდომარე კობა გილაშვილი), რომლის თაოსნობითაც მოეწყო პირველი (შევარდნაძის მმართველობისას) „პრეზიდენტის ნაძვის ხე“, პირველი ბანაკები, როცა ათასობით სოციალურად დაუცველ ბავშვს ასვენებდნენ ბორჯომში, ბაკურიანსა და ურეკში. „ლიდერთა სკოლაც“ მათი გაკეთებულია. ეს პროგრამები მერე ურცხვად მიითვისეს ვარდოსნებმა და საკუთარ შემოქმედებად, პატრიოტების პროგრამად შემოგვასაღეს, ხოლო ფედერაციის გამოცდილი, ღვაწლმოსილი თანამშრომლები ქუჩაში გაყარეს. ხსენებული ფედერაცია 90-იანი წლების დასაწყისში დაფუძნდა, როცა მუზეუმებისა და ბავშვებისთვის არავის ეცალა. მათ მუზეუმის შენობა დროებით ეკავათ და საკუთარი თვალით ხედავდნენ როგორ იძარცვებოდა იქაურობა, გაჰქონდათ უნიკალური ნივთები. რესპოდენტების თქმით, ისინი კბილებით იცავდნენ იქაურობას, ავტომატიან ხალხსაც კი არ უშვებდნენ. სამხედრო ოლქის, ე.წ. ზაკვოს ხელმძღვანელობას სპეციალური ბრძანება ჰქონია გამოცემული, სადაც მათი გვარ-სახელი იყო მითითებული, ესენი შენობაში არ შეუშვათო. ახალგაზრდებმა დახმარება საქართველოს თავდაცვის მინისტრს სთხოვეს, რომელიც თავის გენერლებთან ერთად მისულა, დაუთვალიერებია იქაურობა, თურმე თავისთვის კაბინეტს ეძებდა, მაგრამ არ მოსწონებია და უკანმოუხედავად წასულა. „უპატრონოდ“ დარჩენილებს დახმარებისთვის ცნობილი მხატვარის, ზურაბ წერეთლისთვის მიუმართავთ. წერეთელი მოსკოვში იყო, მაგრამ მალევე ჩამოვიდა, შეხვდა ახალგაზრდებს, ეტყობა მოეწონა მათი მოსაზრება დაშემართება და შევარდნაძეს სთხოვა, როგორმე ამ ახალგაზრდებს დავეხმაროთო.

მაშინ ამ შენობის მიმართ ინტერესი თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანსა და ჯაბა იოსელიანსაც გასჩენიათ. ჯაბას თურმე თავისი შვილისთვის უნდოდა, საოქრომჭედლო საამქროების გახსნას აპირებდნენ. ახალგაზრდებმა შევარდნაძეს წერილობითაც მიმართეს, მან კი საკითხის განხილვა და ფედერაციისთვის დახმარება ჯაბა იოსელიანს დაავალა. შევარდნაძემაც იცოდა ჯაბას ინტერესი ამ შენობის მიმართ და სპეციალურად დაავალა, აინტერესებდა რა გადაწყვეტილებას მიიღებდაო. იოსელიანი შეხვედრია ფედერაციის დამფუძნებლებს და სიცილით უთქვამს, ახლა თქვენ ბავშვებისთვის მზე რომ მოინდომოთ, ვინ მოგცემთო. მერე ისევ ზურაბ წერეთელი ჩაერია და შენობა საბოლოოდ მას დარჩა. რესპოდენტთა განცხადებით, მათ პარალელურად ყველა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს მიმართეს თხოვნით, ეს შენობა ბავშვებისთვის



რომ გადაეცათ დაყველას მოუწერია ხელი თანხმობაზე. ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი მაკა ქემხაძე მოსკოვშიც კი ჩასულა თავდაცვის მინისტრ იაზოვთან ანალოგიური თხოვნით და დაითანხმა. საბოლოოდ მუზეუმის შენობა „ბავშვთა ფედერაციას“ გადაეცა მფლობელობაში. აი, ნაციონალებთან კი არავითარმა არგუმენტმა არ გაჭრა.

„ბავშვთა ფედერაცია“ თავიდან საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო, თუმცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელობა იძულებული გახდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაეკეთებინათ, რადგან შეიტყვეს, რომ ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს, ლადო ვარძელაშვილს არაჯანსაღი ინტერესი გაუჩნდათ ამ შენობის მიმართ. ახლადშექმნილი სსიპ-ი კულტურის სამინისტროს დაექვემდებარა. ფედერაციის ბაზაზე იყო რადიო „ახალი ტალღაც“, ერთადერთი რადიო მთელ აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც ახალგაზრდებისა და ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი, რომლის ტექნიკურ უზრუნველყოფაშიც მათ საერთაშორისო ორგანიზაცია „გლობალური ფონდი“ დაეხმარა. რესპოდენტთა განცხადებით, ვარძელაშვილი განსაკუთრებით რადიოთი დაინტერესდა. კობა გილაშვილი უდიდესი წნეხის ქვეშ მოექცა, რადგან შენობისა და რადიოს გარდა, ვარდოსნებს მისი თანამდებობის მიმართაც გაუჩნდათ ინტერესი, მოსთხოვეს განცხადება დაწერე და წადიო. თავიდან თურმე ლადო ვარძელაშვილიც სტუმრობდა ფედერაციას, მაგრამ მერე თავის ხელის ბიჭების პირით უყენებდა ულტიმატუმს. მოდიოდა რეჟისორი დათო იმედაშვილი, ეს ის რეჟისორია, რომელიც სააკაშვილის საპრეზიდენტო ინაუგურაციას აწყობდა. იგი ვარძელაშვილის მეჯვარეა. როგორც შემდეგ გაირკვა სწორედ ის ყოფილა დაინტერესებული რადიოს საქმიანობითა და ტექნიკური აღჭურვილობით. ეს ყველაფერი 2007 წლის დასაწყისში ხდება, ამ დროს ვარძელაშვილი უკვე კულტურის მინისტრის მოადგილეა. ბოლოს ახალგაზრდული საქმეების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი ირაკლი ნადირაძე მისულა, კობა გილაშვილითან ულტიმატუმით, ვარძელაშვილმა შემოგითვალა, რადიოს 100%-იანი წილი ჩვენ უნდა გადმოგვიფორმოო. გილაშვილი ამ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად ვერ მიიღებდა, რადგან მის გარდა სხვა მოწილეებიც იყვნენ, მაგრამ იგი აიძულეს სხვებიც დაეყოლიებინა, რადგან სერიოზული პრობლემების შექმნით დაემუქრნენ. გილაშვილს ლადო ვარძელაშვილთან შეხვედრა უთხოვია, მაგრამ ვარძელაშვილმა შემოუთვალა, ჯერ რადიო გადმოგვიფორმე და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო.

მანამდე „განწირულებს“ კულტურის მაშინდელ მინისტრ გოკა გაბაშვილთან შეხვედრა უცდიათ, იქნებ მან მაინც შეაცვლევინოს ვარძელაშვილს გადაწყვეტილება, მითუმეტეს, რომ საკითხი საბავშვო რადიოს ეხებოდა, სადაც თავად ბავშვებიც მუშაობდნენ, ფუნქციონირებდა ჟურნალისტური სკოლა. მინისტრის მაგიერ მათ მამამისი კოტე გაბაშვილი შეხვდრიათ, რომელსაც უთქვამს, გაანებეთ ჩემ შვილს თავი, უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩააგდებთ, ეს საკითხი ისეთ დონეზეა გადაწყვეტილი, რომ გოკა ვერაფერს შეცვლის, ვარძელაშვილზე ზეგავლენას ვერ მოახდენსო. შენობის წართმევის საკითხი მანამდე გადამწყდარა, რადიო „აფხაზეთის ხმა“ შემოიყვანეს და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებიც ხშირად სტუმ-



რობდნენ იქაურობას მეზობელი „მოდულიდან“. საბოლოოდ „ბავშვთა ფედერაციის“ თანამშრომლებს რადიოც წაართვეს და შენობაც დაატოვებინეს. მათთან ერთად ქუჩაში აღმოჩნდა რადიოს ახალგაზრდა თანამშრომელთა მთელი გუნდი. ცხადია, გილაშვილსაც დაატოვებინეს ფედერაციის თავმჯდომარის პოსტი. მოგვიანებით ფედერაცია ახალგაზრდულ ცენტრად გადააკეთეს, მისი პირველი თავმჯდომარე, ვინმე ჯოხაძე ბობოლა ზონდერი იყო, ამ შენობაში იმართებოდა ზონდერების „სხადნიაკი“, სადაც იგეგმებოდა, საქართველოს მასშტაბით რომელი საპროტესტო აქცია უნდა დაერბიათ.

ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, როგორ მოხდა რადიოს წილების გადაფორმება ვარძელაშვილის მეჯვარეზე, რომელიც ამ საქმეში თავიდან ოფიციალურად არ ფიგურირება. 2007 წლის 18 მაისს რადიოს დამფუძნებლები ვაკეში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ნოტარიატში დაიბარეს, სადაც ნოტარიუსმა თინათინ დევდარიანმა (გინტური №2) მათ ხელმოსაწერად წინასწარ გამზადებული შესაბამისი დოკუმენტაცია დაახვედრა, მათ შორის იყო წილის გადაფორმების თაობაზე ფონდ „საქართველოს ბავშვთა ფედერაციის“ გამგეობის ვითომდა გამართული სხდომის ოქმი და სანოტარო აქტები წილების გადაფორმების შესახებ.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

არადა, სხდომის ჩატარების თარიღად რა დროც არის მითითებული, იმ პერიოდში ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი მაკა ქემხაძე სამსახურებრივი მივლინებით ინგლისში იმყოფებოდა. ისე, ქალბატონი დევდარიანისთვის ეს საქმე გამონაკლისი არ ყოფილა, მასაც, მისი კოლეგა ნუნუ გინტურის მსგავსად სხვა დროსაც დაუმოწმებია „ნებაყოფილობით“ წილების დათმობა. წილის დათმობის ხელშეკრულებაზე მეორე მხარედ კახა ბექაურია („მაესტროსა“ და „მე-9 არხის“ ყოფილი გენდირექტორი) დაფიქსირებული, რომელიც გადაფორმების დროს იქ ფიზიკურად არ ყოფილა. ვარძელაშვილის მეჯვარე იმედაშვილი მოგვიანებით ჩნდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში, როგორც ზემოხსენებული შპს-ს 100%-იანი წილის მფლობელი, თუმცა მოგვიანებით, როგორც ჩანს მასაც დაათმობინეს ეს წილი.


გიორგი კორახაშვილი

საქმე იმაშია, რომ ამ ხალხს წილები კი დაათმობინეს, მაგრამ მათთვის ერთი თეთრიც არ გადაუხდიათ. რადიო თურმე 2000 ლარი ღირებულა, მაგრამ ეს თანხაც არ მისცეს. თანაც აქ საუბარი იყო მხოლოდ ლიცენზიის გადაცემაზე, რომელიც სასაცილო ფასად, 5330 ლარად შეაფასეს (რაც მხოლოდ ერთსაათიანი სარეკლამო დროს ფასია), არადა რადიოს დამფუძნებლებს თავის დროზე ამ ლიცენზიაში 10.000 ლარი გადაახდევინეს. რაც შეეხება შესაბამის ტექნიკურ აპარატურას, ეს მართალია ოფიციალურ „გარიგებაში“ არ შედიოდა, მაგრამ ვარძელაშვილმა „ხურდაში“ დაიტოვა. როგორც ირკვევა, ამ აპარატურით წლების განმავლობაში სარგებლობდა დავით იმედაშვილი, ხოლო შემდგომ უკვე კორახაშვილის კუთვნილი „დარდიმანდი“. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აპარატურის რაღაც ნაწილი იმედაშვილმა კი დაუბრუნა მის კანონიერ მფლობელებს, თუმცა მათ არ იციან, ვარგისია თუ არა. რაც შეეხება კორახაშვილს, ის ამ თემაზე დუმს. კორახაშვილის კუთვნილი შპს „მომავლის რეკლამა“, რომლის შემადგენლობაშიცაა რადიო „დარდიმანდი“, წართმეული რადიომაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელად 2010 წლის დეკემბრიდან გვევლინება. რა გარიგება მოხდა ვარძელაშვილის პროტეჟე იმედაშვილსა და ვანო მერაბიშვილის პროტეჟე კორახაშვილს შორის, აქაც ხომ არ მოხდა წილის „ახევა“, ვერაფერს მოგახსენებთ. სხვათა შორის, კორახაშვილი „ტელეიმედის“ 33%-იანი წილის მფლობელიც გახლდათ. ასე რომ, აშკარაა ნაცხელისუფლების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. მერაბიშვილთან მის ახლობლობაზე ისიც მეტყველებს, რომ თურმე, ვანო დაჭერამდე კორახაშვილის კუთვნილ სახლში ცხოვრობდა. შეიძლება კორახაშვილმა თქვას, მე რას მერჩით, კეთილსინდისიერი შემძენი ვარო, თუმცა კობა გილაშვილი მიიჩნევს, რომ „მომავლის რეკლამის“ ერთადერთი მფლობელი და დირექტორი გიორგი კორახაშვილი ვერ ჩაითვლება მათთვის წართმეული ლიცენზიის კეთილსინდისიერ მფლობელად, რადგან, როგორც ირკვევა, მისთვის კარგად ყოფილა ცნობილი რადიო „ახალი ტალღის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ. რადიო „აფხაზეთის ხმის“ დირექტორმა ირაკლი დათეშიძემ კარგად იცოდა, როგორ წაართვეს რადიო „ახალი ტალღა“ მის კანონიერ მფლობელებს, ის დღესაც კორახაშვილთან მუშაობს და გამორიცხულია მისთვის არაფერი ეთქვაო. გილაშვილს ვარაუდით, ხსენებული ლიცენზიის გადაცემა განხორციელდა იმედაშვილისა და კორახაშვილის ერთობლივი გეგმით, სწორედ იმ მიზნით, რომ კვალის დაფარვა მომხდარიყო, შექმნილიყო ახალი მფლობელის კეთილსინდისიერების საფუძველი, რათა ლიცენზიის რეალური მფლობელებისთვის იძულებით დათმობილი უფლებების, ქონების დაბრუნების მოთხოვნის საშუალება მოესპოთ.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ცხადია, „ახალი ტალღის“ მფლობელებმაც დაიწყეს რადიოს დასაბრუნებლად მოქმედება. მათ სანამ პროკურატურას მიმართავდნენ, ახლანდელ მფლობელთან მშვიდობიანი მორიგება სცადეს, გაესაუბრნენ იმ პირებს, ვინც ამ საქმეში ფიგურირებს. კახა ბექაური წერილობით ადასტურებს, რომ წილის გადაფორმების დროს ნოტარიუსთან არ ყოფილა. მისი თქმით, საერთოდ არ იცოდა რადიო წართმეული თუ იყო. იმედაშვილს კარგად ვიცნობდი, მან მთხოვა ჩემს ახლობლებს რადიო აქვთ, მაგრამ საქმეს ვერ უძღვებიან, იქნებ მართვაში დამეხმარო და იმიტომაც დავთანხმდი. როგორც კი ეჭვი გამიჩნდა, მაშინვე გავედი საქმიდანო. იგივე უთქვამს იმედაშვილსაც, თუმცა მისი ვერსია ნაკლებ დამაჯერებელია. ჩვენს რესპოდენტებს ოფიციალური წერილით მიუმართავთ კორახაშვილისთვის, შეიძლება ლიცენზიის დაბრუნების საკითხი დავაყენოთ, ამიტომ გთხოვთ თავი შეიკავოთ შემდეგი გაყიდვა-გადაყიდვებისგან უხერხულ მდგომარეობაში რომ არ აღმოჩნდეთო, თუმცა პასუხი ვერ მიიღეს. სხვათა შორის, კორახაშვილს კერძო საუბარში უთქვამს, ჩემთვის არაფერს ნიშნავს ეს რადიო, უბრალოდ ჩემი მეუღლე ერთობაო. მხოლოდ ამის შემდეგ მიმართეს დაზარალებულებმა განცხადებით მთავარ პროკურატურას, სადაც აღწერილი იყო, თუ როგორ მოხდა მუქარით და შანტაჟით წილების გადაფორმება. ჩვენი რესპოდენტები დარწმუნებულები არიან, მაშინ რომ არ დათანხმებულიყვნენ ყველაფრის დათმობას, მათაც გისოსებს მიღმა გაამწესებდნენ. მომჩივნები პროკურატურაში კი დაუბარებიათ, თუმცა ეს დაკითხვა კი არა, უფრო გასაუბრება იყო, რადგან გამომძიებელ დავით ძნელაშვილს შესაბამისი ოქმი არ შეუდგენია. „გვეგონა ხელახლა გამოგვიძახებდნენ და დაგვკითხავდნენ, მაგრამ არავინ დაგვკავშირებია. პროკურატურას ხელმეორედ როცა მივმართეთ, გვითხრეს, ეს საქმე თბილისის პროკურატურას გადაეცაო. თბილისის პროკურორად მაია მწარიაშვილის დანიშვნის შემდეგ, მასაც გავუგზავნეთ წერილი, პარალელურად პარლამენტარ მანანა კობახიძესაც მივმართეთ. მან ჩვენი და თავისი წერილები მწარიაშვილის უწყებას გადაუგზავნა, თუმცა ამას რეაგირება არ მოყოლია. მოგვიანებით პროკურატურიდან გვაცნობეს, ძალადობრივი გზით რომ მოხდა წილების გადაფორმება, არ დასტურდება, თუ ახალი გარემოებები გამოჩნდება, მერე ვიფიქრებთ სს-ის საქმის აღძვრაზეო“, აცხადებენ რესპოდენტები და დასძენენ, კარგი იქნებოდა, თავის დროზე მოეფიქრებინათ და ჩაეწერათ ის სისტემატური მუქარები, რომლის საფუძველზე მოხდა იძულებითი გადაფორმება. ჩვენი რესპოდენტები დღესაც ვერ საუბრობენ აღელვების გარეშე იმ საშინელ ზეწოლაზე და „განკულაკებაზე“, რაც მათ მიმართ განხორციელდა.

რესპოდენტთა განცხადებით, მათ არ შეუძლიათ ქონების დაბრუნებაზე სასამართლო წესით იდავონ, რადგან ხანდაზმულობის ვადები ამოიწურა. მათი ბოლო იმედი პარლამენტში შექმნილი კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის საქმეების შემსწავლელი კომისიაა, რომელსაც პარლამენტარი თინა ხიდაშელი ხელმძღვანელობს. დაზარალებულებმა უკვე მიმართეს ხსენებულ საგამოძიებო კომისიას, რომელიც მათ საქმესაც სწავლობს. შესაძლებელია, რომ გამოიკვეთოს ახლად აღმოჩენილი გარემოებები, მათ შორის ისიც დადგინდეს რამდენად კეთილსინდისიერი მყიდველია გიორგი კორახაშვილი. საპარლამენტო კომისიის პირველი სხდომა 17 სექტემბერს გაიმართა, იმედი ვიქონიოთ, რომ ობიექტური დასკვნები დაიდება.


დავით იმედაშვილი

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

---

ყველაზე მაგარი ჩოილარი ისაა, ვისაც სჯერა, რომ ნატოში და ევროკავშირში მიიღებენ ამ ერთ გადაფურთხება საქართველოს

აი, მაგაზე უფრო დიდი ჩოილარი ის არის, ვისაც უნდა, რომ საქართველო ისევ რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს. ჯერ ერთი, თანამედროვე დასავლური ცივილიზაციისკენ სვლა და ამის სურვილის გამოთქმაც კი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საქართველოს მომავლისთვის, ხოლო,

გიჟი არც ჰიტლერი იყო, მაგრამ ნორმალურიც რომ არაა ეგ სააკოვი, ესეც ცხადია. უბრალოდ, უნდა ვიფხიზლოთ ხალხმა, ამ აჩვრებს გადატრიალებისკენ არ წაუცდეთ ხელი. ასეთი იდეაც ექნებათ ან ნაძირლებს.

გამაგებინეთ, რა ხდება? ან რას ნიშნავს გაგებით მოკიდება??? ნორმალურ შემთხვევაში, ნორმალური ქვეყანის მიუკერძოებელი ექსპერტები, სპეციალისტები, საქმის კარგად მცოდნეები, პატრიოტები, ადგილის მკვიდრები და მათი ოპონენტები ერთად იკრიბებიან. სახალხოდ, გამჭვირვალედ და გასაგებად განიხილავენ, არკვევენ. თუ ეს ასეა, ხალხს საზოგადოებას მათი შიშის, საფრთხის უსაფუძვლობაში არწმუნებენ. ეს საკითხი, მისი ასე გადამღერება არც მე, არც შენ და თუნდაც არც მხოლოდ 21-ე საუკუნის ერს და ბერს ეკუთვნის. იგი სამარადისო საკითხი და კუთვნილებაა სრულიად საქართველოსი. ულტიმატუმის ენით, ’’გაგებით მოკიდებითა და პატრიარქს ვთხოვე’’- თი არ უნდა გადაწყდეს!!

## xa l xis az r iT




იმაზე ფიქრიც კი რომ საქართველო ოდესმე ისევ დაუბრუნდება რუსეთის შემადგენლობას, საქართველოსთვის დამაქცევარი და დამღუპველია. იქნებ ისიც გამაგებინოთ, თვლით თუ არა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მიგაჩნიათ თუ არა საქართველო თქვენი და თქვენი შთამომავლების ერთადერთ გარანტირებულ საარსებო გარემოდ, თუ ურუსეთოდ ისევ არ შეუძლია არსებობა.

კი დაინახა ხალხმა აშშ-ს დახმარება, ცოცხებს რომ თხრიდნენ თრაქში და ცოცხლად ტყავებს რომ აძრობდნენ ნაცები, აშშ კი იძახდა „დემაკრატიის“ შუქურა და ზეიმია ჯეორჯიაშიო! ფაფუ, დამთავრდა მაგ მიშას ზღაპრების დრო, იცის ხალხმა, გრძნობს, რაც უნდა გააკეთოს!

გამოწმენდის სპეცოპერაცია დაიწყო თუ რა ხდება?!

საქართველოში ეხლა დანდობა კი არა, ფეხი რომ დაგრჩეს კარებს გარეთ, მოგაჭრიან!

დაფრენილა..! ალბათ, ჰაერში გადატანილი შიშის ფაქტორია... აღმშენებლობის ეპოქა ნგრევის ეპოქას შეუცვლია...ქუთაისს დაკვლას უპირებს ბიძინა, სამეგრელოს მთავარი პროექტი – ლაზიკა ...მდაა, ძნელია უყურო 27- მდე საცოდაობას!

არაა გიჟი, არ დაიჯეროთ, მაგასაც ეგ უნდა.

მდაა......... ეჰ, სადააა ავლიპი, ზურაბიშვილი? აფსუს, რა მასალაა!

რამდენ რამეს მოვეკიდოთ „გაგებით’’? ....ნაცები ‘’გააპრავეს. სამუდამოდ წამოგვასვეს თავზე, იმათი გაყიდული და დაკარგული მიწების დაბრუნება კი არა, იმდენი ქენით. რაც დარჩა, ისენიც დატბორეთ, რომ მერე აქედანაც რომ გაგვასახლებენ, გულზე დასაყრელი თითო მუჭაც ვერ წავიღოთ!!!

სააკაშვილს გაუჭირეს საქმე, ხან აქ ხსნის აშენებულ ობიექტებს და ხან – იქო.

ეს ბიძინა კიდევ პირიქითაა. ამ 11 თვის განმავლობაში ილია II-ის მიერ ნაჩუქარი საათის ყუთის გარდა არაფერი გაუხსნია.

6 თვეში რა უნდა მოესწრო? აცალა ვინმემ? 9 წელი მართა მიშა სომეხმა და როგორ მართა კი ხედავთ, 9 წელი აცადეთ ქვეყანა ენგრია და თან ნგრევა ნგრევაში უმღეროდით მიშა მაგარიას. ჩვენ აბა, რა ხალხი ვართ

ის ხალხი სად არიან ილიას,კახი ასათიანს, მერაბს და ზვიადის, ვაჟას შვილს რომ ესროლეს? მიშა დამაქცევარს რად არ ესვრიან?

# რა ხდება სირიაში და ვინ არიან უცნაური ბოევიკები, რომლებიც ქრისტიანულ ქალაქ მაალულას შეესივნენ და ეკლესია-მონასტრები დაანგრიეს?

„სირიის თავისუფალმა არმიამ“ ინტერნეტით გაავრცელა (რაც დიდი მონდომებით აიტაცეს აშშ-ისა და საფრანგეთის სპეცსამსახურებმა) კადრები, სადაც გუტას მოსახლეობის მასიური მკვლელობაა ასახული. კადრებში ჩანს, როგორ იხუთებიან ბავშვები ქიმიური ინტოქსიკაციის გამო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამის მიზეზი არ იყო ზარინი, ვინაიდან ზარინით მოწამლულებს გამოეყოფათ ყვითელი ფერის ნერწყვი და არა თეთრი; თითქმის



ყველა ბავშვი თანატოლი და ქერაა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის არ არის დამახასიათებელი; საეჭვოა ისიც, რომ ბავშვებთან არ ფიქსირდებიან მათი დამწუხრებული ოჯახის წევრები ან ახლობლები...

ალავიტების ოჯახებმა დაუყოვნებლივ მიმართეს სასამართლოს. გაირკვა, რომ ინტერნეტში ატვირთული ზოგიერთი ვიდეო ბევრად ადრეა გადაღებული, ხოლო კადრებში ასახული არიან ე.წ „სირიის მოვლენებამდე“ ორი კვირით ადრე გუტადან 200 კმ-ში მდებარე ლატაკიიდან თვით ე.წ „ჯიჰადისტების“ მიერ გატაცებული ბავშვები.

მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც იტყვიან ხოლმე, ფარდა აეხადა „სირიის თავისუფალი არმიისა“ და დასავლეთის სპეცსამსახურების კიდევ ერთ პროვოკაციას ბაშარ ასადის რეჟიმის მიმართ, გუტას მასიური მკვლელობის ყველა მსხვერპლი მიეკუთვნება სირიის ხელისუფლების მხარდამჭერთა ოჯახებს და ასადის რეჟიმის დანაშაულზე სწორედ ისინი საუბრობენ, ვინც სინამდვილეში მათი მკვლელები არიან.

(http://www.voltairenet.org/article180151.html )

ამ საეჭვო და გაურკვეველ ფონზე ძალზე უცნაური იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო მხარს უჭერს ამერიკის ინტერვენციას სირიაში და ისიც, არარსებული დასკვნის საფუძველზე რომ დაასკვნა, ქიმიური იარაღი სწორედ ასადის არმიამ გამოიყენაო.

საინტერესოა, რა „შორსმიმავალი ჩანაფიქრით“ უდგება გვერდზე განვითარებადი საქართველო ცივილიზებულ მსოფლიოს ანტისირიულ კოალიციაში მონაწილეობისას, როდესაც ნატო-ს წევრი ქვეყნების დიდი უმრავლესობა ოფიციალურ უარს აცხადებს ასეთ ნაბიჯზე? ჯერ იყო და სირიის წინააღმდეგ სანქციებს მიუერთდნენ, ახლა ეს დიპლომატიური სიბრიყვე...

არცთუ დიდი ხნის წინ, ასე ვთქვათ, წინა ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ, რომელიც სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადიმ დამასკოში მიიღო, მისი მტკიცე სიტყვა ჩამოიტანა, რომ მიუხედავად რუსეთთან თბილი ურთიერთობისა, სირია კატეგორიულად არ აღიარებდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას, ახალი ხელისუფლების ჩამოუყალიბებელმა დიპლომატიამ კი, თუ ალავიტები დარჩნენ სირიის ხელისუფლებაში, ჩავთვალოთ, რომ სირიაც ავად დაიპირისპირა...

არცთუ დიდი ხნის წინ ტელევიზიით გადიოდა დავით გიორგობიანის ფილმი „ქრისტეს მიმდევრები“, რომელიც გადაღებულია 2009 წელს. ფილმში საუბარია ქალაქ მაალულაზე, სადაც 10 000 მოსახლიდან 80% ქრისტიანია და მთელ პლანეტაზე ერთადერთი ადგილია, სადაც არამეულად, ქრის-



ტეს ენაზე ლაპარაკობენ. 4 სექტემბერს 1000-ზე მეტი ზეშეიარაღებული ბოევიკი შეიჭრა ქალაქში და ნგრევა დაუწყეს ეკლესია-მონასტრებს, დაამტვრიეს და დაწვეს ხატები, შებილწეს ყველანაირი ქრისტიანული სიმბოლო და აიძულებდნენ მოახლეობას ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფას. (ცნობისათვის, სამოქალაქო ომის დაწყებამდე მაალულაში რუსეთის პატრიარქი კირილიც იყო ჩასული და მოილოცა). მაალულას მცხოვრებლებმა სასწრაფოდ წერილი მიწერეს აშშ-ის კონგრესს, აუხსნეს რა მგომარეობა,, „ეს ხდება მაშინ, როცა ხელისუფლება ჯერ კიდევ მყარადაა და რა მოხდება როცა აშშ სირიის დაბომბვას დაიწყებს, რა ელით ქრისტიანებს?“ — აშშ-ის წერილობითი ან სიტყვიერი პასუხი არ გავრცელებულა...

ბოევიკებმა ალ-ქაიდას დროშაც აღმართეს — ცოტა უცნაურია...

ბოევიკები წვერებიანი და ჭუჭყიანები კი არა, კარგად გაწვრთნილი და უწვეროები არიან — არც ეს არის უცნაურობას მოკლებული...

იბადება კითხვა: ალ-ქაიდას ბოევიკები, ადგილობრივი არმიის წევრები თუ კიდევ ვილაც, გაურკვეველი წარმომავლობის ბოევიკები სდევნიან ქრისტიანებს და ძალით ავრცელებენ ისლამს?

დავით გიორგობიანი (მსახიობი, რეჟისორი ფილმისა „ქრისტეს მიმდევრები): „დამასკოს ერთ-ერთ მთავარ მეჩეთში ბრძანდება ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, წმინდა დიდებული წინასწარმეტყველის იოანე ნათლისმცემლის თავი. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოვილოცეთ ეს ადგილი. გვახლდა ბერ-მონაზონი ათონის წმინდა მთიდან, კიდევ ერთი მონაზონი და პარაკლისიც კი გადავიხადეთ მეჩეთში — თქვენ წარმოგიდგენიათ, რომელიმე სხვა ქვეყანაში მეჩეთში რომ პარაკლისი გადაგვეხადა? თუნდაც ეს ერთი ფაქტი მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ კეთილმეზობლურად და დიდი ადამიანური გაგებით ცხოვრობდნენ სირიაში ამ ორი სარწმუნოების ადამიანები.

სწორედ დამასკოს შესასვლელთან შეხვდა პავლე მოციქულს (სავლეს) უფალი და უთხრა: „საულ, საულ, რად მდევნი მე?“ უამრავი ქრისტიანული სიწმინდეა სირიის მიწაზე, მათ შორის პირველი დედათა შორის, მოციქულთა სწორი, ქალწული მოწამე თეკლა, რომელიც სწორედ სირიაში მოღვაწეობდა. მისი ლოცვით საოცარი წყალი გაჩნდა იქ, სადაც მონასტერი ააშენეს, სადაც 1500 მეტრის სიგრძის კლდე გააპო უფალმა მისი ლოცვით (მდევრები მისდევდნენ შესაბილწად)... საოცარი ფაქტი ვნახე იქაც, ირანიდან ჩამოსული შიიტები (ავტობუსებით ჩამოდიან) შემოსული იყვნენ მართლმადიდებლურ მონასტერში, ქრისტიანი წმინდანის დალოცვილ ამ წმინდა წყალს სვამენ და იღებენ კურნებას... უამრავი წმიდა ადგილია სირიაში...

დანარჩენს ფილმი მოგითხრობთ, მაგრამ მინდა განსაკუთრებით დააკვირდეთ იმას, რატომ ხდება ის, რაც ხდება ახლა, მშვიდობიანი, ერთმანეთისთვის კეთილის მოსურნე ადამიანებს შორის ვილაცის პოლიტიკის გამო...“

... და კიდევ რამდენი რამ. ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივია, იბადება კითხვა: სინამდვილეში რა ხდება სირიაში, რას და ვის ინტერესებს ეწირებიან ადამიანები?

**ნოდარ ლომჯარია**

# ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა,**

თქვენმა განცხადებამ, რომ უახლოეს პერიოდში აპირებთ აქტიური პოლიტიკიდან წასვლას, ბუნებრივია, გარკვეული დისონანსი შეიტანა საზოგადოებაში და ღრმად ჩააფიქრა ყველა, ვინც ოცნებობს საქართველოს კეთილდღეობაზე (თუმცა გარკვეულწილად გაგვამხნევა და დაგვაიმედა მასთან ერთად თქვენმა დაპირებამ, რომ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, უმალ დაბრუნდებით ისევ აქტიურ პოლიტიკაში).

ვუერთდები რა ჩვენი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის სურვილებს, მიმაჩნია, რომ სწორედ დღეს მოითხოვს აუცილებლობა, თანაც მთელი დაჟინებით, რომ მიუხედავად თქვენს მიერ მოტანილი არგუმენტებისა, დარჩეთ ქვეყნის წინამძღოლად, მით უფრო, თუ თქვენი მიზანდასახულება სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბების შესახებ დღევანდელი პოზიციებიდან არანაკლებ ეფექტურად შეიძლება განხორციელდეს.

თქვენ, როგორც ქართველი ხალხის დიდმა მოამაგემ და მგზნებარე მამულიშვილმა, სამშობლოს წინაშე შეასრულეთ უდიდესი მისია, რომ ქვეყანას ჩამოაშორეთ ჯალათები, მაგრამ მასთან ერთად, რისთვისაც გაკეთდა ყოველივე ეს, ჯერ კიდევ განუხორციელებელია. ქართველი ხალხი მოელის თქვენგან პერმანენტულად, ყოველგვარი არდადეგების გარეშე, საქართველოს გაბრწყინებას, რაც ყველაზე უფრო წარმატებით შეიძლება განხორციელდეს თქვენი უშუალო წინამძღოლობით. ნუთუ ისე აპირებთ წასვლას აქტიური პოლიტიკიდან, რომ ეს მისიაც თქვენთვის ჩვეული შემართებით არ დააგვირგვინოთ.

თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასაო, — უთქვამს დიდ დავით გურამიშვილს. პოლიტიკაზე რომ განვავრცოთ მისი ეს მცნება, შეიძლება ითქვას, რომ თქვენი გადაწყვეტილება აქტიური პოლიტიკიდან დღეს წასვლის შესახებ, დიდი შეცდომაა, რასაც ქართველი ხალხი გულისტკივილით აღიქვამს.

რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი — ყველა არსებული რესურსის მაქსიმალურად გამოყენებით, ხელი-ხელ ჩაკიდებული უშიშრად წავიწიოთ წინ, ბატონო პრემიერო, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი წინამძღოლობით, რომ საქართველოს საბოლოოდ ეშველოს და ქართველმა კაცმა სამუდამოდ გაიხაროს.

ალბათ, ასე აჯობებდა, ბატონო ბიძინა.

მაპატიეთ, მე, 87 წლის ადამიანს, ასე თამამად რომ გესაუბრეთ.

ღრმა პატივისცემით

**გრამიტონ კვარაცხელია,**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი

# ლეო ბოკერია — გულის გულითადი ექიმი

## თამაშობს... სიკვდილთან, ოლონდ — სიცოცხლის მხარეზე

ჩვენი თანამემამულე, მსოფლიოში აღიარებული ქირურგი ლეო ბოკერია მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრს უკვე მრავალი წელია ხელმძღვანელობს. ამ სამედიცინო დაწესებულებას ხშირად „გულის სახლად“ მოიხსენიებენ. ბავშვთა კარდიოქირურგიაში იგი ერთ-ერთი უმსხვილესია მსოფლიოში, მსგავსი მასშტაბის მხოლოდ ბოსტონთან ახლოს მდებარეობს.

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, გული მხოლოდ და მხოლოდ კუნთია. ავადმყოფობა გვიტევს, ვნერვიულობთ, ვბრაზობთ და გულიც ცვდება, ნახევრად ცოცხალ დამჯკნარ გუნდას ემსგავსება... მაგრამ მისი გადარჩენა შეიძლება. გულის დაავადებათა უმრავლესობა იკურნება, მათ შორის — ქირურგიულადაც, ზოგი — რამდენიმე საათშიც კი.

10 წლის განმავლობაში ავღანეთში საბჭოთა კავშირმა 15 ათასი კაცი დაკარგა, გულის დაავადებებისგან კი ყოველწლიურად, მხოლოდ რუსეთში, 300 ათასი მოქალაქე იღუპება. კარდიოქირურგ ბოკერიას ექვსი ხელი რომ ჰქონდეს და დღე-ღამეში 48 საათი, ყველას გადაარჩენდა, ვისი გადარჩენაც შესაძლებელია. თურმე ყოველ მეორეს აქვს ამის შანსი.

არც ისე დიდი ხნის წინ, უნიკალური ოპერაცია ჩაატარა — თანდაყოლილი გულის მანკით დაავადებულ თავის პაციენტს ცხოველის ქსოვილისგან სპეციალურად მისთვის დამზადებული სარქველი გადაუნერგა. ბიოპროტეზის იმპლანტაციის მსგავსი ოპერაცია მსოფლიოში ჯერ არსად გაუკეთებიათ.

ლეო ბოკერია — „ადამიანი-ორკესტრი“, უამრავი ტიტულის მფლობელია, თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, **„ყველაზე საამაყოა „ლენინისა და სახელმწიფო პრემიები. ეს ჯილდოები ჩემი ცხოვრების მთავარ საქმეში მომანიჭეს. იმ მუშაობისთვის, რომლის შედეგადაც უიმედო ავადმყოფები და გუშინ მოურჩენელი პაციენტები დღეს ჯანმრთელნი არიან“.**

### რატომ ქირურგია და რატომ მაინცდამაინც გული?

**„ეს იყო ჩემი ჭაბუკობისდროინდელი კრედო. როცა სამედიცინოზე ვაბარებდი, ქირურგიას ალტერნატივა არ ჰქონია. რადგან ქირურგობა გადავწყვიტე, სხვა არჩევანი არ მქონია — ადამიანის ორგანიზმის „ცენტრში“, ანუ გულზე უნდა მემუშავა. ამქვეყნად ერთადერთი როლი მაქვს — კარდიოქირურგისა. ხანდახან ამ საქმიანობას დღე-ღამეში 16 საათი სჭირდება, ყველაფერი დანარჩენი — ჩემი სამეცნიერო მუშაობა, საზოგადოებრივი დატვირთვა — ამ როლიდან გამომდინარეობს...“**

### ერთი სამუშაო დღე

რვის ნახევარზე უკვე სამსახურშია. კარდიოცენტრის წინ გაჩერებული მანქანიდან სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცი გადმოდის. სწორედ ახალგაზრდა, რადგანაც მხოლოდ ასეთ ექიმს (რა თქმა უნდა, ყველას არა) შეუძლია, დღეში ხუთი ოპერაცია ჩაატაროს.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ბოკერიას ასისტენტები კი, მხოლოდ ერთი ოპერაციის შემდეგ, ფეხზე ძლივს დგანან: ფიზიკურად ძნელია, მორალურად — კიდევ უფრო მეტად, როდესაც ხელში, პირდაპირი მნიშვნელობით, ადამიანის გული, მისი სიცოცხლე გიჭირავს. ძნელია, ამ პასუხისმგებლობის ზიდვა, ძნელია, როცა საოპერაციოდან გამოსულს პაციენტის მშობლები, ახლობლები მავედრებელი თვალებით შემოგყურებენ. როგორ უმკლავდება ამას ქირურგი ბოკერია, გამოცანად რჩება. დილაადრიან სამსახურში მოსული გაეხვევა სტერილურ სამოსში, შედის საოპერაციოში, როგორც პატარა სცენაზე ან



რინგზე და თამაშობს... სიკვდილთან. ოლონდ — სიცოცხლის მხარეზე.

ყველაზე რთულ ოპერაციებს აკეთებს, ისეთებს, რომლებზეც სხვა ქირურგები უარს ამბობენ. ხანდახან ერთი ოპერაციის მიმდინარეობისას ერთდროულად სამს აკეთებს: ცვლის გულის სარქველს, აკეთებს შუნტირებას და აღმოფხვრის არითმიას.

საოპერაციოდან გამოსული იხსნის ნიღაბს და რეზინის ხელთათმანს, იხდის ქუდს და ემსგავსება ნამდვილ ექიმ აიბოლიტს, რომელსაც გადარჩენილი პატარები, ლოდინით გატაჯული მშობლები და მასზე უჩუმრად შეყვარებული მედდები უღიმიან. ისიც ღიმილს აგებებს ყველას, რადგან ლეო ბოკერია ბუნებით ოპტიმისტი და უბრალოდ, უშუალო, ღიმილიანი ადამიანია. ამას განსაკუთრებით მაშინ გრძნობ, როცა მის კაბინეტში ბავშვებისთვის განკუთვნილ უამრავ სათამაშოს დაინახავთ...

მართალია, „გულის საქმეების“ ექსტრაკლასის მცოდნეა, მაგრამ საკუთარი გული არასოდეს გამოუკვლევია, ამბობს, რომ მისი ორგანიზმი დაბალანსებულია, ხოლო თუ გამოკვლევას დაიწყებ, „აწყობილ მექანიზმში“ რაღაც დაირღვევა.

### რა ასაკამდე შეიძლება ოპერაციების კეთება

**„ერთი წლის წინ ასეთი კითხვა არავის დაუსვამს. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ მორიგი იუბილე მიახლოვდება. ნათესავები და ახლობლებიც მახსენებენ ამას. მეც დავფიქრდი: მართლაც, ძალიან ბევრი წლის ვარ! აშკარაა, რომ ჩემნაირი სტაჟის ქირურგს დიდი გამოცდილება და ცოდნა გააჩნია, ბევრი რამ შეუძლია. მისი ჯანმრთელობის**



**მდგომარეობა წარმატებული მუშაობის საწინდარია. მან უნდა გაუძლოს ხანგრძლივ დატვირთვას (ჩვენი ოპერაციები ყოველთვის მრავალსაათიანია), ჰქონდეს კარგი მეხსიერება ყოველგვარი ინფორმაციის დასამახსოვრებლად და, რასაკვირველია, საუკეთესო მხედველობა. თუ ექიმი არ სვამს, სიგარეტს არ ეწევა, დიდი ოდენობით ყავას არ სვამს, მაშინ მას ღრმა სიბერემდე შეუძლია ოპერაციების კეთება. გარშემო ჩემზე ბევრად ხანდაზმული ექიმებიც არიან, მაგრამ ოპერაციებს ბრწყინვალედ აკეთებენ“.**

### ქირურგიული და საერთოდ, სამედიცინო განათლების სისტემის შესახებ

**„ამერიკის შეერთებულ შტატებში კარდიოქირურგთა მომზადების ყველაზე კარგი სკოლაა. იქაურ კარდიოქირურგს მხოლოდ 37 წლისას შეუძლია დამოუკიდებლად ოპერაციის გაკეთება — პროფესიას 16 წლის განმავლობაში ეუფლება, ჩვენთან კი, მათი მომზადების შესაფერისი და ღირსეული სისტემა ჯერაც არ არსებობს. რომელიმე ქირურგი თავის ყოფილ სტუდენტს მისცემს უფლებას, 25 წლისამ ოპერირება დაიწყოს და ისიც უკან არ დაიხევს. არავის აღელვებს, რომ ამ ახალგაზრდას არ დაუცავს არც საკანდიდატო და არც სადოქტორო დისერტაცია. სამეცნიერო ნაშრომები მხოლოდ სტატუსის კიდევ ერთ დასტურად როდია აუცილებელი. მთელს მსოფლიოში კარდიოქირურგია პროფესურას ეფუძნება — ცოდნის განახლება ხომ უსწრაფესად მიმდინარეობს. თუ ექიმი ამ პროცესს ფეხს ვერ უწყობს, გულზე არსებულ დეფექტს ისე აღმოფხვრის, როგორც ამას 50 წლის წინ აკეთებდნენ. ჩვენთან არსებობს ორდინატურა და ასპირანტურა. ორდინატურა სპეციალობასთან პირველი ნაცნობობაა. ასპირანტურაში სწავლის დროს, უმთავრესი ამოცანა დისერტაციის დაცვა ჰგონიათ. ჩვენში ჩამოუყალიბებელიაა რეზიდენტურის, ანუ უწყვეტი განათლების ცნება, როცა ექიმი რამდენიმე წლის განმავლობაში შეისწავლის საერთო ქირურგიას, თორაკალურ და კარდიოქირურგიას“.**

### მკაცრი ხელმძღვანელის რეპუტაციის შესახებ

„მკაცრი არა ვარ. ჩვენს ცენტრში საკმაოდ არიან ისეთები, რომელთა მიმართაც პრეტენზია გამაჩნია, მაგრამ სამსახურიდან ვერ ვუშვებ. მეცოდებიან. ერთად გავიზარდეთ, წლებია, ერთად ვმუშაობთ და თითოეულისთვის გათავისუფლება არა მარტო პირადი, არამედ ოჯახური ტრაგედიაც არის. ოჯახი კი წმინდათაწმინდაა. დღე-ღამის განმავლობაში 14-16 საათი სამსახურში ვარ, ნებისმიერ დროს შეიძლება ვინმეს გავუბრაზდე, ზედმეტადაც კი, როცა ჩემს დასმულ შეკითხვაზე ხუთ წუთში გონივრულ პასუხს ვერ მივიღებ, მაგრამ სიბრაზე მალევე გადამივლის ხოლმე. ცენტრის ყველა თანამშრომელი, საცნობარო სამსახურისაც კი, მე მივიღე სამუშაოზე, თითოეულს პირადად მოვუსმინე...“

### ჭორების შესახებ

**„ჭორების საწინააღმდეგო გენიალური რამ მოვიფიქრე. თუ ვინმე ვიღაცაზე ყურში რაღაცას ჩამჩურჩულებს, ამ სიტყვებს კრებაზე, ყველას გასაგონად ვიმეორებ! მაგარი წესია, გაამართლა. მეორედ ვერავინ ბედავს“.**

### მედიცინაში ქრთამის შესახებ

**„მედიკოსს შეიძლება პატივი სცეთ, ასე ვთქვათ, ნებაყოფლობით. ყველა ქვეყანაში ასეა, მაგრამ გამოძალვა... არავითარ შემთხვევაში! ამის გამო ახალგაზრდა თანამშრომელი ქალი, რომელიც ჩემი მშობლიური აფხაზეთიდან არის და სამსახურშიც მე მივიღე, გავათავისუფლე. მეორე შემთხვევა რეანიმაციის ექიმს ეხებოდა“.**

### „გაჯანსაღებული და „უარყოფილი“ ბავშვების შესახებ

ერის ჯანმრთელობის ლიგა, რომელსაც ლეო ბოკერია ხელმძღვანელობს, უკვე ათი წელია, ახორციელებს საქველმოქმედო პროგრამას „შეეხე ბავშვის გულს“. მისი მიმდინარეობისას დამტკიცდა, რომ თანდაყოლილი გულის მანკის ბოლომდე განკურნება შესაძლებელია. ადრე, მშობლები ასეთ ბავშვებზე უარს ამბობდნენ.

**„სწორედ გუშინწინ იყო ასეთი შემთხვევა! მშობლებმა მოიყვანეს ორი დღის დაბადებული ბავშვი: „დააწვინეთ, ოღონდ ოპერაცია არ გაუკეთოთ. ჩვენ უკვე ხელი მოვაწერეთ დოკუმენტს, რომ მასზე უარს ვამბობთ“. რა თქმა უნდა, ტრაგედიაა. 90-იანი წლების დასაწყისში „უარყოფილები“ ბევრნი იყვნენ. ამ აქციის წამოწყებით, შევეცადეთ, ასეთი ბავშვების მშობელთა ყურადღება მიგვეპყრო, რომ დროულად გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, ისინი იმდენივე ხანს იცოცხლებდნენ, რამდენსაც მისი თანატოლები“.**

### საზოგადო მოღვაწე ჯანსაღი ერის შესახებ:

„35 წლის წინ გერმანელებმა მიზნად ერის გაჯანსაღება დაისახეს და საამისოდ ყველანაირი პირობა შექმნეს: დაწესებულებებში მოაწყვეს სარბენი ბილიკები, პარკებში, სარბენი ბილიკების გარდა, ააშენეს აუზები, შექმნეს ხელოვნური ტბები და ა.შ. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი: ხალხი ილვიძებს ადრიანად, არაუგვიანეს 7 საათისა და ყველანი — მსუქნები, გამხდრები, ახალგაზრდები, მოხუცები — ყველა ვარჯიშობს. ასე იწყება ყოველი დღე. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ გერმანელთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

აბა, შეხედეთ ცენტრალური ქალაქების ცენტრალურ ქუჩებს: ჩახერგილია მანქანებით, საშინელი კვამლი და სმოგია... ასეთ ადგილებში სიარული თუ სირბილი არცთუ უხიფათოა. ველოსიპედის ბილიკებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ცალკე თემაა საკვები — არ შეიძლება ყველაფრის ჭამა, რაც ხელთ მოგვხვდება.

16 gv.

17 gv.

# ლეო ბოკერია — გულის გულითადი ექიმი

**ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტის და რელაქსაციის შესახებ:**

„ერს ერთბაშად ვერ გააჯანსაღებ. შეუძლებელია, აბსოლუტურად გამოჯანმრთელდეს ის ადამიანი, ვინც 40 წელიწადი სიგარეტს ეწეოდა, მისი სიცოცხლის გახანგრძლივება კი შესაძლებელია. შეგვიძლია, გააზრებული ცხოვრება ვასწავლოთ თაობას, რომელსაც ჯერ არ შეუძენია მავნე ჩვევები. არაჯანსაღი ცხოვრების წესი ნაკლებად განვითარებული ადამიანების ხვედრია. იცით, მოსკოვში ყველაზე ხანდაზმულ ასაკს რომელი რაიონის მცხოვრებნი აღწევენ? ცენტრალური რაიონის... აქ ყველაზე მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა, სტრესული სიტუაციებიც უფრო ხშირია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთ პარადოქსს განაპირობებს შემდეგი: ცენტრალურ ოლქში უმაღლესი განათლებით ყველაზე მეტი მოსახლეა, რომლებმაც იციან საკუთარი თავის პატივისცემა — იცავენ რაიმე რეჟიმს, ვარჯიშობენ, არ სვამენ, ნარკოტიკს არ ეტანებიან...

რაც შეეხება სპორტს, დიდი დატვირთვების მომხრე არ ვარ, სპორტული თამაშებისა — რატომაც არა. ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი — თითოეული ასაკის შესაძლებლობის შესაბამისად. პირადად მე სტატიკურ ტანვარჯიშს ვემხრობი. ეს რა არის? შეეცადეთ, რამდენიმე წუთის განმავლობაში ხელი ასწიოთ ან ცალ ფეხზე დადგეთ. მნიშვნელოვანი დატვირთვაა, შედეგი კი — როგორც სირბილის დროს. ხანდახან, ოპერაციისას, რომელიც რამდენიმე საათს გრძელდება, ასე ვიქცევი.

დასვენებისა და მოდუნების უამრავი საშუალება არსებობს, რასაკვირველია, იმის გარდა, რაც ჯანმრთელობას ვნებს.

მე ვიცნობდი ერთ ცნობილ მათემატიკოსს, რომელმაც 93 წელი იცოცხლა. იგი პრაქტიკულად სიცოცხლის ბოლომდე ცოლთან ერთად ცეკვავდა. მათ ეს უდიდეს სიამოვნებას გვრიდათ. ვფიქრობ, ამ გატაცებამ მის ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

თუკი ადამიანს თამბაქოს წევისა და სმის გარდა სხვა გასართობი არ გააჩნია, იგი არაფერს წარმოადგენს. მავნე თვისებებისგან თავის დაღწევის ჩემეული რეცეპტი ასეთია — შეიძინეთ სასარგებლო თვისებები!

არსებობენ ლამაზი ქალები, მამაკაცები, არსებობს კლასიკური ლიტერატურა, სპორტი, მუსიკა... — სამყარო სავსეა ფერებით, შინაარსით და ამ ყველაფერს განსხვავებულად მაშინ აღიქვამ, როცა დამღუპველი ზემოქმედებების ტყვე არ ხარ. ეს ფერები და შინაარსი კი საუკეთესო სტიმულია საიმისოდ, რომ სწორად ცხოვრება დაიწყოთ.

ეკოლოგიასაც ვერსად გავექცევით".



**ყოფილი მწეველი მოწევის შესახებ**

„ამ მავნე ჩვევის 20-წლიანი გამოცდილებაის მქონემ მოწევას თავი ერთბაშად დავანებე. ამ ნაბიჯის გადადგმა შემთხვევამ მაიძულა. ახალგაზრდა პროფესორი ვიყავი და როგორც ამბობენ, ორთქლმავალივით ვეწეოდი. ერთხელაც, მორიგი პაციენტი საკონსულტაციოდ მოვიდა. შეხვედრის დასასრულს მადლობა გადამიხადა და მეუბნება:

„ექიმო, თქვენთან რომ მოვდიოდი, ტუალეტში შევედი, კბილი გავიხეხე, რომ თამბაქოს სუნი გამექრო... თქვენთან კი... აქაურობა კვამლით არის გაჟღენთილი!"

„მე მაგალითად არ გამოგადგები!", — ვუთხარი დამშვიდობებისას.

ეს შემთხვევა ისე შემოიჭრა ჩემს ცნობიერებაში, რომ სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტე მოწევისთვის თავის დანებება. ახლა კი ჩემს ექიმებს ვეუბნები ხოლმე: როგორ შეგიძლიათ სიგარეტის მოწევა, როცა შესანიშნავად იცით, რომ მისი „დამსახურებაა" ინფარქტი, ჰიპერტონია, ფილტვების კიბო და სხვა დაავადებები?!"

**ახალგაზრდობის საიდუმლო, ანუ „ბოკერიას რეცეპტი"**

„ჩემი რეცეპტი ყველას არ გამოადგება — თითოეულმა ადამიანმა თვითონ უნდა გამოიმუშაოს ცხოვრებაში მოქცევის საკუთარი სტერეოტიპი. ჩემი როგორია? უპირველეს ყოვლისა, ერთსა და იმავე დროს ვდგები — 6 საათსა და 40 წუთზე. ვიძინებ ღამის 12-ის მერე. ჩემი აზრით, 25 წელს გადაცილებულებს 7 საათი ძილიც ჰყოფნით, და არავითარ შემთხვევაში — მასზე ნაკლები. კატეგორიულად გამორიცხულია დასაძინებელი აბების მიღება. უნდა მიეჩვიო, ისე მოქცე, რომ ღმერთს მადლობას სწირავდე, მადლიერი იყო საკუთარი მშობლების, ახლობლების, იმ ადამიანების, ვისთანაც ერთად ცხოვრობ, მოწინააღმდეგეებისაც, რომ დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, არსებობს განსხვავებული განწყობებისა და თუნდაც პრობლემების მომტანი ხვალინდელი დღის იმედი.

წლების განმავლობაში დილიდანვე დავრბოდი, შემდეგ მივხვდი, რომ 7-8 საათის აბსოლუტური სიმშვიდის შემდეგ, ორგანიზმი ვერ უძლებს ასეთ რიტმს და ყოველდღიურ სტრესს. თანაც, ჯერ დარბიხარ, მერე შხაპს ივლებ... იღლები. ჩემი აზრით, დილის ვარჯიშები არ უნდა იყოს ინტენსიური. ახლა, დილ-დილაობით, დიდ დატვირთვას ვერიდები. მიყვარს ათი წუთით თბილი და არა კონტრასტული შხაპის ქვეშ დგომა — ამ ათ წუთში ფხიზლდები, იხსენებ, რა უნდა გააკეთო დღის განმავლობაში, ვის შეხვდე, რა არის მთავარი და რა — მეორეხარისხოვანი...

**„ბოკერიას დიეტა"**

„განსაკუთრებული არაფერი გამომიგონებია. საკვებით გატაცება საზიანოა. ყოველთვის ერთსა და იმავეს ვიმეორებ — მიირთვით ის, რაც არ მოგწონთ, კვირაში ერთხელ კი გალაღდით — ჭამეთ, რაც ყველაზე მეტად გიყვართ. გულისთვის სასარგებლო, რასაკვირველია, ვიტამინების შემცველი პროდუქტებია: ხილი, ბოსტნეული.

უკვე ერთი წელია შოკოლადს აღარ გეახლებით, არადა, უზომოდ ბევრს ვჭამდი: საოპერაციოდან კაბინეტში დაბრუნებული მწარე შოკოლადის ერთ ფილას ვჭამდი და კიდევ 5-6 საათი ვმუშაობდი. ერთგვარი დოპინგი იყო. მივხვდი, რომ ეს კარგ დღეს არ დამაყრიდა და ამერიკელ ასტრონავტთა დიეტის დაცვა დავიწყე — მათ მენიუში არ შედის შაქარი, პური და მარილი. წონაშიც დავიკელი და ადრინდელთან შედარებით უფრო კომფორტულადაც ვგრძნობ თავს. ვფიქრობ, ასეთი კვება ნამდვილად წამადგება.

ძალიან მიყვარს რძის პროდუქტი, უკვე 25 წელია, ყოველ დილით შინ დამზადებულ ხაჭოს გეახლებით. მეორე საუზმე და სადილი არ მაქვს — მთელი დღე საოპერაციოში ვარ. იმის მიხედვით, იქიდან როდის გამოვდივარ, შემიძლია მივირთვა ჩაი ან ხილი, სამაგიეროდ, საღამოს 9 საათზე სრულფასოვნად უნდა ვივახშმო — ამის გარეშე ვერ დავიძინებ.

საერთოდ, მოუსმინეთ საკუთარ ორგანიზმს — იგი ყოველთვის მართალია, გვკარნახობს ცხოვრებისეულ სტერეოტიპებს, რომელთა დაცვამაც ჯანმრთელობის შენარჩუნებაში უნდა შეგვიწყოს ხელი. და კიდევ: ენდეთ ადამიანებთან ურთიერთობის ჩემს მრავალწლიან გამოცდილებას — ყველაზე ხშირად ბოროტი და შურიანი ადამიანები ავადმყოფობენ. ყველაზე უკეთ ჯანსაღდებიან კეთილმოსურნეები, რომლებსაც მართალია, გულთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ, მაგრამ გულითადები არიან.

**ღვინის შესახებ**

„ჭაბუკობის პერიოდიდან თეთრ ღვინოს მივეჩვიე. ჩვენში იგი სუფრის ღვინოდ მიაჩნიათ, რადგან მსუბუქია და ორგანიზმიდანაც ადვილად გამოდის; თუმცა ჩემი ცხოვრების მანძილზე „შამპანისტიც" ვიყავი და „კონიაკისტიც". წითელ ღვინოში ნამდვილად არის ორგანიზმისთვის სასარგებლო ნივთიერება, რომელიც ხელს ნივთიერებათა ცვლას უწყობს. თუ გსურთ, ღვინო სწრაფად გამოიდევნოს ორგანიზმიდან, თეთრი დალიეთ, თუ გურმანთა რიცხვს განეკუთვნებით, უკეთესია, წითელს შეექცეთ".

**ქართული თემა**

თავს ნამდვილ ქართველად მიიჩნევს. ქართულ სიმღერებსაც ღიღინებს, თანამემამულე თანამშრომლებს ქართულადაც ელაპარაკება. წუხს, რომ ამას ქალიშვილებთან ვერ ახერხებს, რადგან მათ არ იციან ქართული.

**— ბოროტი ენები ამბობენ, რომ თქვენს კლინიკაში უამრავ ქართველ ექიმს მოუყარეთ თავი. ეს შემთხვევით გამოვიდა თუ ასე იყო ჩაფიქრებული?**

— მთლად ასე არ არის. ჩვენი ქართველების აბსოლუტური უმრავლესობა „უხსოვარი" დროიდან მუშაობს აქ, ანუ იმ დროიდან, როცა ცენტრს ჩემი მასწავლებელი ვლადიმირ ბურაკოვსკი ხელმძღვანელობდა. ვინ მოვიყვანე? ერთი ჩემი თანაკლასელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ჩემთან საოპერაციოდ ჩამოვიდა აფხაზეთიდან, რომელმაც მალევე გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ასე გახდა ლტოლვილი — გულზე ოპერაციაგადატანილი ვეღარ დაბრუნდა სახლში და ჩვენთან ცენტრში საწყობის გამგედ ავიყვანე. ამის გამო ვინმემ უნდა მისაყვედუროს? საოპერაციო მაგიდის გარშემო სხვადასხვა ეროვნების ადამიანები იკრიბებიან — უკრაინელები, ებრაელები, კავკასიელები. ცენტრი მრავალეროვნულია, პატარა საბჭოთა კავშირია. ეს გულს მითბობს — ყველანი ერთ ქვეყანაში დაიბადნენ, რუსეთმა კი მათ ადამიანურად ცხოვრების შესაძლებლობა მისცა.

**— ბავშვობის რა მოგონება შემოგრჩათ სურათებივით?**

— პირველი, რაც მახსოვს, მამაჩემის გასვენებაა. მაშინ სამი წლისა ვიყავი, არაფერი მესმოდა და ვცელქობდი. ყველა მეუბნებოდა: „წესიერად მოიქეცი, მამა მოგიკვდა".

მეორე სურათად გამარჯვების დღე წარმომიდგება. მზიანი დღე იყო, მოკლე შარვალი ჩამაცვეს. ეს ამბავი ოჩამჩირეში ხდებოდა. მოედანზე დამონტაჟებულ რადიოში მუსიკა ისმოდა და ხალხი აქეთკენ როგორც დღესასწაულზე მოედინებოდა. მახსოვს 47-48 წლებიც — საქართველოში შიმშილობის პერიოდი.

**— აქტიური ბავშვი იყავით?**

— მთელი დღე ქუჩაში ფრენბურთს, კალათბურთს, ფეხბურთს ვთამაშობდი. ფეხბურთში პირველი თანრიგი მქონდა და ქალაქ ოჩამჩირის ნაკრებში ვთამაშობდი. გუნდში ძალიან მაგარი ბიჭები გვყავდა, რომლებიც შემდეგ უმაღლეს ლიგაში მოხვდნენ. იმავდროულად, კარგად ვსწავლობდი — სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე.

**იუბილეს შესახებ**

მახსოვს, ჩემი დაბადების დღე ახლოვდებოდა — 40-ისა უნდა გავმხდარიყავი, ჩემმა მასწავლებელმა ვლადიმერ ბურაკოვსკიმ შემომთავაზა: „დაბადების დღე უნდა აღვნიშნოთ!" მაგრამ ასეთი თარიღის აღნიშვნა ხომ არ შეიძლება და ეს ვუთხარი კიდეც მას. ჩემს ცრუმორწმუნეობაზე გაეცინა: „შენთვის შეიძლება, მე გაძლევ ამის უფლებას". მას შემდეგ, ამ დღეს ინსტიტუტში აღვნიშნავთ. რასაკვირველია, ოპერაციებსაც ვგეგმავთ, სამეცნიერო საბჭოს სხდომასაც, სადაც შესაზლოა, მოხსენებით გამოსვლამაც მომიწიოს. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მილოცვები, საღამოს კი — მეგობრები და ნათესავები ვახშამზე ვიკრიბებით".

**ოჯახის შესახებ**

გარშემო ქალები ახვევია: მეუღლე, ორი ქალიშვილი, სიდედრი, ორი და, დისშვილი... 8 მარტი მძიმე დღეაო, ამბობს, მაგრამ მაინც ახერხებს, თითოეულს საჩუქარი პირადად უყიდოს — ამ საქმეს სხვას ვერავის ანდობს.

**— ორივე ქალიშვილი კარდიოქირურგია. უმცროსმა სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა. არ აპროტესტებენ, რომ მათ დამსახურებას ჭორის მოყვარულები თქვენ მოგაწერენ?**

— წუხან, ძალიან წუხან! მაგრამ მე რა შუაში ვარ? თუ რამე მედიცინას არ ეხება, მეტისმეტად მოყვარული მამა ვარ. ინსტიტუტი ორივე ქალიშვილმა წითელ დიპლომზე დაამთავრა. ლექციებზე მე ვკარნახობდი რამეს თუ დისერტაციებს მათ ნაცვლად ვწერდი? უფროსი სამეცნიერო ინსტიტუტში არ დარჩა და ჩვეულებრივ კლინიკაში ნაადრევად დაბადებულ ბავშვებთან სამუშაოდ წავიდა.

**— თქვენს გულს რომ რამე დაემართოს, ვის ანდობდით?**

— მხოლოდ ქალიშვილებს.

**— მეუღლე სად გაიცანით?**

— მეუღლე რუსია, ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით, ერთ ჯგუფში. ანატომიაში „ფრიადის" მიღება შეუძლებელი იყო. ჰოდა, მეც დავდივარ და ყველას ვეკითხები, რა ნიშნები მიიღეს. „ვერ ჩავაბარე!", „სამიანი!" — ძირითადად ასე მპასუხობენ და აი, პატარა გოგონა ამბობს: „მე კი ხუთიანზე ჩავაბარე!" მაშინვე დამამახსოვრდა, რადგან თვითონ ოთხიანი გაჭირვებით მივიღე.

სწავლის დასასრულს დავქორწინდით — ფრიადოსანი სერიოზული გოგონას გული მაშინვე ვერ მოვინადირე.



**— როგორც ექიმს და როგორც მოქალაქეს, რისი გეშინიათ უფრო მეტად — ატიპური პნევმონიის თუ ომის?**

— რა თქმა უნდა, ომის! ცუდია, როცა ვიღაც სხვის სახლში მიდის და საკუთარ წესრიგს აწესებს. სხვათა შორის, თავის დროზე ერაყში ომის წინააღმდეგ გამოვედი — როგორც კი ომი დაიწყო, ხელი მოვაწერე იტალიელი ექიმების პეტიციას. უზომოდ ვიტანჯები, რომ უკვე ათწლეულზე მეტია, საკუთარი მშობლების საფლავებზე ვერ მივდივარ. ისინი აფხაზეთში არიან დაკრძალული. ასე რომ, ატიპური პნევმონიის ვაქცინას შექმნიან, ომის საწინააღმდეგოს კი, სამწუხაროდ, ვერა.

**პუბლიკაცია მოამზადა ელზა ნაბახტეველმა**

# ქართული კალათბურთის მესაფლავენი

ქართული სპორტი ორ ათეულ წელზე მეტი რთულ ვითარებაში რომ არის, ალბათ, ყველას კარგად მოეხსენება. თუმცა გამოსავლის ძიებით, როგორც ჩანს, თავს ნაკლებად თუ იწუხებს ვინმე. შარშან საპარლამენტო არჩევნების წინ დღევანდელმა სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა და მისმა თანაგუნდელებმა შეიმუშავეს საქართველოში სპორტის განვითარების კონცეფცია. სპორტის ქომაგებს იმედი ჩაესახათ, რომ ჩავარდნილი წლების შემდეგ ეშველებოდა და-



ვულრმავდებით მათ საქმიანობას.

ქუთაისში ევროთასების გათამაშების პირველივე შეხვედრაში ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ერთგვარი „ჯანყი“ მოუწყეს საკუთარ გუნდს, რომელიც დამარცხდა საშინაო შეხვედრაში. გასაგებია ქუთათურთა გულისწყრომა, მათ ხომ საკუთარი საქომაგო გუნდის წარმატება უნდათ. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის დასაწყისშივე განაცხადეს, რომ ძირითად აქცენტს ახალგაზრდა მოთამაშეებზე აკეთებდნენ. მართლაც მისასალმებელი ფაქტია, რადგან მათ არანაირი უცხოელი სპორტსმენი გუნდში არ მიუწვევიათ. რომ არა ქართული სულსწრაფობა, მაშინ მართალია კლუბის ხელმძღვანელობა. თუ არ გვეყოლება ჩვენშივე აღზრდილი სპორტსმენები, მაღალ მიზნებზე ფიქრიც ზედმეტია, ამის დასადასტურებლად გავიხსენოთ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი, როდესაც 80-იან წლებში ძირითადად მოწვეული მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. თუმცა ქართული კალათბურთის ისტორიაში ვარსკვლავები და მაღალი კლასის მოთამაშეები მრავლად გვყავდა.

ლებიც თითქმის მოგებული თამაშები წააგეს ჩვენებმა. არა, იმ შეხვედრებში ვერც მონდომებას, გამარჯვებისკენ სწრაფვას ვერ დავუწუნებთ ქართველებს, მაგრამ როდესაც მთავარი მწვრთნელი თამაშისას იღებს გაუმართლებელ წუთშესვენებას, რომელიც მოწინააღმდეგის წისქვილზე ასხამს წყალს, აკეთებს უაზრო შეცვლას, თამაშიდან გაჰყავს საუკეთესო და ასე შემდეგ, რა ვიფიქროთ სპორტის მოყვარულებმა? ერთი — იგი შეგნებულად ცდილობს წააგოს მოგებული თამაში.

წლევანდელ ჩემპიონატზე ხომ ყოველგვარი რეკორდები ჩამოხსნა მისტერ კოკოშკოვმა! ჯერ შემადგენლობა რად ღირს, ოთხი-ხუთი მოთამაშე ზედმეტი ტვირთია, იქამდეც მივიდა მეორე ამერიკელი უნდოდა ჩამოეყვანა, ხოლო საქართველოს გუნდი მხოლოდ ერთი ცენტრით არის წარმოდგენილი ახლანდელი კონტინენტის ჩემპიონატზე! მოგებულ თამაშზეც გულშემატკივრებს ბევრი შეკითხვა გვაქვს, მაგრამ მთავარი კითხვები ფედერაციის მესვეურებისადმი.

მიუხედავად ნაცნობ-მეგობრობისა, ბატონო ბესიკ, განა დაილია საქართველოში მწვრთნელი, რომელსაც ეცოდინება ელემენტარულად თამაშის პროცესის ნორმალურად წაყვანა? თა-



რგს, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას უყვარს და ამაყობს წარმატებებით, მაგრამ...

თბილისში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობაში სასაყვედურო ნაკლებად გვაქვს, განსაკუთრებით საორგანიზაციო თვალსაზრისით, მაგრამ ქართული სპორტი ჭიდაობით რომ არ იწყება და მთავრდება, ყველას კარგად მოეხსენება. ჩვენში არის მთელი რიგი სახეობები, რომლებიც, შეიძლება თამამად ითქვას, ქართველებმა ასწავლეს ყოფილ საბჭოეთის ქვეყნებს. ეს კარგად ახსოვთ სპორტის „სტაჟიან“ ქომაგებს. ხელბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, ძიუდო... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა სპორტული ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ მინი კალათბურთი ბალტიისპირელების დანერგილია, მაგრამ უფროსმა თაობამ ძალიან კარგად უწყის, რომ ბავშვთა კალათბურთის ფუძემდებელი ლეგენდარული ოთარ ქორქია გახლავთ. თუმცა, ამაზე მომავალში ვისაუბრებთ.

სპორტის განვითარების კონცეფცია ვახსენეთ, რომელსაც აგერ უკვე თითქმის 9 თვეა ელოდება ჩვენი საზოგადოება. შედეგად რას მივიღებთ? როგორ ან რით ავანაზღაურებთ დაკარგულ დროს, ძნელი გამოსაცნობი არ გახლავთ. ყოველი დაკარგული დღე წლებს უტოლდება, ამის დადასტურება ნებისმიერ ყოფილ სპორტსმენს ან სპეციალისტს შეუძლია. თუმცა იკარგება მთავარი, რითაც გამოირჩეოდა ქართული სპორტი — ტექნიკით, ხელწერით, ბრძოლისუნარიანობით... ყოველივე ამას დამწყები სპორტსმენები სწავლობდნენ სკოლაში, სექციაში, იმ დიდ სარბიელზე, სადაც ესწრებოდნენ შეჯიბრებას. ახლა? სამწუხაროდ, ბრმად ვბაძავთ უცხოელებს, თუნდაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, მაგრამ ნაკლებად

ახლა ზედიზედ მეორედ ვმონაწილეობთ ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ მხოლოდ ქულების „დამრიგებელთა“ რიცხვში ვითვლებით. რომ ავიღოთ და პოტენციურად შევადაროთ ჩვენი ნაკრები რომელიმე უცხოურ გუნდს, შეიძლება დავინახოთ, რომ ქართველებს საუკეთესო გუნდი გვყავს. შეიძლება მართალიც ვიყოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი შეხედვით.

მიზეზებს ბევრი ჩვენგანი სხვადასხვა სფეროში დაუწყებს ძებნას. თუმცა ცნობილი გამონათქვამია: „თევზი თავიდან ყარსო“. დღეს ძნელი გამოსაცნობია, სად არის თავი და სად ბოლო, მაგრამ ფაქტი ერთია — საქართველოს კალათბურთის ფედერაციის თავკაცებმა არჩევანი უცხოელებზე შეაჩერეს. შედეგი? — სამწუხაროდ, ნული. წინა ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობა კოკოშკოვს მიაწერეს. თუმცა ახლა დაგვიანებულიც შეიძლება იყოს ჩვენი მოსაზრება, მაგრამ ბევრი ყოფილი მოთამაშე თუ სპეციალისტი გვეთანხმება — კოკოშკოვი ქართულ კალათბურთში ზედმეტი ტვირთია!

მაგალითები? — რამდენიც გნებავთ! გავიხსენოთ მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული მატჩები, რომ-

ვადვე გიპასუხებთ — არა! თუ გნებავთ, პირადად და საჯაროდ ხუთეულს მაინც დაგისახელებთ — რა გახდა მიზეზი გადამთიელი კაცის ჩამოყვანის? ფულის გაკეთების თუ გათეთრების მიზეზი? განა ლევან მოსეშვილმა სწორედ არ აღნიშნა ამ რამდენიმე წლის წინ მისი ხელფასის 10 პროცენტი მაინც გვქონოდაო? კი, მას თავისი შეცდომებიც ეყოფა, მაგრამ თქვენ ხომ საერთოდ დაასამარეთ სპორტის ეს სათაყვანებელი სახეობა.

თუ მოთამაშეთა ასეთი დეფიციტი გვქონდა, ეგებ ქართულ კლუბებში მოთამაშე კალათბურთელები წაგვეყვანა ევროპის ჩემპიონატზე, გამოცდილებას მიიღებდნენ, გულიანადაც ითამაშებდნენ. თუმცა თქვენ, როგორც პროფესიონალ ბიუროკრატებს პასუხი მზად გაქვთ — მთავარი მწვრთნელია, იგი წყვეტს, ვინ ათამაშოს გუნდშიო. მაგრამ არა, ბატონებო, მთავარი დამნაშავეები ქართული კალათბურთის წინაშე თქვენ ბრძანდებით. საერთოდ კი ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ზურაბ საკანდელიძის, მიხეილ ქორქიას, ნიკოლოზ დერიუგინის თამაშის შემსწრეებს უფრო მეტი გვესმის კალათბურთში, ვიდრე თქვენს კოკოშკოვს.

**გია ბურდული**
551 71 27 07



„საერთო გაზეთი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბელა ვაჩეიშვილის მეუღლის

**თამაზ ფირცხალავას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— *ძვირფასო რედაქცია*

საკითხის სირთულის გამო, როგორც მე მეჩვენება, თქვენი კვალიფიციური იურისტისადმი მომართული ამ შეკითხვის რამდენიმე წინადადებაში ჩატევა ვერ მოვახერხე, რადგან მინდა იურისტი დეტალურად გავარკვიო საქმეში და პასუხიც ამომწურავი მივიღო. შემოკლებას თავადაც მოახერხებს.

1998 წელს გარდაიცვალა დედაჩემი. დავრჩით ორი ცოლ-შვილიანი ვაჟიშვილი. მე თბილისში ვცხოვრობდი და ვმსახურობდი, ჩემი უფროსი ძმა — სოფელში. სოფლად არსებული უძრავ-მოძრავი ქონება ირიცხებოდა მხოლოდ დედაჩემის სახელზე.

70-იანი წლების დამდეგს ადგილობრივ საბჭოში გაფორმდა გაყრილობა დედაჩემსა და ჩემი ძმის ოჯახს შორის. გაიყო შუაზე სახლიც, საკარმიდამოც და ვენახიც, მაგრამ, იმის გამო, რომ ძმის ოჯახი თავს არიდებდა გადასახადების გადახდას, ქონება ოფიციალურად დედაჩემის სახელზე დარჩა რიცხული.

მალე ჩემი ძმა ოჯახით სხვა უბანში გადასახლდა, ბინაზე კი დარჩა მისი უფროსი ვაჟი, რომელიც წლების მანძილზე შეურაცხყოფდა ბებიას (ხელითაც კი ეხებოდა!). განაწყენებულმა და აღშფოთებულმა დედაჩემმა 1986 წელს დაწერა ანდერძი, რომლის თანახმად, მისი გარდაცვალების შემდეგ მის სახელზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონება გახდებოდა ჩემი კუთვნილება (თუმცა ეს დოკუმენტი როგორღაც გაიბნა-დაიკარგა და გასულ წელს ნოტარიუსთა პალატიდან აღვადგინე).

დედის გარდაცვალების შემდეგ სამუდამოდ დავმკვიდრდი სოფელში. 2001 წელს რეესტრით გადმოვიფორმე სახლისა და საკარმიდამოს ნახევარი, ნახევარი კი საჯარო რეესტრში დღესაც დედაჩემის სახელზე ირიცხება.

ჩემმა სისტამატიურად მოჩხუბარმა და მაგინებელმა ლოთმა ძმისწულმა საკარმიდამოც ნახევარი (დაახლ. 0,03 ჰა) მიასყიდა მეზობელს — ჩემს მოსისხლე მტერს. თუმცა იმაზე მეტ საფასურს მე ვთავაზობდი. მას შემდეგ ეს რამდენიმე წელია კანონდარღვევით შესყიდული ნაკვეთი იმ მეზობლის ფაქტობრივ მფლობელობაშია, თუმცა საჯარო რეესტრში, ცხადია, დედაჩემის სახელზე ირიცხება.

მაინტერესებს, მაქვს თუ არა უფლება, დედაჩემის ბოლო ნების თანახმად, შექმნილი ანდერძით, რომელიც დღემდე არ ყოფილა გამოყენებული, ნოტარიული წესით ჩემს სახელზე გადავიფორმო, როგორც სახლის მეორე ნახევარი და დარჩენილი საკარმიდამო, ისე მეზობლის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული კანონდარღვევით მითვისებული ნაკვეთი, მით უფრო, რომ ჩემი კეთილი უფროსი ძმა კარგა ხნის გარდაცვლილია, ხოლო ძმისწული მასავით ავ და ბოროტ დედასთან ცხოვრობს, ცოლშვილთან გაცილებული.

პ.შ. ჩემად გახდომის შემთხვევაში, ჩემთვის მხოლოდ ჩემი მტერ-მოყვარე მეზობლის ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი ნაკვეთის დატოვებას ვაპირებ, სახლსა და დანარჩენ საკარმიდამოს კი ძმისწულის ცოლ-შვილს გადავუფორმებ, რომლებიც ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი ხომ საჯარო რეესტრში მიცვალებულის სახელზე დარჩება გაფორმებული, ალბათ, სამუდამოდ?

წინასწარ ვიხდი მადლობას ამომწურავი პასუხისთვის.

— გულდასმით გავეცანი თქვენს წერილს. სამწუხაროდ, სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით. როგორც წერილიდან ჩანს, დედათქვენი გარდაიცვალა 1998 წელს. კანონის მიხედვით, სამკვიდროს მიღება უნდა მომხდარიყო 6 თვიან ვადაში, სანოტარო წესით, თუ რასაკვირველია, იმ პერიოდისათვის არ იქნებოდა დავა სამკვიდროს გაყოფის საკითხთან დაკავშირებით მემკვიდრეებს შორის. თქვენ სამკვიდრო ამ 6-თვიან ვადაში არ მიგიღიათ არც კანონისმიერი და არც ანდერძისმიერი მემკვიდრეობით.

რაც შეეხება ანდერძს, აქაც ვერ დაგამშვიდებთ, რადგან მამკვიდრებლის ნება - სამკვიდრო მისი გარდაცვალების შემდეგ გამხდარიყო თქვენი, არ აღსრულდა კანონით დადგენილ ვადებში. თუ სამკვიდროს მიღება არ ხდება დადგენილ 6-თვიან ვადაში და თანაც მემკვიდრეებს შორის არსებობს დავა სამკვიდროს გაყოფის საკითხთან დაკავშირებით, მხარეებმა უნდა მიმართონ სასამართლოს. მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოში მიმართვის ვადაც ამოწურულია. დედათქვენის გარდაცვალებიდან გასულია 15 წელი. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივად თქვენი მოთხოვნა ხანდაზმულია და, სავარაუდოდ, სასამართლო ამ მოტივით უარს გეტყვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. თავადაც მიხვდებით, ყველა ვადა ამოწურული გახლავთ.

როგორც წერილიდან ჩანს, თქვენმა ძმისშვილმა ქონების ნახევარი გაასხვისა მეზობელზე. თქვენ სარგებლობთ, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, უპირატესი შესყიდვის უფლებით, მაგ-



რამ, ვშიშობ, აქაც ხანდაზმულობასთან გვაქვს საქმე. თქვენ არ უთითებთ თარიღს, როდის მოხდა ამ ქონების გასხვისება მეზობელზე. ამიტომ ზუსტ პასუხს ვერ მოგახსენებთ. თუ 10 წელზე მეტი გასულია, დავას, სავარაუდოდ, აქაც წააგებთ.

და კიდევ: თქვენ თქვენი წილი, როგორც წერილიდან ჩანს, უკვე გაფორმებული და დარეგისტრირებული გაქვთ საჯარო რეესტრში თქვენს სახელზე. პრაქტიკულად თქვენ პრეტენზიას აცხადებთ გარდაცვლილი ძმის წილზე / 1986 წელს დაწერილი ანდერძი თქვენს შემთხვევაში ძალადაკარგულია და საქმე ახლა კანონისმიერ მემკვიდრეობას ეხება/. თქვენი ძმა იყო პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე და ქონების ნახევარი მას ეკუთვნოდა. ბუნებრივია, ძმის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება მის ოჯახს დარჩებოდა. რა ფორმით, რა ოდენობით განაწილდა ან არ განაწილდა ეს წილი ძმის ოჯახის წევრებს შორის, ან ვის სახელზე ირიცხება და ა. შ., სამართლებრივად თქვენ არ გეხებათ, რის გამოც, სარჩელით სასამართლოში მიმართვის შემთხვევაში, სასამართლო თქვენ არ ჩაგთვლით სათანადო მოსარჩელედ. მარტივად რომ ვთქვათ, თქვენ არ ხართ ის, ვინც ამ საკითხზე უნდა იდავოს.



# „კიბო არის დიაგნოზი და არა განაჩენი!“

*გვესაუბრება საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გენერალური დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი* **რეზო გაგუა**

**— ბატონო რეზო, სიმსივნური დაავადება — კიბო, კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაავადებად, რომელთანაც ბრძოლა, უმეტესწილად, ავადმყოფის გარდაცვალებით სრულდება. რა დონეზეა დღეს საქართველოში კიბოს მკურნალობა? დიდი ხანია აქეთ აღარ ვყოფილვარ. კლინიკის შემოსასვლელში, მთავარ ჭიშკართან დიდი აბრაა: „კიბო არის დიაგნოზი და არა განაჩენი!“ მართალაც ასეა?**

— ჩემი ორმოცწლიანი პრაქტიკის საფუძველზე, შთაბეჭდილება მრჩება, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რაკი დაისვა კიბოს დიაგნოზი, გამოსავალი ფატალურად უნდა დამთავრდეს.

არადა, ასე არ არის!

დღეს დაავადების სიხშირისა და სიკვდილობის მიხედვით პირველ ადგილზე გულ-სისხლძარღვთა დაავადებებია — ინფარქტი, ჰიპერტონული დაავადება და ა.შ.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვალების უფრო ხშირი შემთხვევები ფიქსირდება, ვიდრე, მაგალითად, კიბოსგან. მაგრამ კიბო მაინც რჩება ყველაზე „საშიშ“ დაავადებად. კიბოს დიაგნოზს ხშირად მედიკოსები უმალავენ პაციენტებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ კიბო განკურნებადი დაავადებაა და მკურნალობის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული იმაზე, რომელ სტადიაში არის გამოვლენილი დაავადება.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ყურადღება უნდა მიექცეს დაავადების ადრეულ დიაგნოსტიკას. ცხადია, უმჯობესია, ადამიანი პროფილაქტიკურ გამოკვლევებს იტარებდეს, მაგრამ რადგან ეს გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ყველა ვერ ახერხებს თუნდაც წელიწადში ერთხელ ჩაიტაროს სრული და კომპლექსური გამოკვლევა. ამ საქმეში სახელმწიფო და შესაბამისი სტრუქტურები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი.**

— დიახ, უნდა არსებობდეს სპეციალური სკრინინგ-პროგრამები, ცენტრები, სადაც მოხდება მოსახლეობის უფასო გამოკვლევები. ასეთი ცენტრები არის საქართველოში. ამ ცენტრებში ტარდება ძუძუს, საშვილოსნოს ყელისა და კოლორექტული სიმსივნეების უფასო პროფილაქტიკური გამოკვლევები. ეს ის დაავადებებია, რომელთა პრევენცია-თავიდან აცილება შესაძლებელია, თუმცა ყველა სიმსივნურ დაავადებას სკრინინგი, რასაკვირველია, ვერ მოიცავს.

ერთადერთი და მთავარი პირობა დაავადებების თავიდან აცილებისა, არის ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა. თითქოს ყველამ ყველაფერი ვიცით — უარი უნდა ვთქვათ თამბაქოს მოწევაზე, ნარკოტიკებზე და ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებაზე, თავი მოვარიდოთ მზის სხივების პირდაპირ ზემოქმედებას, მივიღოთ ბალანსირებული საკვები და ვიყოთ ფიზიკურად აქტიურები. ამ თითქოსდა მარტივი წესების დაცვით შესაძლებელია დაავადებათა 40%-ის თავიდან აცილება.

**— ახლა ამბობენ, რომ კიბო გადამდები, ინფექციური დაავადებააო, საუბარია იმაზეც, რომ სიმსივნური დაავადებები გენეტიკურ ხასიათსაც ატარებს.**

— კიბო არ არის ინფექციური დაავადება. ის არ არის ვირუსული და არც გენეტიკურია, თუმცა დღეს საუბრობენ იმაზეც, რომ გენეტიკა არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია ამ დაავადების წარმოშობაში, თუმცა ცალსახად საუბარი კიბოს შთამომავლობით გადაცემაზე მაინც არაა ლეგიტიმური, რადგან ბოლომდე არ არის გამოკვლეული სიმსივნური დაავადებების ძირეული ხასიათი.

**— საქართველოში როგორია ამ დაავადებით დასნეულებულთა სტატისტიკა?**

— ყოველ წელს 7000-მდე კიბოთი დაავადებული ვლინდება. სამწუხაროდ, ამ 7000-დან ნახევარზე მეტი იმავე წელს იღუპება, რადგან მათი 70-75% დაავადების მესამე-მეოთხე სტადიაშია.

მსოფლიოში ამ დაავადებით ყოველ წელს 12 მლნ. ადამიანი მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს. მათ შორის 6 მლნ. იმავე წელს იღუპება. ეს საგანგაშო მაჩვენებლები მაინც, ძირითადად, განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე მოდის.

ჯანმო-ს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის) მიერ შესწავლილი პროგნოზული მაჩვენებლებით დადგენილია, რომ 2020 წლისთვის კიბოთი დაავადებულთა რიცხვი 12 მლნ-დან 20 მლნ-მდე გაიზრდება.



**— წელან ტუბერკულოზზე საუბრობდით. იგი მე-20 საუკუნის დასაწყისის „კიბოდ“ მიიჩნეოდა, მაგრამ 21-ე საუკუნეში უკვე თამამად ვამბობთ, რომ ტუბერკულოზი განკურნებადია. რატომ აქვს ჯანმო-ს ასეთი უნუგეშო პროგნოზი კიბოსთან მიმართებაში?**

— ტუბერკულოზისგან განკურნების საშუალებებს კი არ მიაკვლიეს, არამედ აღმოაჩინეს ტუბერკულოზის გამომწვევი ჩხირები. კიბოს გამომწვევი ფაქტორები არ არის აღმოჩენილი და სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში ვერც იქნება აღმოჩენილი. იმიტომ, რომ კიბოს იწვევს არა მხოლოდ ერთი ფაქტორი, არამედ მისი გამომწვევი ან ხელის შემწყობი შეიძლება მრავალი მიზეზი იყოს.

არც ის იფიქროს ვინმემ, რომ კიბო მე-20 და 21-ე საუკუნის დაავადებაა. რომ ავიღოთ ძველი სამედიცინო ლიტერატურა, „კარაბადინი“ და მსგავსი კრებულები, იქ სხვა სახელით არის ნახსნები ეს დაავადება. ასე რომ, კიბო უხსოვარი დროიდან სტანჯავდა ადამიანებს.

ჯანმო-ს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ წყაროებში მითითებულია, რომ გააქტიურებულია სიმსივნური დაავადებები, თუმცა არ არსებობს კიბოს გამომწვევი ერთი ფაქტორი. მაგალითად, კიბოს მაპროვოცირებლად ითვლება არა მხოლოდ ქიმიური კანცეროგენური ფაქტორები, არამედ ვირუსული, ფიზიკური, ბიოლოგიური ფაქტორებიც. თუმცა მე მაინც იმედი მაქვს, რომ დადება დრო,. როცა კიბო ისევე იქნება განკურნებადი, როგორც თქვენს მიერ მაგალითად მოყვანილი ტუბერკულოზი.

მით უფრო, რომ ქიმიოთერაპია უკვე სერიოზულად ეწინააღმდეგება კიბოს. მაგალითად, ქორიოეპითელიომა, საშვილოსნოს დაავადება, ქიმიოთერაპიით სრულად იკურნება, სათესლე ჯირკვლების კიბოს შემთხვევაშიც ეფექტურია ქიმიოთერაპიული მეთოდი, ლიმფომების შემთხვევაშიც შესაძლებელია სრული განკურნება და ა.შ. ამიტომაც, „კიბო არის დაიგნოზი და არა განაჩენი“. ის განკურნებადია.

არაფრით არ უნდა ვიყოთ პესიმისტები კიბოსთან მიმართებაში, რადგან საქართველოში, დაახლოებით, 33 000 პაციენტია, რომელთაც ბევრი წლების წინ დაუსვეს კიბოს დიაგნოზი, მაგრამ დღეს აბსოლუტურად ჯანმრთელები არიან.

საქართველოს ონკოლოგიის ცენტრს დიდი ტრადიცია აქვს. აქ გამოიყენება ყველა ტექნოლოგია, რომ დიაგნოზი სწორად იქნას დასმული. კიბოს დიაგნოზი კი მაშინ არის დადასტურებული, როცა ის ვერიფიცირებულია, ანუ დადასტურებულია მიკროსკოპულად. ჩვენს ცენტრში მკურნალობა ტარდება თანამედროვე ჰაიდლაინებისა და პროტოკოლების გამოყენებით. მკურნალობის ძირითადი მეთოდებია რადიკალური ოპერაცია, ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია. თითოეული მათგანი კიბოს მკურნალობაში სრულიად დამოუკიდებელი მეთოდიცაა, თუმცა შესაძლებელია ისინი ერთდროულადაც იქნას გამოყენებული.

**— ძალიან ბევრი კარგი სპეციალისტი გავიდა ქვეყნიდან. ონკოცენტრში დღეს არიან კვალიფიცირებული სპეციალისტები?**

— ჩვენ გვაქვს სპეციალიზირებული განყოფილებები, კერძოდ, თავისა და კისრის, ფილტვის დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, სარძევე ჯირკვლის, ანუ მამოლოგიის, გინეკოლოგიური, აბდომინური და პროქტოლოგიური, კანის, ძვლების და რბილი ქსოვილების სიმსივნეების, უროლოგიური, ქიმიოთერაპიისა და რადიოთერაპიის, ბავშვთა ონკოლოგიის განყოფილებები. თითოეულ ამ განყოფილებას ხელმძღვანელობენ საუკეთესო, სახელგანთქმული, მაღალი პროფესიონალიზმითა და გამოცდილებით გამორჩეული სპეციალისტები.

აქ მკურნალობა საერთაშორისო დონეზე ტარდება და კადრების დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით.

**— ონკოცენტრი, რამდენადაც ვიცით, კერძო მფლობელის ხელში იყო, ახლა ისევ სახელმწიფოს დაუბრუნდა. რამ განაპირობა ცენტრის ისევ სახელმწიფოსთვის გადაცემა?**

— 2010 წელს მთლიანი შენობის და მიწის ნაკვეთის პრივატიზება მოხდა კანადური ფირმის „პეგასუს ფარმაცევტიკალ ინტერნეიშენელ გრუპის“ მიერ. მათ ორწელიწადნახევარში უნდა მოეხდინათ ცენტრის სრული რეაბილიტაცია. უნდა ჩაედოთ 20 მლნ. დოლარი და აღეჭურვათ კლინიკა სრულად, 2013 წლის მაისში ეს სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო. მათ პირობა ვერ შეასრულეს და ამიტომ მთავრობამ ინვესტორებს შეუწყვიტა ხელშეკრულება. ამ გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრიც დაეთანხმა. ჩემი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

უკვე გადაწყდა, რომ სახელმწიფო იზრუნებს ონკოცენტრზე. თვის ბოლოს დაიწყება კლინიკის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები და მომავალში, ვვარაუდობთ, რომ ონკოცენტრი პაციენტებს სრულად რეაბილიტირებული დახვდება.

**მარიამ კილურაძე**


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.



წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


ISSN 2233-3983